ისედაც ნაცრისფერ "აღორძინებას" ფერები უფრო აკლდება A2

ხუთჯვრიანი დროშის „რისხვა„ სხვებსაც დაატყდა თავს A3

"ხალხის პირისპირ" ანკეტა B3



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 14 იანვარი, 2003 წელი. №12 (224)

ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### საქართველოში ორხელისუფლებიანობის აჩრდილი მოჩანს

ქართველი ლიბერალების აზრით, ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელისუფლება ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე გადადის

A3

## საზოგადოება

### ახალი გაუგებრობა პენსიების ირგვლივ

“ეროვნულ ძალთა გაერთიანება” ლეიბორისტების მიერ დაწყებულ მარათონს აგრძელებს და სასამართლოში სოციალური ხასიათის მორიგი სარჩელის შეტანით იმუქრება. ამჯერად საქმე წლების განმავლობაში დაგროვილი საპენსიო დავალიანების გასტუმრებას ეხება. გაერთიანებაში აცხადებენ, რომ არ აპირებენ, გულხელდაკრეფილები ელოდონ, როდის დააკმაყოფილებს ხელისუფლება ქვეყნის ყველაზე დაუცველ ფენას.

A3

## ეკონომიკა

### პროფკავშირები ახალ ბიუჯეტს უკვე აკრიტიკებენ

საქართველოს პროფესიული კავშირებისათვის კატეგორიულად მიუღებელია მოსახლეობის სოციალურ-შრომითი უფლებების დაცვისადმი მთავრობის მხრიდან იმგვარი მიდგომა, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტი 200 მილიონი ლარით იზრდება

A4

## სამართალი

### ნარკოტიკების რეალიზაციისთვის სუდანის მოქალაქე დააპატიმრეს

მაიკლ მაჰმუდ აბდულრაჰმანს გამოძიებამ ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა–შენახვა-რეალიზაციის ბრალდება წაუყენა, რაც კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომაც გაიზიარა.

A7

## უცხოეთი

### ერაყის გარშემო უკვე დენთის სუნი დგას

ამერიკისა და ბრიტანეთის სამხედრო დაჯგუფებების რაოდენობა ერაყის გარშემო თანდათანობით იზრდება. მოკავშირეები სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობისათვის ემზადებიან. საომარ მზადყოფნას ერაყის ხელისუფლებაც გამოთქვამს.

A8

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 6 |
| ქუთაისი | 7 |
| ბათუმი | 7 |
| სოხუმი | 4 |
| ფოთი | 6 |
| თელავი | 6 |
| ზუგდიდი | 6 |
| გორი | 3 |
| ახმეტა | 4 |
| ჭიათურა | 4 |
| გაგრა | 4 |
| სამტრედია | 6 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2000 |
| ევრო | 2.3201 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5343 |
| რუბლი | 0.0691 |

# საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას მოსკოვი განაგებს



"ეი-ი-ეს"-ი ჭერჭერობით ისევ აკონტროლებს თბილისის ელექტრომომარაგებას.

## იგნასიო ირიბარენი: "ყველაზე პოპულარული ამ ქვეყანაში „თელასზე" დარტყმაა"

*საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავასა და „თბილგაზის“ გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას შემადგენლობით, მოსკოვში იმყოფება. ოფიციალური ინფორმაციით, მათი ვიზიტის უმთავრესი მიზანი „РАО ЕЭС РОССИИ“-ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის აღდგენაა. ვიზიტს წინ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის შეწყვეტა და განაწყენებული „ეი-ი-ესის“ მუქარა უსწრებდა.*

*ელექტროენერგეტიკული საკითხების მოგვარებამდე კი ქართველი ჩინოვნიკები მოსკოვში „იტერას“ აღმასრულებელ დირექტორს ვალერი ოტჩერცოვს შეხვდნენ და „თბილგაზსა“ და „იტერას“ შორის პირდაპირი ხელშეკრულება გააფორმეს. ძველი ვალების გასტუმრების შვიდწლიანი გეგმა კი, ჯერჯერობით, ისევ „თაროზე შემოდეს“.*

მაია ურუშაძე

„იტერასთან“ მთავრობას მხოლოდ ერთი პრობლემა აქვს: გადასახდელია დეკემბრის თვეში მოხმარებული გაზის საფასური. **„მოსკოვში სხვა ყველაფერი რიგზეა. გადახდის საკითხი ქართულ მხარეს საქართველოში აქვს მოსაგვარებელი. თუ მირცხულავამ გაზის საფასურის გადახდის გადავადება ითხოვა, არა მგონია, „იტერას“ პრეზიდენტი იგორ მაკაროვი დაჰყვეს. როცა „იტერა“ თანახმაა „თბილგაზთან“ პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებაზეც, ფინანსური ჯაჭვიდან „საქგაზის“ ამოგდებაზეც და საქართველოსთან მიმართებაში წინასწარი გადახდის მექანიზმსაც არ იყენებს, არ შეიძლება, ერთადერთი ვალდებულება – თანხის დროული გადახდა - არ შეასრულო,“** – აცხადებს „იტერას“ წარმომადგენელი

გაგრძელება A4 გვერდზე

## ჩვენი სტიქიაა ბიზნესი და არა პოლიტიკა

"იტერა" უარყოფს, რომ კომერციული პროექტი პოლიტიკურად იქცევა

რუსუდან ნიკურაძე

მოსკოვში კომპანია "იტერასთან" მორიგი კონსულტაციების გასამართავად კვლავ იმყოფება საქართველოს დელეგაცია სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას მეთაურობით.

საერთაშორისო კომპანია "იტერა" რუსი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის გასაიდუმლოებული და დახურული ობიექტია და იქ კომერციული სახის მოლაპარაკებებზე პრესის წარმომადგენლებს არ უშვებენ. მეორე საგულისხმო ფაქტი ის არის, რომ სხვა შეხვედრებისაგან განსხვავებით, "იტერაში" მოლაპარაკებებზე მოსკოვში მყოფი ქართველი დიპლომატები არ მიჰყავთ. და ეს ჩვენი ენერგეტიკის სფეროს მაღალი ჩინების, ასე ვთქვათ, კომერციული სტილია.

"იტერასთან" ამჟამინდელი მოლაპარაკებებიც ჩვეული სირთულით გამოირჩეოდა, რადგანაც ვალების გადაუხდელობის გამო საქართველოში გაზის მიწოდების პერსპექტივა, ფაქტობრივად, ვაჭრობის საგანი შეიქნა, თუმცა ამას ქართული მხარე არ ადასტურებს. ჩვენების მტკიცებით, არავითარ ვაჭრობას ადგილი არ ჰქონია. პირველად "იტერას" წარმომადგენლებს მოუხდათ არსებული ეჭვების გაფანტვა და იმის განმარტება,

გაგრძელება A2 გვერდზე

## პრეზიდენტი აფხაზეთის ანექსიის ნიშნებს ხედავს

*საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც გუშინ ძველი ახალი წლის დახვედრას „ერთი ჟანგიანი თოფის გასროლით“ აპირებდა, დილით ჟურნალისტებს წლეულს პირველად შეხვდა და თითქმის ყველა აქტუალურ პოლიტიკურ თემას გამოეხმაურა.*

თამარ ხორბალაძე

**„სანამ არ მოგვარდება რკინიგზის საკითხი, არ მოვაწერ ხელს სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელებას“,** - მოკლედ მოჭრა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა. მან ვრცლად ისაუბრა იმაზე, რომ რკინიგზის გახსნის „წმინდად კომერციული“ მოტივების საქართველოს არ სჯერა; თქვა, რომ ეს საერთაშორისო კონვენციების დარღვევაა, ორმხრივ ურთიერთობებზე რომ ალარაფერი ვთქვათ; გვაცნობა, რომ დღეს მერაბ ადეიშვილი მოსკოვს სწორედ ამ საკითხის გასარკვევად მიემგზავრება (სხვათა შორის, გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რკინიგზაზე მოძრაობა შეწყდა).

გუშინვე საქართველოს პრეზიდენტმა კომენტარი გააკეთა აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიგებასთან დაკავშირებით და რუსეთის ბოლოდროინდელ აქტიურობას აფხაზეთში **„ანექსიის ნიშნები უწოდა“.**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ქართულმა მხარემ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში სრული პოლიტიკური კრახი განიცადა

რას ფიქრობენ უცხოელი ექსპერტები რუსეთ-აფხაზეთისა და მოსკოვი-თბილისის ურთიერთობებზე

რუსუდან ნიკურაძე

რადიო "ბი-ბი-სის" მოსკოვის ბიუროს პოლიტიკური მიმომხილველის სტივენ კიმის აზრით, **„აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვამ თითქმის არანაირი შედეგი არ მოიტანა.**

**თუ საქართველოს შიდაპოლიტიკურ ვითარებას გადავხედავთ და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში ერთიანი მიდგომა არ არსებობს, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ქართულმა მხარემ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში სრული პოლიტიკური კრახი განიცადა. სახეზეა საქართველოს ხელისუფლების აბსოლუტური უუნარობა, გავლენა მოახდინოს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე. ეს კი ამტკიცებს საქართველოს**

გაგრძელება A3 გვერდზე

## აფხაზეთი რუსეთში შესვლას ირჩევს

რუსუდან ნიკურაძე
*საქ.კორ. მოსკოვში*

ასე განაცხადა ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში მოსკოვში ვლადისლავ არძინბას წარმომადგენელმა იგორ აჰბამ.

**-"საქართველოს ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რათა კონფლიქტის ზონიდან რუსი მშვიდობისმყოფელების გაყვანა აიძულოს მოსკოვს. ახლოვდება 31 იანვარი და გასაგებია, თუ რატომაც ემზადება ასე გულმოდგინებით თბილისი, რათა მსოფლიო საზოგადოებას გაერო-ს უშიშროების საბჭოში შესჩივლოს, თუ რა ცუდად ექცევა მას რუსეთი. ჩვენ კი ვამბობდით და ვამბობთ, რომ კონფლიქტის ზონიდან რუსი მშვიდობისმყოფელების გასვლას ასე აქტიურად საქართველოს ხელისუფლება მხარს იმიტომ უჭერს, რომ იქ ნატო-ს ჯარების შეყვანის იმედი აქვს“**, - ამბობს იგორ აჰბა.

რუსეთიდან აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე თბილისის პროტესტთან დაკავშირებით, არძინბას წარმომადგენელი აცხადებს, რომ მოსკოვის ამ ნაბიჯში მხოლოდ ჰუმანიტარული აქცია იკითხება და სხვა არფერი.

**„იმით, რომ აღნიშნული სარკინიგზო მაგისტრალი მთელი დატვირთვით არ მუშაობს, დღეს პირველ რიგში ზარალდება საქართველო, არაფერს ვამბობ იმაზე, რომ რუსეთის, აფხაზეთისა და სომხეთის ეკონომიკასაც მნიშვნელოვანი ზარალი ადგება. რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის**

გაგრძელება A3 გვერდზე

## გასულ წელს თბილისში დანაშაულმა იმატა, პოლიცია კი წარმატებასა და საკუთარ პრობლემებზე საუბრობს

თამარ კაციტაძე

**“დამერწმუნეთ, თვითკმაყოფილების გრძნობით არ ვართ განმსჭვალულნი. პოლიციის დანაყოფები ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მაქსიმალურად ბევრი დანაშაული გაიხსნას და დამნაშავეთა სამყაროსთან ბრძოლის უკეთესი შედეგი გვქონდეს,”** – აღნიშნა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსმა ლევან მაისურაძემ და ახალი წლის დასაწყისში უკვე ტრადიციად ქცეული წინა წლის შედეგების ანგარიში ჩააბარა მასმედიას.

მაგრამ ვიდრე დედაქალაქის შერიფი გასული წლის დანაშაულებრივი ცხოვრების სტატისტიკის გაცნობამდე მივიდოდა, ჟურნალისტებს 2003 წლის მიღწევები შეახსენა.

მიუხედავად იმისა, რომ ორი კვირაც არ არის, რაც ახალი წელი დაიწყო, ქალაქის პოლიციამ სამი სერიოზული ყაჩაღური ჯგუფის აყვანა მოახერხა (სამივე შემთხვევის შესახებ “24 საათში” გამოქვეყნდა). თუმცა, როგორ დასრულდება მიმდინარე წელი, ამის შეფასებას, თუ ყველაფერი კარგად იქნება, ზუსტად ერთი წლის შემდეგ მოგახსენებთ.

გაგრძელება A7 გვერდზე

## ვინც თოვლზე ცუდი რამე სთქვას...

B8




A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A3 საზოგადოება A4 ეკონომიკა A5 რეკლამა A6 რეკლამა A7 სამართალი A8 უცხოეთი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის მორიგ სხდომაზე დასასწრებად პარლამენტარი ზურაბ ჟვანია დღეს პარიზში გაემგზავრა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ინფორმაციას ტერორიზმში და ქიმიური იარაღის წარმოებაში ბრალდებული ჩრდილოეთ აფრიკელი მოქალაქეების პანკისის ხეობაში მომზადების შესახებ საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტი "ბოდვას" უწოდებს და საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის მიერ საქართველოს ავტორიტეტის შელახვის მცდელობას უკავშირებს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის მხარე ოფიციალურად აიღებს შეფობას სამაჩაბლოს ქართულ სოფლებზე. იმერეთის გუბერნატორის თემურ შაშიაშვილის განცხადებით, საქართველოს რეგიონებს შორის დახმარებისა და თანამშრომლობის აქციები სამომავლოდ სამცხე-ჯავახეთში გაგრძელდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი გაერო-ს უშიშროების საბჭოსგან კატეგორიულად მოითხოვს აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის ფორმატისა და მანდატის შეცვლას. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით გუშინ ზუგდიდში პოლიტიკური პარტიების რეგიონალური ორგანიზაციების მუდმივმოქმედი სათათბირო შეიქმნა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ დიდი ბრიტანეთის ახალი სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი კრისტოფერ ნანი მიიღო. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სამი საპარლამენტო ფრაქცია - „21-ე საუკუნე", „აღორძინება" და „ერთიანი საქართველო" - 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს მხარს არ უჭერს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე „აღორძინების" ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი საქართველოსთვის მიუღებელი და კორუფციულია. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 14 ნოემბერს საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი ნიუ-იორკში გაემგზავრება.

ტალიავინმა განცხადებით, იგი ნიუ-იორკში გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება. ტალიავინის თქმით, უშიშროების საბჭოს სხდომაზე იგი დააყენებს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ლიდერის თამაზ ნადარეიშვილის მოთხოვნას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ფორმატისა და მანდატის შეცვლის შესახებ. ტალიავინი გუშინ ნადარეიშვილს შეხვდა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის ფედერაციის საბჭოს უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ვიქტორ ოზეროვმა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო მისიის მანდატის შესაძლო შეჩერებაზე „პოლიტიკური თამაში" უწოდა. „შევარდნაძეს ამგვარად სურს მიაპყროს მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს. მას სურს, რომ გაერო-მ რუსეთზე ზეწოლა მოახდინოს". **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინდელ რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა თხოვნით მიმართა სომალელ მეკობრეებს, გამოიჩინონ ჰუმანურობა და გაათავისუფლონ დაკავებულები. პრეზიდენტის თქმით, სომალელი მეკობრეების მიერ ქართველი მეზღვაურების გატაცების პირველივე დღეებიდან საქართველოს საგარეო უწყება ყველა შესაძლებლობას მიმართავს მათ დასახსნელად. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელებაზე ამ ეტაპზე თავს იკავებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ძველ ახალ წელს საქართველოს პრეზიდენტი ჟანგიანი თოფით შეხვდება. როგორც მან გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, „ერთს ჟანგიანი თოფიდან გავისვრი, ერთ ჭიქას შევსვამ და ასე აღვნიშნავ ახალ წელს". **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაზიანის სამხედრო ბაზიდან ცეცხლსასროლი იარაღის მოპარვის მცდელობაში დადგენილ ეჭვმიტანილთა შორის მხოლოდ სამხედრო პირები არიან. **კავკას-პრესი.**

„ხალხის პირისპირ"
ეს არის ტელეპროექტი, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაერთვება სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
საფოსტო ინდექსი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# გოგიტიძეს ჯაიანზე მზე და მთვარე არ ამოსდის, მაგრამ სასიკვდილოდ მაინც არ ემეტება

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტარ დიმიტრი ჯაიანზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ ბევრმა გაიხსენა, რომ ფრაქცია „აფხაზეთის" წევრს საკმაოდ დაძაბული პიროვნული ურთიერთობები ჰქონდა „აღორძინების" წარმომადგენლებთან, კერძოდ, ჯემალ გოგიტიძესა და ბორის კაკუბავასთან. მართლაც, დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ჯაიანი და გოგიტიძე ერთმანეთს ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი „თაყვანისცემაში" ადანაშაულებდნენ და ემოციამოძალებულებმა, პლენარული სხდომის დროს, ერთმანეთზე საცემრადაც კი გაიწიეს. ამიტომ, მოსალოდნელიც იყო, რომ მაჟორიტარული წესით აფხაზეთიდან არჩეულ პარლამენტარზე მომხდარი ძალადობის შემდეგ „მთავარი ეჭვმიტანილები" სწორედ აჭარის დეპუტაციის წარმომადგენლები გახდებოდნენ. მით უმეტეს, ჯაიანის ოჯახის წევრებმა, პრესასთან საუბრისას, სწორედ ასეთი მინიშნებები გააკეთეს. გაიჟღერა აგრეთვე ვერსიამ, თითქოს ჯაიანთან ანგარიშსწორების მიზნით, ჯემალ გოგიტიძემ ორი ჩეჩენი და ორი ოსი კრიმინალი დაიქირავა.


„თუ ვინმე გვყავდა გასალახი, ეს, პირველ რიგში, ედვარდ სურმანიძე იყო".

თავად ფრაქცია „აღორძინების" თავმჯდომარე ჯაიანზე განხორციელებული ტერაქტისა თუ ბანდიტური თავდასხმის ორგანიზებაში მონაწილეობას, რა თქმა უნდა, კატეგორიულად უარყოფს და საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად საკმაოდ ორიგინალური არგუმენტი მოჰყავს. **„თუ ვინმე გვყავდა გასალახი, ეს, პირველ რიგში, ედვარდ სურმანიძე იყო, მაგრამ ხელი მისთვისაც კი არ დაგვიკარებია",** - აცხადებს ბათუმური ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი. მისი თქმით, დეპუტატზე თავდასხმის უკან დგას სახელისუფლებო მანქანა, რომელსაც სურს, რომ „აღორძინება" ტერორისტულ ძალად წარმოაჩინოს. ამასთან დაკავშირებით გოგიტიძე იხსენებს, რომ მას და მის თანაპარტიელებს არც თუ დიდი ხნის წინათ, ნუგზარ საჯაიას მკვლელობა ბრალდებოდათ და ამდენად, სულაც არ უკვირს, რომ სამართალდამცავების მიერ მუშავდება ვერსია, თითქოს მან დაიქირავა ხალხი და მიუსია ჯაიანს.

**„ჯაიანის ცემის გამო ძალიან ვიდარდე-მეთქი, რომ ვთქვა, მართალი არ ვიქნები, მაგრამ თავად ძალადობის ფაქტით აღშფოთებული ვარ. დიმაზე მზე და მთვარე არ ამომდიოდა, თუმცა მომხდარის მსგავსი არანაირი განზრახვა პირადად მე არ მქონია. ჩემი სათქმელი და გულისნადები მას მთლიანად ვუთხარი სხდომათა დარბაზში და ამის შემდეგ ჯაიანთან უკვე აღარანაირი პრობლემა აღარ მაქვს",** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჯემალ გოგიტიძემ, რომელიც მომხდარ ინციდენტში ბორის კაკუბავას მონაწილეობასაც კატეგორიულად გამორიცხავს.

**P.S.** გუშინ დაგეგმილი იყო ფრაქცია „აღორძინების" გაფართოებული სხდომა, რომელსაც 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე უნდა ემსჯელა, მაგრამ მისი ჩატარება ვერ მოხერხდა - აჭარის დეპუტაციას საახალწლო განწყობა ჯერ არ განელებია და პარლამენტში მისვლას არ ჩქარობს. ჰოდა, გოგიტიძემაც „უქმად ჯდომას" ამჯობინა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი სამსახურში გაებრუნებინა, ფრაქციის სხდომა პრესკონფერენციად გადაეკეთებინა და ჟურნალისტებთან საუბარში მის მიმართ გაჟღერებული ბრალდებების გაქარწყლება ეცადა.

# ისედაც ნაცრისფერ "აღორძინებას" ფერები უფრო აკლდება

ეკა კვესიტაძე

„აღორძინებაში" მიმდინარე პროცესები ძალიან დაემსგავსა „მოქალაქეთა კავშირში" რამდენიმე წლის წინ გათამაშებულ სცენარს.

წინა საპარლამენტო არჩევნების დროს ორი ყველაზე დაპირისპირებული პარტია თავიდანვე ბევრი რამით ჩამოგავდა ერთმანეთს, განსაკუთრებით კი - ეკლექტური შემადგენლობით.

განსხვავებული ორიენტაციის პარტიებისგან შემდგარ ბათუმურ კოალიციას „მოქალაქეთა კავშირი" დაშლას მალევე უწინასწარმეტყველებდა. თუმცა, ეს მოლოდინი არ გამართლდა და ოპონენტი პარტიის ნაწილ-ნაწილ დაშლით გამოწვეული პირველი სიხარული მაინც „აღორძინებას" ერგო.

ბათუმური ბლოკის ეს სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. დღეს ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური და მონოლითური პარტია სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. .

ის, რომ „მოქალაქეთა კავშირი" უფრო ადრე დაიშალა, ვიდრე „აღორძინება," ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ „აღორძინებას" ერთიანობის უფრო მყარი საფუძველი ჰქონდა. უბრალოდ, ბათუმურ ბლოკს დიქტატორული პრესის ქვეშ უწევდა არსებობა და ასლან აბაშიძესთან ბევრს თავისი ფინანსური ინტერესები უფრო აკავშირებდა და აკავშირებს დღესაც, ვიდრე პოლიტიკური მიზნები. გარდა ამისა, „აღორძინებას," „მოქალაქეთა კავშირისაგან" განსხვავებით, არ ჰყავდა "პროტესტანტების" დიდი ჯგუფი, რომელიც ასლან აბაშიძეს პოლიტიკური მოტივაციით დაუპირისპირდებოდა.

თუმცა, აბაშიძეს ახლაც არავინ დაპირისპირებია. „აღორძინების" ყველაზე გამორჩეული სახე - გიორგი თარგამაძე აჭარის ლიდერმა თავად გარიყა. დაძაბულობა თარგამაძესა და აბაშიძეს შორის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ დაიწყო, როცა საარჩევნო პლაკატებიდან აბაშიძის პორტრეტი საერთოდ გაქრა და „აღორძინებამ" ამომრჩეველთა ხმების საკმაოდ მცირე რაოდენობა მოაგროვა.

შემდეგ კი სცენარი ისევე განვითარდა, როგორც ეს სასახლის კარის ინტრიგებს სჩვევია და როგორც თავის დროზე ეს „მოქალაქეთა კავშირში" მოხდა, როცა კანცელარიის მაღალჩინოსნები შევარდნაძეს თითქმის ყოველდღე უწვეთებდნენ ყურში, რომ ჟვანია მის წინააღმდეგ მოქმედებდა და პრეზიდენტობისთვის მალულად იბრძოდა.

„აღორძინების" შემთხვევაში, კანცელარიის მაღალჩინოსანთა როლი სანდრო ბრეგაძემ და ჯემალ გოგიტიძემ შეასრულეს, რომლებიც თავგამოდებით უმტკიცებდნენ აბაშიძეს, რომ თარგამაძე მას აღარაფრად აგდებდა და პარტიას მხოლოდ პირადი მიზნებისათვის იყენებდა.

ამ ხმებმა, საბოლოო ჯამში, სასურველი ნაყოფი გამოიღო. შევარდნაძემ მოიშორა „მოქალაქეთა კავშირის" ყველაზე სერიოზული და გავლენიანი ნაწილი, აბაშიძემ კი ნელ-ნელა ჩამოიშორა თარგამაძე და მისი გუნდი.

შედეგი კი საკმაოდ "შთამბეჭდავი" აღმოჩნდა: „მოქალაქეთა კავშირს" პარტიის რიგებში პოპულარული სახე აღარ დარჩა. მის მთავარ სიმდიდრეს დღეს მხოლოდ ვიტალი ხაზარაძე წარმოადგენს, რაც აშკარად დამღუპველია პარტიის იმიჯისათვის.

რაც შეეხება „აღორძინებას," გიორგი თარგამაძე, მართალია, ჭარბი პოპულარობით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ „აღორძინების" უაღრესად ნაცრისფერ ფონზე, ისევე როგორც ვალერი გელბახიანი, მაინც გამოირჩეოდა. ნიშანდობლივია, რომ პარტიაში სერიოზული პრობლემები შეექმნა ვალერი გელბახიანსაც.

დღეს კი აბაშიძის პარტია მხოლოდ სანდრო ბრეგაძის იმედზე დარჩა, რომელსაც სახეზეც და მეტყველებაზეც ეტყობა, რომ ბავშვობაში მისთვის ყველაზე დიდი სასჯელი წიგნების კითხვა იყო და რომ ამ სასჯელს მისი მშობლები არასოდეს მიმართავდნენ.

გარდა ამისა, „აღორძინება" ყველა შეკედლებულმა თბილისურმა პარტიამ დატოვა, რომლებიც თავის დროზე აბაშიძემ იმისთვის შეიერთა, რომ „აღორძინება" რეგიონული პარტიის სტატუსს გაქცეოდა.

ბლოკი დატოვეს სოციალისტებმა, რადგან რჩეულიშვილმა უძღები შვილის როლი მოირგო და თავის ძველ გამზრდელთან არჩია დაბრუნება. აკაკი ასათიანმა ახალი პარტნიორები იშოვა, ხოლო 21-ე საუკუნე, ვახტანგ ბოჭორიშვილის გარეშე, სრულიად უსახური და არაფრისმთქმელია.

ასე რომ, ორი გიგანტი პარტიისაგან დღეს უკვე მხოლოდ ნომენკლატურისა და კორუმპირებული გუბერნატორებისაგან შემდგარი ურეიტინგო „მოქალაქეთა კავშირი" და პროვინციული და პარტიკულარული „აღორძინება" დარჩა.

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ორივე პარტია ფლობს მნიშვნელოვან ბერკეტებს მომავალი არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მოსახდენად. „აღორძინება" აჭარის მოსახლეობის ხმების 90 პროცენტზე მეტს მიიღებს, ხოლო „მოქალაქეთა კავშირი" ქვემო ქართლის მოსახლეობის ხმათა სრულ პაკეტს. სახელისუფლო პარტიას ამომრჩეველთა ხმათა "მისაზიდად" რეგიონებში ადმინისტრაციული ბერკეტებიც დარჩა.

რაც შეეხება გიორგი თარგამაძეს: ჟვანიასა და სააკაშვილისაგან განსხვავებით, მას, აშკარაა, ძალიან უჭირს აბაშიძესთან ღია დაპირისპირება. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თარგამაძის პოლიტიკური მომავალი უკვე აღარ იქნება დაკავშირებული „აღორძინებასა" და მის ლიდერთან.

მას შემდეგ, რაც თარგამაძემ აბაშიძის ყველაზე გამორჩეული "სფოუკსმენის" (წარმომადგენლის) გამაღიზიანებელი როლი მოიშორა, მის მიმართ ყველაზე ანტაგონისტური პარტიებიც კი მოულოდნელად სიმპათიით განეწყვნენ.

მომავალ არჩევნებში თარგამაძის მხარდაჭერაზე (მაჟორიტარ დეპუტატად) თანხმობას აცხადებენ „გაერთიანებული დემოკრატები" და „ახალი მემარჯვენეები." უფრო მეტიც, „ახლები" მას დიდი ხანია სთავაზობენ ფრაქციაში გაერთიანებას.

მაგრამ გადაწყვეტილების მიღება თარგამაძეს ჯერჯერობით უჭირს, ეს ბუნებრივიცაა, რადგან „აღორძინების" ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს და აბაშიძის იდეოლოგიის გამხმოვანებელს არაპოპულარული მისიის "დალისგან" თავის დაღწევა საკმაოდ გაუჭირდება.

ასე რომ, თარგამაძე დღეს რთული არჩევანის წინაშეა, მას ან მოუწევს თავისი პოლიტიკური შეხედულებების მკვეთრი შეცვლა და შემდეგ ამ ნაბიჯის საზოგადოებისთვის დამაჯერებლად ახსნა, ან არადა საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდება. პოლიტიკური პარტნიორების გარეშე, ასლან აბაშიძის ყოფილ ფავორიტს პოლიტიკაში დარჩენა ძალიან გაუჭირდება.

# პარლამენტში საარჩევნო ბარიერის თემა გორდება

არ არის გამორიცხული, მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ საარჩევნო ბარიერის თემა კვლავ აქტუალური გახდეს. ყოველ შემთხვევაში, გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად შვიდპროცენტიანი ბარიერის დაწევის ინიციატორად ხელისუფლების მხარდამჭერი რომელიმე პარტია გამოვა. მეტიც: კულუარული ინფორმაციით, სათანადო კანონპროექტის მომზადება უკვე დაწყებულია.

ოფიციალურად ამ ინფორმაციას თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენელი უარყოფს. „მოქალაქეთა კავშირის" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძე ამბობს, რომ მისი პარტიისთვის **"ეს პრობლემა აქტუალური არ არის და ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს ინიციატივა, „მოქკავშირი" მას მხარს არ დაუჭერს".**

საპირისპირო განცხადებას აკეთებენ "აღორძინების" წარმომადგენლები. ფრაქციის თავმჯდომარის ჯემალ გოგიტიძის თქმით, ამ თემის მოთელვა პარლამენტში უკვე დაწყებულია, თუმცა იქვე დასძენს, რომ მისი პარტიისთვის **"აბსოლუტურად მიუღებელია შვიდპროცენტიანი ბარიერის შეცვლა".**

იგივეს ამტკიცებენ "ლეიბორისტებიც".

ჯერჯერობით რთული სათქმელია, რამდენად სწრაფად აგორდება პარლამენტში ბარიერის დაწევის თემა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ, სურვილის შემთხვევაში, ამ ინიციატივას საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტი ექნება.

საქმე ის არის, რომ ევროკავშირის ექსპერტებმა, რომლებმაც, პარლამენტის თხოვნით, დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსის ექსპერტიზა ჩაატარეს, დასკვნით ნაწილში გარკვეული რეკომენდაციით მიმართეს ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს და საარჩევნო ბარიერის ოთხ-ხუთ პროცენტამდე დაწევა ურჩიეს.

# ჩვენი სტიქიაა ბიზნესი და არა პოლიტიკა

პირველი გვერდიდან

რომ კომერციული პროექტი პოლიტიკურად არ იქცევა. ცნობილი გახდა "იტერას" წარმომადგენლის, **ნიკოლაი სიმენენკოს** თვალსაზრისიც. სიმენენკო ასე თვლის: **"ყველა მომხმარებელს, ვინც კი დროზე დაფარა დავალიანება, გაზი ჩვეულებრივი წესით მიეწოდება. "იტერას" პოზიცია არ შეცვლილა: გაზი იქნება- მხოლოდ გადახდის შემდეგ და კომპანია თავის კურსს არ გადაუხვევს. უკვე წელიწადზე მეტია , ბელორუსსა და საქართველოში გაზის მიწოდება საერთო სქემით მიმდინარეობს: თუ არ დაფარავენ გადასახადებს, არც გაზი იქნება,"** -ამბობს სიმენენკო.

რუსეთის ენერგეტიკის სფეროს ექსპერტების აზრით, იყო მომენტი, როცა "თბილგაზისადმი" რუსულმა კომპანიამ ინტერესი დაკარგა. სამი წლის წინ "თბილგაზის " შესყიდვას აზრი ჰქონდა, ახლა კი დაბანდებისათვის 30 მლნ დოლარია საჭირო",- ეს სიმენენკოს აზრია.

საქართველოში "იტერას" ბიზნეს-პრექტების განხორციელებაზე ამტყდარ აჟიოტაჟზე "იტერას" თავკაცს **იგორ მაკაროვს** შემდეგი პოზიცია აქვს:

**- 2000 წელს მოსკოვის პირველ ენერგეტიკულ სამიტზე "იტერამ" ჩვენი ბიზნესის მთავარი პრინციპები გაახმოვანა: უპირველესია პოლიტიკურ პროცესებში ჩაურევლობა და რომელიმე პარტიის ან პოლიტიკური მოძრაობის მხარდაჭერაზე უარის თქმა. მე ვთვლი, რომ ჩვენი კომერციული მოღვაწეობა სხვადასხვა ქვეყნებს დიდ სარგებელს მოუტანს და ამ ქვეყნების პოლიტიკასთან არაფერი გვესაქმება. ჩვენი სტიქიაა ბიზნესი და არა პოლიტიკა, -** ამბობს მაკაროვი.

და მაინც, ზემოთქმულის მიუხედავად, რუს დამოუკიდებელ ექსპერტებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ რუსული კამპანია "იტერა" მეზობელ რესპუბლიკებში საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის გამყარებაზე მუშაობს და, უნდა თუ არა, პოლიტიკურ სფეროებშიც იჭრება. სპეციალისტები ამ მოვლენაში თავის ლოგიკასაც ხედავენ. მათი აზრით, რუსეთის წამყვანი ბუნებრივი მონოპოლიები დღეს სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს მიღმა ვერ დარჩებიან. დროის ამ მოთხოვნას ვერც ერთი კომერციული სტრუქტურა გვერდს ვერ აუვლის.

ხოლო იმაზე, თუ რა შედეგით დასრულდა მოსკოვში "იტერასთან" მოლაპარაკებები, "24 საათთან" საუბარში საერთაშორისო კორპორაცია "საქგაზის" პრეზიდენტმა **ალეკო გოცირიძემ** განაცხადა, რომ მოსკოვში შემდგარ მოლაპარაკებებზე "თბილგაზის" ყიდვა-გაყიდვაზე არავითარი საუბარი არ ყოფილა.

**- ყველა საკითხი, რომელიც "იტერას" ხელმძღვანელობის წინაშე დავსვით, გადაწყდა ისე, როგორც ეს ქართულ მხარეს სურდა. "იტერასთან" დღეს პრინციპული მნიშვნელობის მქონე ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, ხვალ კი ტექნიკური საკითხები გვრჩება შესათანხმებელი. დღევანდელი შეხვედრის მთავარი შედეგი ის არის, რომ საქართველოს მიერ მოხმარებული გაზის დავალიანება 23 იანვრამდე გადაგვივადდა, რაზედაც რუსეთის კომპანია დაგვთანხმდა. მთავარ შედეგად ვთვლი "იტერასთან" პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლის თანახმადაც "იტერასაგან" საქგაზის გარეშე პირდაპირ მოხდება გაზის შესყიდვა, ამ პირდაპირი ხელშეკრულების წყალობით თბილისი 7 მლნ-ით ნაკლებს გადაიხდის**.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# საქართველოში ორხელისუფლებიანობის აჩრდილი მოჩანს

ვერიკო თევზაძე

*ქართველი ლიბერალების აზრით, ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელისუფლება ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე გადადის*


"პოლიტიკური ინტრიგა დაგეგმილია არსებული მმართველი ელიტის მიერ".

**"თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნებისთვის ბრძოლა ამ ეტაპზე სახელმწიფოს გადარჩენისთვის ბრძოლის ტოლფასია. ხელისუფლებას აქვს სურვილი და მნიშვნელოვანი ბერკეტები საგანგებო მდგომარეობის პროვოცირების, არჩევნების ჩაშლისა და სუროგატული პარლამენტის ამარა ქვეყნის დასატოვებლად",** - ლიბერალური პარტიის თავმჯდომარის რეზო შავიშვილის აზრით, ასეთ ვითარებაში საზოგადოებამ აქტიურად უნდა დაიცვას თავისი უფლებები და ინტერესები.

საქართველოს ლიბერალური პარტია პროტესტს გამოთქვამს კონსტიტუციურ ცვლილებათა პროექტის გამო, რომელიც, სხვათა შორის, გულისხმობს მაჟორიტარ პარლამენტართათვის დეპუტატობის ვადის გაგრძელებას. პარტიის წევრთა აზრით, ეს არის რეფორმის სახელით შენიღბული პოლიტიკური ინტრიგა.

**"პოლიტიკური ინტრიგა დაგეგმილია არსებული მმართველი ელიტის მიერ და ორიენტირებულია ძალაუფლების შემდგომი უზურპაციის და მართვის დრომოჭმული სისტემის გადასარჩენად... ხსენებული პროექტი შეუძლებელია, არ გამოხატავდეს გარკვეული სახელისუფლებო ძალების მისწრაფებას ძალაუფლების უკანონო და ძალისმიერი მეთოდებით შენარჩუნებისკენ",** - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ლიბერალური პარტიის თავმჯდომარემ რეზო შავიშვილმა. მისი თქმით, ხელისუფლება უკვე ფსევდოდემოკრატიულ რიტორიკაზეც კი უარს ამბობს და შეუნიღბავი ნომენკლატურული დიქტატურის დამყარებას ცდილობს. **"ეს გზა ე.წ. მართვადი ქაოსის და პროვოცირებული დესტაბილიზაციის ფაზაზე გადის, რაც ქვეყნისთვის უთუოდ დამღუპველია."**

ქართველი ლიბერალების შეშფოთებას ყველაზე მეტად ის ფაქტი იწვევს, რომ ხსენებულ პროექტს არ ჰყავს კონკრეტული ავტორი. პარტიის გენერალური მდივნის ვახტანგ ხმალაძის ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებას მსგავსი პროექტების კიდევ რამდენიმე ვარიანტი არ ედოს თაროზე.

ლიბერალური პარტიის თავმჯდომარის განცხადებით, **"ამ პროექტის გახმაურება მოსახლეობის ზომბირებას ემსახურება. ხელისუფლებას აინტერესებს, რამდენად მზად არის საზოგადოება საკუთარი უფლებების დასაცავად. გახსოვთ, ალბათ, ერთი წლის წინ ტელეკომპანია "რუსთავი-2"-თან დაკავშირებული მოვლენები. ხელისუფლებას მაშინაც მოსახლეობის რეაქცია აინტერესებდა".** შავიშვილის აზრით, ხელისუფლება, ამგვარი ქმედების საპასუხოდ, მისთვის ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ორხელისუფლებიანობას მიიღებს. რეზო შავიშვილი იმედოვნებს, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით, ჩვენს საზოგადოებაში აღმოჩნდება საკმარისი რეზერვი იმისათვის, რომ კანცელარიის ანტისახელმწიფოებრივმა წამოწყებამ კრახი განიცადოს.

## საზოგადოება

# ხუთჯვრიანი დროშის „რისხვა" სხვებსაც დაატყდა თავს


შარაძე ჩვეულ ამპლუაში

*ჩვენი ქვეყნის უახლესი პოლიტისტორიის პარადოქსების წყალობით, პარლამენტარ გურამ შარაძეს საპრესკონფერენციო თემის გამოძებნა ნამდვილად არ უჭირს და მოწინააღმდეგეთა "დუელში" გამოწვევაც მშვენივრად ეხერხება. მორიგ პრესკონფერენციაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მან ამჯერადაც არ უღალატა ჩვეულებას.*

ნანა ქადაგიშვილი

**"საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ რამდენიმე დღის წინათ გამართული პრესკონფერენციით უდიდესი პატივი დაგვდო. 25 წელია, რაც იგი პატრიარქია, ამ ხნის მანძილზე საქართველოს ცხოვრებაში უამრავი უმნიშვნელოვანესი რამ მოხდა, მას კი პრესკონფერენცია აქამდე ერთხელაც არ გაუმართავს",** - შარაძემ პატრიარქის საპასუხო პრესკონფერენცია სამადლობელი სიტყვებით დაიწყო, შემდეგ კი პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში შეკრებილ ჟურნალისტებს ისევ მერიის შენობის თავზე მოფრიალე ხუთჯვრიანი დროშის კათოლიკურ-ჯვაროსნული წარმომავლობა შეახსენა.

პრესკონფერენციაზე ისტორიკოს ნუკრი შოშიაშვილის ქალიშვილმა წარმოგვიდგინა მამამისის მიერ პრეზიდენტისადმი მიწერილი წერილი, სადაც ისტორიკოსი პრეზიდენტს აფრთხილებს, მართლმადიდებლურ საქართველოში ჯვაროსნული დროშის გაბატონებას ნუ დაუშვებო. ამის გარდა, გურამ შარაძემ დარბაზში შეკრებილთ აჩვენა მოსკოვში გამოცემული წიგნი "ჯვართმტვირთველნი", რომლის ყდაზე გამოსახულ ჯვაროსნებს ხელში ხუთჯვრიანი დროშა უჭირავთ. "ჩვენი მერიის შენობის თავზე რომ დროშა არჭვია, მასეთს ჰუნების მეთაური ატილა დააფრიალებდაო", - გაამძაფრა თემა შარაძემ.

ხუთჯვრიანი დროშის წარმომავლობის განხილვის შემდეგ მან სამომავლო პრესკონფერენციის აქცენტებზეც იზრუნა და რამდენიმე მაღალჩინოსანს უკბინა. **"სად არის როინ მეტრეველი, რატომ არ იღებს ხმას. ქვეყანაში ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი წყდება, ის კი ივანე ჯავახიშვილის ნაჯდომ სავარძელში გატრუნულა. ხმა ამოიღოს, თორემ მერე მაგისთვისაც გვიან იქნება და საქართველოსთვისაც",** - დაემუქრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს შარაძე და შემდეგ ვიცე-მერი გიორგი კარბელაშვილი გაიხსენა: **"მამამისი კავშირგაბმულობაზე დაწერილი წერილებით ირჩენდა თავს, ეგ კი კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე გახდა და ახლა ვიცე-მერობასაც გამოჰკრა ხელი. ასეთი კაცი გვეუბნება, - ხალხი თქვენი გამოსვლებით ვეღარ ერთობაო. გართობა და მასკარადი მერიასა და საკრებულოში მოიკითხოს."**

ხუთჯვრიანი დროშის "რისხვამ" ბასრი კბილი "რუსთავი 2"-საც გაჰკრა, - თვითონ რომ სიტყვის თავისუფლებას ითხოვდა და მთელი საქართველოააყვირა, მე და ჩემს მომხრეებს რატომ არ გვალაპარაკებსო. შარაძე ტელეკომპანიის ოფისის პიკეტირებითაც დაიმუქრა.

ალბათ, გურამ შარაძეს ხუთჯვრიანი დროშის თემაზე მორიგი საპასუხო პრესკონფერენცია "არ ასცდება" - ზემოთ მოხსენიებულ პირთაგან ერთი მაინც ხომ გამოეხმაურება.

# აფხაზეთი რუსეთში შესვლას ირჩევს

პირველი გვერდიდან

**დაკავშირება კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანასთან ამორალობაა."**

აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსული პასპორტების დარიგების აქციაზე მოკოვში არძინბას წარმომადგენელს შემდეგი თვალსაზრისი აქვს:

**- აფხაზეთის მოსახლეობის მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღება არ ეწინააღმდეგება მსოფლიოში არსებულ საერთაშორისო ნორმებს. თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს, ამის გადაწყვეტა ნებისმიერი ადამიანის უფლებაა. დამისახელეთ, რომელ დეკლარაციაში წერია, რომ მოქალაქეს არა აქვს უფლება მიიღოს იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომლიც მას სურს."**

მოსკოვში აფხაზთა ლიდერის წარმომადგენლის თქმით, **„აფხაზეთის მოსახლეობას დღემდე არ მიუღია საქართველოს მოქალაქეობა, ანუ ისინი მექანიკურად დღემდე სსრკ სამართალმემკვიდრეებად ითვლებიან. ამ მომენტის გათვალისწინებით აფხაზებმა რუსეთის მოქალაქეობის მიღება გადაწყვიტეს".**

**- რუსეთის ინტერესებშია შეინარჩუნოს სტაბილურობა რეგიონში. რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შეუცვლელია. ამ სტაბილურობის ეფექტურობა და ყველა სადავო საკითხი თბილის-სოხუმს შორის გარანტირებული მშვიდობის პირობებში უნდა გაირჩეს. აფხაზეთის პრეზიდენტმა გასულ წელს თხოვნით მიმართა პრეზიდენტ პუტინს რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის ასოცირებულ წევრად მიღებაზე. ამით ყველაფერი ნათქვამია, აფხაზმა ხალხმა თავისი არჩევანი უკვე გააკეთა,** - აცხადებს იგორ აჰბა.

# ქართულმა მხარემ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში სრული პოლიტიკური კრახი განიცადა

პირველი გვერდიდან

**პრეზიდენტის სრულ პოლიტიკურ უღონობას."**

რაც შეეხება აფხაზეთის კონტექსტში საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს, მოსკოვის კარნეგის ცენტრის ექსპერტის **დმიტრი ტრენინის** აზრით, **„ის, რაც დღეს მოსკოვი-თბილისს შორის ხდება, იმაზე მეტყველებს, რომ აფხაზეთის საკითხში სრული ჩიხია. მოსკოვი ითვალისწინებს ამ ვითარებას. ამიტომ ცდილობს, საკუთარი გავლენის სფეროში დატოვოს ეს მნიშვნელოვანი რეგიონი. რუსეთის პოლიტიკური წრეები ყველაფერს აკეთებენ, რათა აფხაზეთი ხელიდან არ გაუშვან და ამ გზით შეინარჩუნონ თავიანთი გავლენა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. დღეს მოსკოვი ამით საფუძველს იმყარებს შევარდნაძის შემდგომ საქართველოში გავლენის სფეროების დასატოვებლადაც."** მიუხედავად ამისა, ტრენინი დარწმუნებულია, რომ რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლას არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია, არც ახლა და არც მომავალში, ხოლო აფხაზეთის კონფლიქტისადმი დამოკიდებულებას განსაზღვრავს ის, თუ როგორ პოლიტიკას გაატარებს კრემლი დნესტრისპირეთში, როგორი იქნება მოსკოვი-კიშინიოვისა და მოსკოვი-ტირასპოლის ურთიერთობები.

შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს ასეთ პირობებში თბილისი, ექსპერტი პასუხობს: **„უკანასკნელ პერიოდში მოსკოვისადმი თბილისის პროვოკაციულმა ქმედებებმა აფხაზეთში გატარებულ პოლიტიკაზეც ჰპოვა ასახვა. პანკისის ხეობის მოვლენებმა და საქართველოს ლიდერთა მთელმა რიგმა პოლიტიკურმა განცხადებებმა მოსკოვში უკუეფექტი გამოიწვია".**

# პრეზიდენტი აფხაზეთის ანექსიის ნიშნებს ხედავს

პირველი გვერდიდან

## ისევ და იმავე ბიუჯეტზე!

**„პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის თანამშრომლობის მხრივ ბევრი სასიკეთო გაკეთდა და თანამშრომლობისათვის დიდი საფუძველი არსებობს",** - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა.

მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ **„გასული წლის განმავლობაში პარლამენტმა მიიღო პრეზიდენტის მიერ წარდგენილი 109 კანონპროექტი. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტთა დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ განუხილველია".**

საგანგებოდ აღსანიშნავი გახლავთ ისიც, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ამ შემთხვევაში საყვედური, პარლამენტზე მეტად, უკვე იმ სამინისტროების მისამართით გამოთქვა, რომლებიც **„პარლამენტში შეტანილ კანონპროექტებს ბოლომდე უნდა მიჰყვებოდნენ".**

საერთოდ კი, ედუარდ შევარდნაძემ გუშინ, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, პარლამენტის მუშაობა დადებითად შეაფასა. შეგახსენებთ, რომ ოთხი დღის წინ პრეზიდენტმა პარლამენტი ქმედითუნარიანობის დაქვეითებაში და საკანონმდებლო მუშაობის შეფერხებაში დაადანაშაულა.

პარლამენტის შეფასებისგან განსხვავებით, ფირფიტა არ გადაუტრიალებია საქართველოს პრეზიდენტს 2003 წლის ბიუჯეტის პროექტზე საუბრისას. **„2003 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დაგვიანებამ უკვე შეგვიშალა ხელი იმ სოციალური სისტემების ამოქმედებაში, რაც პროექტშია გათვალისწინებული,** - ისევ განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა და ისაუბრა იმ პროექტებზე, რომლებიც ბიუჯეტის დამტკიცების გაჭიანურების გამო ფერხდება, **- შეფერხდა ხელფასების მომატება უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებისათვის, რაც იანვრიდან უნდა განხორციელებულიყო. გარდა ამისა, სექტემბრიდან ხელფასების ზრდა დაგეგმილი იყო საშუალო სკოლების პედაგოგებისათვის და ეს პროცესიც შეფერხდა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასევე შიდა ინვესტირებას, რისთვისაც საკმაოდ დიდი თანხებია გამოყოფილი... ამავე დროს ბიუჯეტის პროექტით იზრდება ხარჯები თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად."**

ამჯერად საქართველოს პრეზიდენტს ბიუჯეტთან მიმართებაში უმრავლესობის არსებობა საგანგებოდ არ აღუნიშნავს, თუმცა ისევ თქვა, რომ ბიუჯეტის პროექტის ჩავარდნა უფრო არაორგანიზებულობის ბრალი იყო, ვიდრე - სათანადო მხარდამჭერთა ხმების არარსებობის.

## საქართველოს სიმბოლიკის ბედს „უფრო დიდი კომისია" გადაწყვეტს

**„დროშა არ არის მხოლოდ სახელმწიფოს ოფიციალური სიმბოლო, იგი ამავე დროს დიდი საზოგადოებრივი შეთანხმების გამოხატულებაცაა,"** - განაცხადა შევარდნაძემ. მისი თქმით, საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო დროშა გარკვეული სახელმწიფოებრივი პოლიტიკური კოდის მატარებელია და ის არავითარ განხეთქილებას არ იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგს მოსწონს და ზოგს - არა.

**„ეს არ ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი სახელმწიფო დროშა სრულყოფილია ჰერალდიკური თვალსაზრისით. ჰერალდიკოსებს მართლაც ბევრი კითხვა აქვთ, მაგრამ, რაც მთავარია, დროშა დაამტკიცა საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ და ამჟამად ის ქვეყნის სიმბოლოა",** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ელდარ შენგელაიას ხელმძღვანელობით არსებული კომისიის პარალელურად, უნდა შეიქმნას უფრო დიდი კომისია საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, რომელიც სიმბოლიკაზე იმუშავებს.

**„ისე, არაფერი მოხდება, ჩემი პრეზიდენტობის ვადაში რომ არ მოესწროს ახალი დროშის დამტკიცება. მოვა ჩემს შემდეგ ჩემზე ჭკვიანი კაცი და..."** - ჩვეულებისამებრ იხუმრა ედუარდ შევარდნაძემ.

## მინიმალურ ხელფასზეც...

ქვეყნის პრეზიდენტი რადიოინტერვიუშიც და ბრიფინგზეც გამოეხმაურა მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის თემას: **„ზოგი იძახის, 115 ლარამდე გავზარდოთ მინიმალური ხელფასიო. ეს რომ დავამტკიცოთ, ბიუჯეტი აღარ გვექნება. ქალალდი დავარიგოთ ფულის მაგივრად? მე შემიძლია ვთქვა, ხელფასი 1000 ლარამდე გავზარდოთ-მეთქი. არ მეგულება პრეზიდენტი, რომელსაც არ უნდა, ხალხი მაღალ ხელფასს იღებდეს,"** - თქვა და მინიმალური ხელფასის თემა ამით ამოწურა.

## არც აშშ-ს ვაწყენინებთ, არც - ირანს?!

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა კომენტარი გააკეთა ირანში მომუშავე ქართველ სპეციალისტთა თაობაზე.

**„თავის დროზე ჩვენ თვითმფრინავები მივყიდეთ ირანს. ამ თვითმფრინავებს შეკეთება სჭირდებოდა და სპეციალისტებიც წაიყვანეს. ჩვენი ინფორმაციით, ირანში აფხაზეთის ინსტიტუტიდანაც, მოგეხსენებათ, რა ინსტიტუტიც იყო ეს, მუშაობენ სპეციალისტები. ძნელია, რომ ხალხს, რომელიც შემცირებაში მოყვა და დღეს თავისუფალია, მუშაობა აუკრძალო. ახალ საბრძოლო თვითმფრინავებს კი საქართველო ირანს არ მიჰყიდის",** - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა.

# ახალი გაუგებრობა პენსიების ირგვლივ

*"ეროვნულ ძალთა გაერთიანება" ლეიბორისტების მიერ დაწყებულ მარათონს აგრძელებს და სასამართლოში სოციალური ხასიათის მორიგი სარჩელის შეტანით იმუქრება. ამჯერად საქმე წლების განმავლობაში დაგროვილი საპენსიო დავალიანების გასტუმრებას ეხება. გაერთიანებაში აცხადებენ, რომ არ აპირებენ, გულხელდაკრეფილები ელოდონ, როდის დააკმაყოფილებს ხელისუფლება ქვეყნის ყველაზე დაუცველ ფენას.*

მაკა ჭაიანი

**"2003 წლის ბიუჯეტში, რომელიც ახალი არაფრითაა და, ფაქტობრივად, გასული წლის ბიუჯეტის გაგრძელებას წარმოადგენს, შიდა ვალის დასაფარად 25 მილიონი ლარია ჩადებული. ეს მაშინ, როდესაც გასული წლების პენსიების, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსების თვალსაზრისით, სახელმწიფოს ვალმა 320 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან 100 მილიონი ლარი სახელფასო დავალიანებაა, 80 - საპენსიო. ეს 25 მილიონი 2002 წელს წარმოქმნილი შიდა ვალის გასასტუმრებლად არის გამოყოფილი და ერთი ლარითაც ვერ შეამცირებს პენსიონერების მიმართ არსებულ დავალიანებას. ამ ფულიდან კიდევაც რომ გადაედოთ რამე პენსიონერთა ვალის დასაფარად, ამ ტემპებით მათ გასტუმრებას სახელმწიფო, მინიმუმ, 15 წლის განმავლობაში თუ შეძლებდა. ეს არის სასტიკი და ცინიკური დამოკიდებულება ხანდაზმული ადამიანებისადმი, რომლებიც ქვეყანის ყველაზე სუსტ და უმწეო ფენას წარმოადგენენ",** - ასეთია "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" განცხადება, რომელიც გუშინ ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმა გააჟღერეს.

ორგანიზაცია საკუთარი აღშფოთების გაზიარებას პარლამენტის თავმჯდომარისა და ყველა საპარლამენტო ფრაქციისთვის აპირებს. გაერთიანებაში იმედოვნებენ, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მხარს დაუჭერენ მათ წინადადებას და წლევანდელ ბიუჯეტს იქამდე არ დაამტკიცებენ, ვიდრე მასში 25 მილიონი მარტო საპენსიო დავალიანების გასასტუმრებლად არ იქნება გათვალისწინებული.

**"ამ გზით 80 მილიონის დაფარვას ოთხი წელი დასჭირდება, დამატებით 25 მილიონის მოძებნა კი სახელმწიფოს არ უნდა გაუჭირდეს. საპრივატიზაციო ობიექტებს რომ მარჯვნივ და მარცხნივ აჩუქებენ, შრომისუუნარო მოქალაქეებზეც იფიქრონ. "აზოტს", რომელსაც 100 მილიონის მარტო აქტივები აქვს, 500 ათას ლარად ჩუქნიან რუსებს. ნუ აჩუქებენ! აუქციონის წესით გაყიდონ და პენსიონერებს კუთვნილი ფული გადაუხადონ. უცხოელებს ხომ ულაპარაკოდ უსტუმრებენ ვალს,"** - კითხულობს კობა დავითაშვილი.

იმ შემთხვევაში, თუკი "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" მოთხოვნა 2003 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იქნა, ორგანიზაცია მესამე ხელისუფლებაში აპირებს ჩივილს. მოტივი ასეთი გახლავთ: პენსიონერებს არა ჰყავთ ლობი პარლამენტში, რომ საკუთარი უფლებები დაიცვან, არა აქვთ საშუალება, სასამართლოში სარჩელი შეიტანონ და ბაჟი გადაიხადონ, ადვოკატი დაიქირაონ, ისინი, ფაქტობრივად, უპატრონოდ არიან დარჩენილნი. ეროვნულ ძალთა გაერთიანების განცხადებების მიხედვით, ამიერიდან საქართველოს პენსიონერებს ქომაგად სწორედ ეს ორგანიზაცია უდგება.

იქ, სადაც პენსიონერთა ქომაგობა დებულებით ევალებათ, ანუ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში, აცხადებენ, რომ კარგი იქნებოდა, პოლიტიკური პარტიები ჯერ კარგად გარკვეულიყვნენ სიტუაციაში და ხმამაღალი განცხადებები შემდეგ ეკეთებინათ. **"ბიუჯეტი ჯერ დამტკიცებული არ არის და იმის თქმა, ეს 25 მილიონი რეალურად არსებობს თუ არა, მეც მიჭირს,** - ამბობს ფონდის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, დავით გოდერძიშვილი, **- ეს ზოგადი ციფრია, რომელიც საერთოდ ვალების დასაფარად არის გათვალისწინებული. ჯერ არც ის იცის ვინმემ, აქედან რამდენი გამოიყოფა საპენსიო დავალიანებისთვის. დანამდვილებით იმის თქმა შემიძლია, რომ საპენსიო დავალიანების, მინიმუმ, 10 მილიონით შემცირება უშუალოდ ჩვენ გვიზის ბიუჯეტში. გარდა ამისა, მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ეს დავალიანება მიწის გადასახადში გაიქვითება. ამით ვალი 50 მილიონით მაინც შემცირდება. ჯამში, საუბარია დავალიანების 60 და არა 25 მილიონით შემცირებაზე."**

სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში იმასაც აღნიშნავენ, რომ პოლიტიკურ პარტიას გაუჭირდება მათ წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა, რადგან ფონდს კონკრეტული პენსიონერების ვალი აქვს და არა "ეროვნულ ძალთა გაერთიანების". იგივე ეჭვს გამოთქვამენ დამოუკიდებელი იურისტებიც. **"ეს სამოქალაქო წესით განსჯადი საკითხია და მის თაობაზე კონკრეტულმა პენსიონერმა კონკრეტული სარჩელი უნდა შეიტანოს. პოლიტიკურ ორგანიზაციას იმ შემთხვევაში ექნებოდა ჩივილის შესაძლებლობა, თუკი იარსებებდა რაიმე ადმინისტრაციული აქტი, რომელიც საპენსიო დავალიანების გაცემას აკრძალავდა. ასეთი რამ კი, რამდენადაც ვიცი, არ არსებობს",** - განმარტავს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი, ვლადიმერ სანიკიძე. ამასთან დაკავშირებით მოსამართლის გადაწყვეტილება თვის ბოლოსთვის გახდება ცნობილი. შეიძლება, საქმე სასამართლომდე არც მივიდეს. იქამდე საპარლამენტო კონსულტაციებია.

## მოკლედ

**თბილისი.** 2003 წლის თებერვლიდან თბილისის მოსახლეობა მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებას, სავარაუდოდ, ძველი - 12,4 თეთრის ოდენობის ტარიფით გადაიხდის. საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ გაზრდილი ტარიფის საკომპენსაციოდ "ეი-ი-ეს თელასს" უკვე გადაურიცხა 5,9 მილიონი ლარი. „ეი-ი-ეს"-ის ლობისტის ირაკლი მელაშვილის განცხადებით, დარჩენილი 1,9 მილიონი ლარის გადარიცხვას მთავრობა ამერიკულ კომპანიას უახლოეს დღეებში დაჰპირდა. მოსახლეობა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს 13,7 თეთრამდე გაზრდილი ტარიფით ნოემბრიდან იხდის. მთავრობაში აცხადებენ, რომ კომპენსაციის გადახდის შემდეგ თბილისელების მიერ უკვე გადახდილი ზედმეტი თანხა დეპოზიტში გადავა. **„ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისში ჩამოვლენ ეკონომიკურ საკითხებში საქართველოს მთავრობის მრჩევლის ლეშეკ ბალცეროვიჩის ჯგუფის ექსპერტები. კონტრაბანდის საკითხებზე მომუშავე სამი ექსპერტი, იან ვოიცესჩუკის ხელმძღვანელობით, ერთი კვირის მანძილზე იმუშავებს ფინანსთა სამინისტროში, საბაჟო დეპარტამენტში, საგანგებო ლეგიონსა და საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში. ექსპერტების მიზანია იმ საკანონმდებლო ინიციატივის მომზადება, რომელიც ითვალისწინებს ახალი სტრუქტურის – საფინანსო პოლიციის შექმნას. საფინანსო პოლიციის შექმნის იდეა სწორედ ბალცეროვიჩის ჯგუფს ეკუთვნის. **„მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**ფოთი.** დღეს ფოთის პორტში შემოვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისთვის საჭირო აღჭურვილობითა და მასალით დატვირთული პირველი ბრიტანული გემი. შევარდნაძის განცხადებით, „ეს ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების პროცესში ათვლის წერტილად შეიძლება ჩაითვალოს." ასეთივე გემები უახლოეს ხანებში ბათუმის პორტშიც შემოვა. **„ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** „თბილწყალკანალზე" გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე კომპანიების ტექნიკური წინადადებების პაკეტი ხვალ გაიხსნება. პაკეტის გახსნის შემდეგ სამი კვირის განმავლობაში, ტენდერში გამარჯვებული კომპანიები თავიანთ ფინანსურ წინადადებებს წარმოადგენენ. გამარჯვებული „თბილწყალკანალს" ათი წლით მართვის უფლებით ჩაიბარებს და მსოფლიო ბანკისგან „თბილწყალკანალის" მიერ 40 წლის ვადით აღებული 25 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტის ფარგლებში ქსელების რეაბილიტაციას განახორციელებს. ტენდერში, რომელიც 2002 წლის 26 აგვისტოს გამოცხადდა, ორი ფრანგული, იტალიური, ბრიტანული და გერმანული კომპანიები მონაწილეობენ. **„ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერის ვანო ზოდელავას აზრით, დეკემბერში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური ცენტრალურმა ბიუჯეტმა უნდა გადაიხადოს. ამის შესახებ ქალაქის მერმა დღეს მერიაში გამართულ თათბირზე განაცხადა. მისი თქმით, დეკემბერში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს, რომელიც 9 მილიონ ლარს შეადგენს, ქალაქის მუნიციპალიტეტი არ გადაიხდის და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ამჟამად „თბილგაზის" მეპატრონე ქონების მართვის სამინისტროა. შეგახსენებთ, რომ 9 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანება 15 იანვრამდე უნდა დაიფაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსული კომპანია „იტერა" 15 იანვრიდან საქართველოს გაზის მოწოდებას შეუწყვეტს. **„კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** „უახლოეს 10 წელიწადში კასპიის აუზი, შესაძლოა, იქცეს ოპეკ-ში შემავალი ქვეყნებისათვის ნავთობის მთავარ მიმწოდებლად. მსოფლიო ეკონომიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამ პერიოდში უზრუნველყოფილ იქნას მსოფლიოს ბაზრებზე ნავთობისა და გაზის შეუფერხებელი მიწოდება. კასპიის რეგიონის ენერგორესურსები უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მთელი მსოფლიოს ენერგოუზრუნველყოფისათვის. აშშ-ც მხარს უჭერს ამ რეგიონში რეალიზებულ ენერგეტიკულ პროექტებს". ამგვარი განცხადება გააკეთა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა კონფერენციის „კასპიის რეგიონის ენერგეტიკული საკითხები: პერსპექტივები აშშ-ს ნავთობისა და გაზის კომპანიებისათვის" მსვლელობისას, რომელიც გასულ კვირას ნიუ-ორლეანში (აშშ) საერთაშორისო სავაჭრო ცენტრში გაიმართა. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ბოლო წლებში აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ეკონომიკაში, დაახლოებით, 20 მილიარდი დოლარის ინვესტიციები განხორციელდა, რომელთა დიდი ნაწილი მოხმარდება ნავთობისა და გაზის სექტორის განვითარებას. **„კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** „ეი-ი-ეს თელასის" მიერ ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივილი "ეი-ი-ეს კორპორაციის" გაკოტრებას გამოიწვევს," – აცხადებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი. ის დარწმუნებულია, რომ „ეი-ი-ეს თელასი" არა მარტო წააგებს საქმეს, არამედ კონტრაქტის პირობების დარღვევისათვის იმხელა ჯარიმა დაეკისრება, რომ ეს "ეი-ი-ესის" სათავო ოფისის გაკოტრებასაც გამოიწვევს. ლეიბორისტების ლიდერის განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება უკვე გატარებულია ვენეციის კომისიის (რომელიც აერთიანებს მსოფლიო საკონსტიტუციო სასამართლოებს) დონეზე და იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. **„კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**ბაქო.** "მსოფლიო ბანკის" დელეგაცია ბაქოში მთავარი სპეციალისტის კრისტიან პეტერსენის ხელმძღვანელობით ჩავიდა. ვიზიტი, რომელიც 24 იანვრამდე გაგრძელდება, მიზნად ისხავს აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან 30 მილიონი დოლარის ტრანშის გამოყოფის საკითხის განხილვას. აღნიშნული ტრანში სტრუქტურული გარდაქმნების (SAC-66) პროექტის მეორე ეტაპის დაფინანსებას უნდა მოხმარდეს. მიმდინარე საფინანსო წელს კი აზერბაიჯანი მსოფლიო ბანკისაგან, დაახლოებით, 90-105 მილიონი დოლარის კრედიტს მიიღებს. თანხები მოხმარდება აზერბაიჯანის განათლების სისტემაში რეფორმების პირველი პროექტის განხორციელებას, ირიგაციული სისტემების რეკონსტრუქციასა და სხვა საკითხების დაფინანსებას.

თანამშრომლობის ათი წლის მანძილზე აზერბაიჯანმა მსოფლიო ბანკისაგან 530 მილიონი დოლარის კრედიტი მიიღო 18 პროექტის დასაფინანსებლად. **„კავკას-პრესი"**

## „ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერის" თავკაცი თანამდებობას ტოვებს

თორნიკე შარაშენიძე

მსოფლიოს უდიდესი მედია-გიგანტის „ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერის" თავკაცი სტივ კეისი თავის პოსტს ტოვებს. ეს მოხდება მაისის თვეში, დანიშნულ აქციონერთა შეხვედრაზე. კეისის თქმით, ეს გადაწყვეტილება მან კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო. თუმცა, იგი მედია-გიგანტში ერთ-ერთი დირექტორის იმ პოსტზე გააგრძელებს მუშაობას, რომელიც კომპანიის სტრატეგიას განსაზღვრავს.

კეისი „ამერიკა ონლაინისა" და „თაიმ უორნერის" გაერთიანების სულისჩამდგმელი გახლდათ და მისი გადადგომა სწორედ ამით აიხსნება. უმსხვილესი მედია-იმპერიის შექმნის მიუხედავად, ამ გარიგებას წარმატებული ნამდვილად არ ეთქმის. გაერთიანებული კომპანიის აქციები კატასტროფულად დაეცა და გასულ წელს მსოფლიო ბიზნესის ისტორიაში არნახული ზარალი ნახა.

კეისის თქმით, აქციონერები ამ წარუმატებლობებში სწორედ მას ადანაშაულებენ და ასეთ ვითარებაში იგი თავის პოსტზე ვერ გაჩერდება.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ
2003 8 - 14 იანვრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | Euro | Yen |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6241 | 0.6574 | 0.0052 |
| US$ | 1.6022 | | 1.0539 | 0.0084 |
| Euro | 1.5212 | 0.9488 | | 0.0079 |
| Yen | 191.43 | 119.43 | 125.84 | |

2003 წლის 14 იანვრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.3201 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.5343 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5899 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2000 | ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3205 | ლარი |
| იაპონური იენი | 1 | 0.1845 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0691 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4493 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3777 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1256 | ლარი |

# საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას მოსკოვი განაგებს

პირველი გვერდიდან



იგნასიო ირიბარენი ამერიკული "ეი-ი-ესი"-დან.



თამაზ პატარიძე რუსული "იტერა"-დან.

საქართველოში თამაზ პატარიძე და მიიჩნევს, რომ თუ საქართველომ „იტერას" კვლავ დაუგვიანა გაზის საფასურის გადახდა, დამატებით შეღავათებს აღარ უნდა ელოდეს.

მოსკოვის ვიზიტზე დიდ იმედებს ამყარებდა „თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა და „იტერასგან" ძველი, 1998 წლის ვალების პატიებას ელოდა. თუმცა, როგორც „იტერას" სათავო ოფისში განმარტავენ, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მიერ პანაცეად მიჩნეული „ვალების რესტრუქტურიზაცია" ძველი დავალიანების საერთოდ პატიებას არ გულისხმობს. უბრალოდ, „თბილგაზს" ვალების გადახდის გრაფიკი დაუმტკიცდება. **„თუ თანხების გადახდა ქართულმა მხარემ ისევ არ დააგვიანა, „იტერა" ამ დავალიანებაზე „თბილგაზს" არც ახალ საჯარიმო საურავებს დაარიცხავს და არც საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლებს,"** – აცხადებს პატარიძე.

ასეა თუ ისე, „იტერასთან" „თბილგაზის" პირდაპირი ხელშეკრულება უკვე გაფორმდა. მაგრამ ამ თემამ, გარკვეულწილად, გადაფარა მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი: საქართველოს სამთავრობო დელეგაციის მოლაპარაკება **„РАО ЕЭС РОССИИ"**-სთან. არადა, ეს საკითხი უფრო და უფრო აქტუალური ხდება. საქმე ისაა, რომ რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი" კვლავ გამორთულია. ელექტროენერგიის ის რაოდენობა, რომელიც „ეი-ი-ეს თელასმა," წინმსწრები გადახდის რეჟიმით, რუსეთისგან წინასაახალწლოდ შეიძინა, საქართველომ უკვე მოიხმარა.

როგორც „საქართველოს გაერთიანებული ენერგოსისტემის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ბეგიაშვილი აცხადებს, **„დავით მირცხულავა მოსკოვს იმიტომ გაემგზავრა, რომ გაარკვიოს, თუ რა სიმძლავრის მოწოდება შეუძლია რუსეთს."** ბეგიაშვილი ვარაუდობს, რომ ამ საკითხზე კონკრეტული პასუხის მიღების შემდეგ, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო გადაწყვეტს, თუ რამდენი ელექტროენერგია უნდა იყიდოს **„РАО ЕЭС РОССИИ"**-სგან „ეი-ი-ეს თელასმა" და რამდენი – „გაერთიანებულმა სადისტრიბუციო კომპანიამ".

თუმცა, საეჭვოა, მხოლოდ დენის იმპორტი იყოს „რუსეთის გაერთიანებულ ენერგოსისტემასთან" საქართველოს სახელმწიფო მინისტრის საუბრის ერთადერთი თემა. ამ ცოტა ხნის წინ სამთავრობო კულუარებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართულ ენერგოსადისტრიბუციო ბაზარზე „ეი-ი-ესი", შესაძლოა, „რუსეთის გაერთიანებული ენერგოსისტემით" ჩანაცვლდეს. თუ ასეა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთავრობის ოფიციალური დიალოგი **„РАО ЕЭС РОССИИ"**-სთან, უკვე დიდი ხანია, იგეგმებოდა.

მას შემდეგ, რაც „ეი-ი-ეს თელასსა" და სემეკ-ს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ელექტროენერგიის ტარიფის გადახედვა მოსთხოვა, ამერიკულმა კომპანიამ საქართველოდან წასვლის მუქარა გაიხსენა. „ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორის, იგნასიო ირიბარენის თქმით, უკვე დიდი ხანია, რაც „ეი-ი-ესი" განიხილავს, შეინარჩუნოს თუ არა თავისი ქონება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. **„განიხილება აბსოლუტურად ყველა კომპანიის შენარჩუნება-გაყიდვის საკითხი: ინგლისში, ბრაზილიაში, არგენტინაში, კალიფორნიაში.. ასევე განიხილება „ეი-ი-ეს თელასის" საკითხიც,"** – აცხადებს ირიბარენი.

სასამართლოს გადაწყვეტილება „ეი-ი-ესმა" შეურაცხყოფად მიიღო და მიიჩნია, რომ ამ ნაბიჯით საქართველოს მთავრობა ამერიკულ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არღვევს. „ეი-ი-ესმა" ურთიერთობების მოსაგვარებლად ქართულ მხარეს ერთი კვირის ვადა დაუთქვა, რომლის გასვლის შემდეგაც ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივილს აპირებს. **„მიმაჩნია, რომ, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გამო, პრობლემა თავად მთავრობას აქვს, რადგან ჩვენ ხელშეკრულება საკონსტიტუციო სასამართლოსთან კი არა, მთავრობასთან გავაფორმეთ,"** – ამბობს იგნასიო ირიბარენი.

**"ეი-ი-ეს თელასის" საქმე ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლომდე არ მივა, რადგან ამერიკულ კომპანიაში ყველაფერი გამჭვირვალე არ არის. არსებობს ეჭვი, რომ ბევრი ოპერატიული ხარჯი ინვესტიციად არის ჩათვლილი, ამიტომ „ეი-ი-ეს თელასს" თავად არ უნდა აძლევდეს ხელს საკუთარი შიდა მეურნეობის გამომზეურება,"** – მიიჩნევს ეკონომისტი სანდრო თვალჭრელიძე.

თუმცა, საპირისპიროს აცხადებს თავად „ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი. **„ეი-ი-ესის" საქართველოში არსებული ქონება პირველივე დღიდან პრობლემატური იყო. ამის გამო შარშან კორპორაცია „ეი-ი-ესმა" თავისი ქართული აქტივები ზარალიანი კომპანიების ნუსხაში შეიტანა,"** – განმარტავს იგი. ირიბარენის თქმით, მართალია, „ეი-ი-ეს თელასი" ახლა გაცილებით უკეთ მუშაობს, ვიდრე შარშან, მაგრამ მოგებიანი კომპანია ჯერაც არ არის: **„საქართველოში ფიქრობენ, რომ „ეი-ი-ესთვის" „თელასის" შეძენა საუკუნის საუკეთესო გარიგება იყო. მე არ ვიცი, რა მონაცემებს ემყარება მათი ინფორმაცია, ვინც ასე ფიქრობს, მაგრამ ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით, ეს ძალიან შორს არის სინამდვილისგან. „ეი-ი-ესს" ჯერაც არ დაუწყია თავისი ინვესტიციის ამოღება."**

„ეი-ი-ესი" საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას პოლიტიკური მოტივებით ხსნის. **„ჩვეულებრივ, საკონსტიტუციო სასამართლოები ასეთ საკითხებს არ იხილავენ. მე არ ვიცი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაში რა შედის, მაგრამ ბევრი სხვადასხვა ჭორი გავიგე ამ თემასთან დაკავშირებით. ვიცი, რომ არჩევნების წელია, ყველაზე პოპულარული კი ამ ქვეყანაში – „თელასზე" დარტყმაა,"** – აცხადებს იგნასიო ირიბარენი. იგი რუსეთის მხრიდან „თელასის" მიმართ დაინტერესებას არ გამორიცხავს და დასძენს: **„მე არ ვმონაწილეობ იმ საკითხის გადაწყვეტაში, თუ ვის შეიძლება მიჰყიდოს „ეი-ი-ესმა" „თელასის" აქციები. თუმცა, როცა კომპანია თავისი აქტივების გაყიდვის საკითხს აანალიზებს, ეს ნიშნავს, რომ კონკრეტული დაინტერესება ამ აქტივების მიმართ უკვე არსებობს."**

## „ქართუ ჯგუფი" ახალი პრეზიდენტის მოლოდინშია

ნინო ნარჩემაშვილი

სააქციო საზოგადოება "ქართუ ჯგუფი" მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებისთვის ემზადება. ორგანიზაციის ყოფილი პრეზიდენტი გურამ ჩაგელიშვილი სამუშაოდ რუსეთის დედაქალაქში მიემგზავრება. სამი წლის წინათ კი "ქართუს" მფლობელმა ბიძინა ივანიშვილმა იგი პეტერბურგიდან თბილისში გადმოიყვანა, რათა საქმე გამოსწორებულიყო. უახლოეს დღეებში "ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს წარსულში "ქართუ ბანკის" მუშაკი, შემდგომ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კი შპს "ქართუ უნივერსალის" დირექტორი გიორგი ლომაია. პრეზიდენტის შეცვლას, სავარაუდოდ, შიდა საკადრო ცვლილებები და რეორგანიზაციაც მოჰყვება.

შეგახსენებთ, რომ სააქციო საზოგადოება "ქართუ ჯგუფი" საქართველოში აწარმოებს საბანკო საქმეს, გახსნილი აქვს მეტალის შემცველი ნივთიერებების, ფეხსაცმლისა და საკვები პროდუქტების წარმოების ობიექტები. "ქართუ ბანკი" მიმდინარე წელს გაფართოებასა და ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვას გეგმავს. სამიოდე თვის წინათ, მთელი ხელმძღვანელობა შეიცვალა ტელეკომპანია "მეცხრე არხზეც", რომელიც ივანიშვილის "ქართუ"-ლი იმპერიის ნაწილია.

ქართულ საფინანსო და საბანკო წრეებში გიორგი ლომაიას შესახებ, ფაქტობრივად, არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ. მხოლოდ აღნიშნავენ, რომ სს "ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტის პოსტი თავისი მნიშვნელობით მინისტრის თანამდებობას უტოლდება.

უშუალოდ "ქართუს" ადმინისტრაციაში ახალი ხელმძღვანელის მისვლამდე კომენტარს არ აკეთებენ სამომავლო გეგმებისა თუ პერსპექტივების, აგრეთვე ორგანიზაციის პრეზიდენტის ვინაობის შესახებ. ერთი კი ნათელია – გიორგი ლომაია "ქართუ"-ში, მისი წინამორბედისგან განსხვავებით, უცხო ადამიანი არ უნდა იყოს.

თავად გიორგი ლომაიას განცხადებით, სააქციო საზოგადოება "ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტის პოსტზე დანიშვნა მისთვის მოულოდნელობა გახლდათ, ამიტომ სამომავლო თუ სამუშაო გეგმებზე საუბარი, ჯერჯერობით, ნაადრევია.

## პროფკავშირები ახალ ბიუჯეტს უკვე აკრიტიკებენ

საქართველოს პროფესიული კავშირებისათვის კატეგორიულად მიუღებელია მოსახლეობის სოციალურ-შრომითი უფლებების დაცვისადმი მთავრობის მხრიდან იმგვარი მიდგომა, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტი 200 მილიონი ლარით იზრდება და მასში სათანადო ასახვას ვერ პოულობს უმნიშვნელოვანესი სოციალური პრიორიტეტები. ამის შესახებ პროფესიულმა კავშირებმა წერილობით აცნობეს პარლამენტის თავმჯდომარესა და სახელმწიფო მინისტრს. პროფკავშირებს მიაჩნიათ, რომ მთავრობამ უნდა განახორციელოს ქვეყანაში რეალურად არსებული რესურსების მობილიზება და ბიუჯეტში გაითვალისწინოს მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესები. პირველ რიგში მოსაგვარებელ საკითხებად პროფკავშირებს მინიმალური ხელფასების ზრდა და საპენსიო დავალიანებების (300 მილიონ ლარზე მეტი) დაფარვა მიაჩნიათ.

პროფესიული კავშირების გაერთიანება აპროტესტებს საშემოსავლო დაბეგვრის 20 პროცენტიანი განაკვეთის შემოღებას, რომლის მიხედვითაც ყველა დაქირავებული მუშაკი თანაბარი პროცენტით გადაიხდის საშემოსავლოს. პროფკავშირებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა გამოიყენოს მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილება და შემოიღოს შემოსავლების დაბეგვრის ისეთი სისტემა, როცა მაღალშემოსავლიანი მოქალაქე მეტს გადაიხდის, მცირეშემოსავლიანი კი - მაქსიმალურად ნაკლებს.

*"24 საათი"*

## ოპეკი ნავთობმოპოვების გაზრდას დათანხმდა

თორნიკე შარაშენიძე

ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციამ (ოპეკი) მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მსოფლიო სანავთობო ბაზარზე ვითარების გამოსასწორებლად. კარტელი დღეში 1,5 მილიონი ბარელით (ანუ დღეში 24,5 მილიონ ბარელამდე) გაზრდის საწვავის წარმოებას, რათა ამით შეავსოს ვენესუელაში გამეფებული დეფიციტი, რომელიც პოლიტიკური კრიზისის გამო წარმოიქმნა და ფასებიც სტაბილური გახადოს.

დეკემბრის შუა რიცხვებიდან მოყოლებული ბარელი ნავთობის ფასმა 22-დან 28 დოლარამდე აიწია. ამაში, ვენესუელური მოვლენების გარდა, თავისი წვლილი შეიტანა ერაყთან დაკავშირებულმა გაურკვეველმა ვითარებამაც. თუმცა, მთავარი მიზეზი მაინც პრეზიდენტ ჩავესის წინააღმდეგ მოწყობილი უპრეცედენტო საპროტესტო გაფიცვებია, რომელსაც ვენესუელელი მენავთობეებიც შეუერთდნენ და ამის გამოისობით მსოფლიო ბაზარი ყოველდღიურად 2 მილიონ ბარელ "შავ ოქროს" კარგავს.

ვენესუელას ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, რომ მისი ქვეყანა თებერვლის შუა რიცხვებიდან ისევ დაუბრუნდება ნავთობმოპოვების ჩვეულ ნორმებს, თუმცა არავინ უწყის ეს სინამდვილეში მოხდება თუ არა.

ზემოთ მოყვანილ რიცხვებს თუ შევადარებთ, ცხადი გახდება რომ ოპეკის ნაბიჯი საკმარისი არ არის „ვენესუელური დეფიციტის" აღმოსაფხვრელად. მაგრამ ჩანს, ჯერჯერობით, კარტელი ფრთხილობს. არაა გამორიცხული ვენესუელაში მართლაც გამოსწორდეს ვითარება და ერაყული პრობლემაც მოგვარდეს. ასეთ შემთხვევაში კი საწვავი გაიაფდება, რაც „შავი ოქროს" მაგნატებს, ცხადია, არ აწყობთ.

## ჩინეთი საკუთარ ეკონომიკას იცავს

ჩინეთის ხელისუფლებამ და ადგილობრივმა IT-კომპანიებმა „დრაგონ" (Dragon) პროცესორების და მასზე ბაზირებული მოწყობილობების ერთობლივი გავრცელების საკითხში შეთანხმებას მიაღწიეს.

„დრაგონის" ავტორი ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის კომპიუტერული ინსტიტუტია. სავარაუდოდ, პროცესორი იმ სფეროებში დაინერგება, სადაც ნაკლები საჭიროებაა ინტელისა და „ეი-ემ-დის" (AMD) თანამედროვე პროცესორების სიმძლავრეებზე.

პროცესორის მხარდაჭერის შესახებ განაცხადი უკვე გააკეთეს ისეთმა სახელმწიფო ორგანიზაციებმა, როგორებიცაა: მეცნიერებათა აკადემია, ელექტროწარმოების გიგანტი Haier Group-ი, საინფორმაციო სფეროს სამინისტრო, სერვერების მწარმოებელი კომპანია Dawning-ი, Linux-ის ჩინური დისტრიბუტორის გამომგონებელი კომპანია Red Flag Software. უახლოეს მომავალში „დრაგონის" პროცესორების ბაზაზე პერსონალურ კომპიუტერებს, მობილურ ტელეფონებსა და ტელევიზორებს ჩინური მწარმოებლები გამოუშვებენ.

პროცესორების გავრცელებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. საკუთარი წარმოების პროცესორების აქტიური დანერგვა დასავლური კომპანიებისთვის ბაზრის ნაწილის წართმევას გახდის შესაძლებელს და შეამცირებს ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულებას უცხოელ მწარმოებლებზე.

2003 წლისათვის პროცესორების წარმოების მოცულობამ მილიონს უნდა მიაღწიოს.

# იყავით სახეზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

**საქართველოში ჯეოსელმა პირველმა შესთავაზა აბონენტებს SMS- მოკლე შეტყობინების მომსახურება?**

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**




# ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146
ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: ბრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულება 0,288 ლარი



## საახალწლო ფასდაკლება ჯეოსელში!

აბონენტთა საყურადღებოდ!
თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი.
იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

GIOC btc bp

# „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის“ პროექტი

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

თბილისი
ბაქო
სუფსა
ერზრუმი
ჯეიჰანი

სიმბოლურია, რომ დღეს, 14 იანვარს,
ძველით ახალ წელს საქართველოში შემოვა
„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის“
მილებით დატვირთული
პირველი გემი.

# გილოცავთ!

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, ,,ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ ინვესტორებთან, პროექტის მონაწილე ნავთობკომპანიებთან და მათ კონტრაქტორებთან ერთად, მოხარულია აცნობოს საქართველოს მოსახლეობას, რომ ამა წლის 14 იანვარს, ,,ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ ინვესტორთა გადაწყვეტილებით, ფოთის პორტში შემოვა ბრიტანული სატრანსპორტო კომპანია ,,ბერტლინგის“ კუთვნილი გემი ,,კალედონია“, რომელიც დატვირთულია ნავთობსადენის მშენებლობისათვის განკუთვნილი მილების პირველი პარტიით, ხოლო ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, 22 იანვარს, ქ. ბათუმის პორტში შემოვა მილებით დატვირთული ასეთივე გემი, რაც იმის მაუწყებელია, რომ დაიწყო ,,ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ მშენებლობა.

ნავთობსადენის პროექტის განვითარების ამ ეტაპზე უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთების შეუფერხებელ ტრანსპორტირებას და შესაბამისად, ნავთობსადენის სამშენებლო პროცესში ინტენსიურად იქნება ჩართული მთელი ჩვენი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: ბათუმისა და ფოთის საზღვაო პორტები, საქართველოს რკინიგზა, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტი, დასაქმდება ამ დარგის მრავალი მუშაკი. ამავე დროს, ნავთობსადენის მარშრუტის გასწვრივ მდებარე რაიონებში ინტენსიურად მიმდინარეობს მილების სასაწყობე ტერიტორიების მომზადება.

კიდევ ერთხელ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროექტის განვითარების მთელი პროცესი იქნება ღია და გამჭვირვალე, რაც უზრუნველყოფილი იქნება საგანგებო მონიტორინგით, რომელიც განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: მიწის შესყიდვა, გარემოს დაცვა, სოციალური საკითხები, დასაქმება, საინჟინრო საკითხები და ოპერირება.

მონიტორინგის პროცესში მონაწილეობას მიიღებენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომისიები, ქართველი და უცხოელი ექსპერტები, დამოუკიდებელი საერთაშორისო კომპანიები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და ასპირანტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოების და მასმედიის წარმომადგენლები, ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფები.

უკვე დაწყებულია შეხვედრები პროექტში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით. ახლახანს გარდაბნის რაიონში ჩატარდა ასეთი შეხვედრა. შეიქმნა პროექტში გარდაბნის რაიონის მოქალაქეთა დასაქმების ცენტრი. ასეთივე შეხვედრები ჩატარდება 16 იანვარს რუსთავში, 18 იანვარს თეთრიწყაროში, ხოლო შემდგომ მილსადენის მარშრუტზე მდებარე ყველა რაიონში. აღნიშნული შეხვედრების პარალელურად, ყველა იმ რაიონში, რომლის ტერიტორიაზეც გაივლის ნავთობსადენი, შეიქმნება საქართველოს მოქალაქეთა დასაქმებისა და ტრეინინგის ცენტრები.

ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯია იმ მიზნისაკენ, რომელიც აირჩია ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზაზე, კიდევ ერთი დასტურია ქართველი ხალხის ურყევი ნებისა - ააშენოს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებსა და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების ფუძემდებლურ პრინციპებზე - დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოება, კიდევ ერთი დასტურია საქართველოს დასავლური ორიენტაციისა, მისი და მისი ხალხის მისწრაფებისა - დაუბრუნდეს ევროპულ ოჯახს, კიდევ ერთი წარმატებაა თვით იმ სტრატეგიული კურსის ქვაკუთხედისა, რასაც საქართველოს პრეზიდენტის, ბატონი ედუარდ შევარდნაძის მიერ 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებული რეგიონული თანამშრომლობის განვითარების, ,,დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენისა და ევრაზიული დერეფნის ფორმირების კონცეფცია ჰქვია.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, ,,ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ ინვესტორებთან, პროექტის მონაწილე ნავთობკომპანიებთან და მათ კონტრაქტორებთან ერთად, ულოცავს სრულიად საქართველოს, თითოეულ ჩვენს მოქალაქეს ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას და მრავალ ახალ წარმატებას უსურვებს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზაზე.

ძველით ახალი წლის ეს დღე - 14 იანვარი სიმბოლური ნიშანსვეტია ,,ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ მშენებლობის დაწყებისა.
დაე ახალ, 2003 წელს, ამ გიგანტური მშენებლობის დასაწყისი ფართომასშტაბიან აღმშენებლობად დაჰბედებოდეს ჩვენს სამშობლოს!

## აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი

# ნარკოტიკების რეალიზაციისთვის სუდანის მოქალაქე დააპატიმრეს

თამარ კაციტაძე

გასულ წელს ნარკომანიის და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულში სულ 3546 პირი ამხილეს, აქედან - 24 უცხოეთის მოქალაქე.

როგორც ნარკომანიის და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსმა ალეკო ტაბატაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ნარკოდანაშაულში მხილებული უცხოელები, ძირითადად, დსთ-ს ქვეყნის მოქალაქეები არიან და ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციისთვის არიან დაკავებულნი. ამ დღეებში კი ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს სუდანის მოქალაქე, ეროვნებით არაბი - მაიკლ მაჰმუდ აბდულრაჰმანი. ზანგი უცხოელი საქართველოში საცხოვრებლად 1994 წელს ჩამოვიდა და კომერციული საქმიანობით იყო დაკავებული. თუმცა, როგორც ალეკო ტაბატაძემ გვითხრა, ბოლო პერიოდში ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ჭავჭავაძის გამზირზე მცხოვრები აბდულრაჰმანი ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობდა. სამართალდამცველებმა დაკავებისას სუდანის მოქალაქეს ორ "პაკეტად" დაფასოებული 400-500 ლარის ღირებულების "ჰეროინი" აღმოუჩინეს. ეროვნული ბიუროს უფროსის განცხადებით, დაკავებულმა აღიარა, რომ ნარკოტიკული ნივთიერება ნამდვილად რეალიზაციის მიზნით შეიძინა.


მაიკლ მაჰმუდ აბდულრაჰმანი წინასწარი დაკავების საკანში.

მაიკლ მაჰმუდ აბდულრაჰმანს გამოძიებამ ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა– შენახვა-რეალიზაციის ბრალდება წაუყენა, რაც კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომაც გაიზიარა და მას სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. თუმცა, როგორც ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა დაადგინეს, არაბი მოქალაქე ნარკოტიკების რეალიზაციას მარტო არ ახდენდა. დაკავებულია საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით ლეკი - ჯამბულად მურადოვი, რომელიც, თურმე, აბდულრაჰმანს ნარკოტიკული ნივთიერებებით ამარაგებდა. წარსულში ნარკოტიკების რეალიზაციისთვის ერთხელ უკვე ნასამართლევი მურადოვისთვის წინასწარი პატიმრობის საკითხს სასამართლო, სავარაუდოდ, დღეს განიხილავს.

ტაბატაძის ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ აბდულრაჰმანი-მურადოვის დანაშაულებრივი ჯგუფი მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს. ამის რეალური საფუძველი არსებობს და მიმდინარეობს მუშაობა.

# „ცაგერისა" და „იმერეთის" კრიმინალური ჯგუფების ლიდერებმა ციხიდან გაქცევა კიდევ სცადეს

გუშინ, გამთენიისას, მეხუთე საპყრობილის 53-ე საკნის გისოსები სამმა პატიმარმა გადაჭრა და გაქცევა სცადა. ყაჩაღობასა და იარაღის უკანონო ტარება-შენახვაში ბრალდებული გელა ცერცვაძე, ირაკლი კვინიკაძე და შავ სამყაროში "თურქად" ცნობილი, ყაჩაღობისთვის გასამართლებული, "იმერეთის ჯგუფის" ლიდერად წოდებული კახა თურქაძე გუშაგმა საქვაბესთან დააკავა. ორთაჭალის ციხეში მომხდარ მორიგ გაქცევასთან დაკავშირებით მოკვლევას აწარმოებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის სამსახური.

გელა ცერცვაძისთვის, რომელიც სამართალდამცველებმა სამი თვის წინ დააკავეს, ეს გაქცევის მეოთხე შემთხვევაა. პირველად იგი რამდენიმე წლის წინ ქსნის კოლონიიდან გაიქცა. მესამედ კი რამდენიმე თვის წინ სცადა საპყრობილის დატოვება. მაშინ გელა ცერცვაძე საპატიმროს გამონგრეულ კედელთან ახლოს, მეგობრებთან – დათო ჯანელიძესა და პაატა დოლაბერიძესთან ერთად დააკავეს. სხვათა შორის, მან მეორე გაქცევისას სწორედ პაატა დოლაბერიძესთან ერთად მოახერხა რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიის დატოვება. ქსნის კოლონიიდან იგი ჯანელიძესთან ერთად გაიპარა.

შარშან, იანვარში, სამჯერ ნასამართლევი გელა ცერცვაძე და პაატა დოლაბერიძე, როგორც გითხარით, რუსთავის კოლონიიდან გაიქცნენ. კანონდამცველთა განცხადებით, მათ ჩამოაყალიბეს ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფი, რომელიც "ცაგერის ჯგუფის" სახელით იყო ცნობილი და ხუთი თვის განმავლობაში 25-ზე მეტი ყაჩაღობა განახორციელეს თბილისში. სხვათა შორის, ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულებები საკმაოდ გახმაურებული იყო. "ცაგერის ჯგუფის" საქმიანობასთანაა დაკავშირებული "იბერკომპანის" ბენზინგასამართ სადგურზე მომხდარი თავდასხმა, რომელსაც ორი ოპერატორის სიცოცხლე შეეწირა. ამ ჯგუფმა გაქურდა პუშკინის ქუჩაზე მდებარე საათების მაღაზიაც. თავს დაესხა "ჯეოსელის" მაღაზიას; გაძარცვა ბენზინგასამართი სადგურები "გრანდოილი" და "გეორგია-2001". ეს ჯგუფია ბრალდებული "ფარმასერვისის" აფთიაქის დაყაჩაღებაშიც.

სამართალდამცველთა ბრალდებებით, ეს ჯგუფი ხუთი თვის მანძილზე სისტემატურად ესხმოდა თავს სუპერმარკეტებს, მაღაზიებს, ბენზინგასამართ სადგურებს. ძალადობით შედიოდა საცხოვრებელ სახლებში და აყაჩაღებდა ოჯახებს.

**"მორიგე ჯგუფმა აღკვეთა საპყრობილეში მოთავსებული და მძიმე დანაშაულთა ჩადენაში დადანაშაულებული სამი პირის ჯგუფური გაქცევის მცდელობა. მათ შორის იყო გელა ცერცვაძე, რომელიც გაქცევისადმი მიდრეკილი პატიმარია. გარეთ გასვლას პატიმრები ორი წინაღობის გადახერხვით გეგმავდნენ. გისოსები ისე გადაჭრეს, რომ არაფერი გაუგია საკანში მყოფ 27 პატიმარს. სამივე პატიმარი ამჟამად კარცერში იმყოფება, მიმდინარეობს მოკვლევა**", – განაცხადა ჩვენთან საუბრისას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის სამსახურის უფროსმა მიშა ფხაკაძემ.

# გასულ წელს თბილისში დანაშაულმა იმატა, პოლიცია კი წარმატებასა და საკუთარ პრობლემებზე საუბრობს

პირველი გვერდიდან

ქალაქის პოლიციის მიერ მოწოდებული დღევანდელი მონაცემებით კი, წინა წლის კრიმინოგენული ცხოვრების სურათი ასეთია - მაისურაძის განცხადებით, 2002 წელს ოფიციალურად დაფიქსირებულია 4488 დანაშაულის ფაქტი, რაც 1015-ით მეტია 2001 წელთან შედარებით. დანაშაულის სტატისტიკის ციფრობრივ ზრდას ქალაქის შერიფი ქვეყანაში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული ვითარებით კი არა, მოწესრიგებული სტატისტიკით ხსნის და ამას პოლიციური მუშაობის წარმატებასაც მიაწერს. თუმცა, მაისურაძე იქვე იმ ორ მიზეზსაც ასახელებს, რის გამოც დედაქალაქში დანაშაულმა მოიმატა. ერთია – ბოლო წლებში რეგიონებიდან ჩამოსული მოსახლეობა, რომელთა მიერ ჩადენილია 790 დანაშაული და მეორე - კრიმინოგენულ მდგომარეობას ციხიდან გამოსული პიროვნებებიც ართულებენ, რომლებიც კვლავ დანაშაულებრივ გზას ადგებიან. გასულ წელს ხელახალი დანაშაულის ჩადენისთვის ამ კატეგორიის 595 პიროვნებაა დაპატიმრებული.

მართალია, თბილისის მთავარი პოლიციელი და მისი ქვემდგომები სიტყვიერად თვითკრიტიკის განწყობაზე უფრო არიან, მაგრამ დანაშაულის გახსნის პროცენტული მაჩვენებლები, რომელიც შერიფმა დაასახელა, საწინააღმდეგოს მეტყველებს. მაისურაძის ინფორმაციით, ყველა დანაშაულის თითქმის 80-85 პროცენტი უკვე გახსნილია. მიუხედავად ამისა, ქალაქის პოლიცია დარჩენილი დანაშაულებრივი ფაქტების გახსნასაც გვპირდება, მაგრამ თუ ასპროცენტიანი გახსნის მაჩვენებელი არ იქნება, დედაქალაქის შერიფი ტრაგედიას ვერც ამაში ხედავს, რადგან "არ არსებობს ქვეყანა, სადაც ყველა დანაშაული იხსნება." ასეთ ახსნას უძებნის გაუხსნელ დანაშაულებს მაისურაძე. არადა, ამ კატეგორიაშია ყველა ცნობილი მკვლელობა თუ სხვა მძიმე დანაშაული.

ერთი სიტყვით, პრესკონფერენციაზე დედაქალაქის მთავარმა პოლიციელმა კიდევ ერთხელ გაიხსენა გასული წლის მიღწევები და პოლიციაში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ და საკადრო პრობლემებზეც ისაუბრა.

როგორც ლევან მაისურაძემ აღნიშნა, დედაქალაქის პოლიციის ყველაზე დიდი ტრაგედია შენობების არქონაა. თურმე, პოლიციის შენობების უმეტესი ნაწილი კერძო საკუთრებაში ყოფილა გადასული და სამართალდამცველები დღე-დღეზე გამოსახლებას ელოდებიან. უახლოეს მომავალში შენობის დატოვება მოუწევს კრწანისი-მთაწმინდის რაიონის პოლიციას, რადგან შენობა შ.პ.ს. "უტას" ეკუთვნის.

აი, ასეთი წარმატებით, პრობლემებით და მაინც ოპტიმიზმით შეხვდა თბილისის პოლიცია ახალ წელს, მაგრამ რითი დასრულდება, წინასწარ პროგნოზირება, რა თქმა უნდა, ძნელია.

# „ლოკომოტივის" სტადიონი საბოტაჟის მიზეზით არ ჩაბნელებულა

**"უშიშროების სამინისტრო გასული წლის 12 ოქტომბერს, „ლოკომოტივის" სტადიონზე, საქართველო-რუსეთის საფეხბურთო მატჩის დროს ელექტროენერგიის გათიშვის ფაქტს საბოტაჟად არ მიიჩნევს,"** - ბრიფინგზე განაცხადა უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა. ამ განცხადების გაკეთების საფუძველს უშიშროების სამინისტროს აძლევს ელექტროენერგიის გათიშვის ფაქტზე შექმნილი კომისიის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა.

კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ენერგეტიკის სპეციალისტები, მეცნიერები და პრაქტიკოსები, კომპლექსურად შეისწავლა ელექტროენერგიის გათიშვის გამომწვევი მიზეზები. კომისიის წევრებმა დასკვნას გუშინ მოაწერეს ხელი. ჯერჯერობით, დასკვნის შინაარსი უცნობია „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობისა და თურქული ფირმა „ჩათინქაიასთვის", რომელმაც დაამონტაჟა სტაბილიზატორი, რომელიც მატჩის დროს გამოვიდა მწყობრიდან.

კომისიამ უშიშროების სამინისტროს ორ კითხვას გასცა პასუხი: შესაძლებელი იყო თუ არა ელექტროენერგიის გათიშვის თავიდან აცილება? პასუხი ასეთია: სტაბილიზატორს, რომელიც ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზი გახდა, გააჩნდა ქარხნული წუნი და მისი მწყობრიდან გამოსვლა შემთხვევით დაემთხვა მატჩის მსვლელობას. ამრიგად, ელექტროენერგიის გათიშვის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.

უშიშროების სამინისტროს მეორე კითხვა ასეთი იყო - შესაძლებელი იყო თუ არა ელექტროენერგიის მოწოდების დროული აღდგენა და მატჩის ჩაშლის თავიდან აცილება? "ელექტროენერგიის ავარიული გათიშვის შემდეგ შესაძლებელი იყო დაზიანებული „სტაბილიზატორის" ელექტროსქემიდან ამორთვა და ტრანსფორმატორებიდან დენის პირდაპირი მიწოდება. ამ შემთხვევაში არაადეკვატურად იმოქმედა სტადიონის ტექნიკურმა პერსონალმა. ამდენად, რომ არა „ლოკომოტივის" სტადიონის ხელმძღვანელობის დაუდევრობა და ტექნიკური პერსონალის დაბნეულობა, ელექტროენერგიის მიწოდების დროული აღდგენა შესაძლებელი იყო," – წერია დასკვნაში.

"ლოკომოტივის" სტადიონის ჩაბნელების ფაქტზე დაწყებული გამოძიება გრძელდება და უშიშროების სამინისტრო უახლოეს დღეებში გადაწყვეტს, როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს მომხდარს.

# კიდევ ერთი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უკვალოდ გაუჩინარებულ თანამშრომელს უკვე მეხუთე დღეა, უშედეგოდ ეძებენ ოჯახის წევრები, ახლობლები და თანამშრომლები. დეპარტამენტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს უფროსი ლევან ტაბაღუა 10 იანვარს, დილით, სამსახურში წავიდა. მას შემდეგ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს იგი აღარ უნახავთ და არც თავად შეხმიანებია ვინმეს. უგზო-უკვლოდ დაკარგულ ტაბაღუას ძებნაში ჩართულ ვაკე-საბურთალოს რაიონის სამართალდამცველებს, რომლებსაც ტაბაღუას ოჯახის წევრებმა ოფიციალურად ორი დღის წინ მიმართეს, გაუჩინარებულის შესახებ, ჯერჯერობით, არანაირი საიმედო ინფორმაცია არ გააჩნიათ და ვერანაირ კომენტარს ვერ აკეთებენ მომხდართან დაკავშირებით.

ლევან ტაბაღუას დაკარგვის სავარაუდო ვერსიის შესახებ ვერაფერს ამბობენ ვერც მისი ოჯახის წევრები და ვერც საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები. ერთადერთი, რაზეც ამჟამად შეიძლება საუბარი, ის გახლავთ, რომ ლევან ტაბაღუა ბოლოს სამსახურთან ახლოს ნახეს. არავინ იცის, სად წავიდა და შეხვდა თუ არა ვინმეს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს უფროსი.

ერთი სიტყვით, დაკარგულის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ არსებობს. დგინდება იმ პიროვნებათა ვინაობა, რომლებმაც ბოლოს ნახეს ლევან ტაბაღუა. "მის საძებნელად განსახორციელებელი ოპერატიული სამუშაოებისთვის ხელჩასაჭიდი მონაცემი არ გაგვაჩნია. მოკვლევას ვაწარმოებთ. რომელიმე გამოკვეთილ ვერსიაზეც, ჯერჯერობით, შეუძლებელია საუბარი. ლევან ტაბაღუას დაკარგვის ფაქტზე მოკვლევის შემდეგ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე უგზო-უკვლოდ გაუჩინარების მუხლით", – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის სამძებროს უფროსმა ზურაბ ბაქრაძემ.

# აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ირწმუნებიან, ქართველები კი უარყოფენ

აზერბაიჯანული სააგენტო "აზერ-პრესის" მიერ რამდენიმე დღის წინ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს კონტრაბანდისტებმა ახალი წლის დღეებში, აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთისას, აზერბაიჯანელ მესაზღვრეებთან მომხდარი შეტაკების შემდეგ შეძლეს საზღვრის უკანონოდ გადმოლახვა და საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლა, საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში კატეგორიულად უარყოფენ. თუმცა იმას ადასტურებენ, რომ შეტაკება მოხდა და ინციდენტისას დაიჭრა ერთი აზერბაიჯანელი მესაზღვრე.

როგორც საზღვრის დაცვის უწყებაში აცხადებენ, ინფორმაციის გავრცელებისთანავე ქართველმა მესაზღვრეებმა დაიწყეს მდინარე ალაზნის სანაპიროს შესწავლა, რათა დამნაშავე ჯგუფი აღმოეჩინათ. **"საზღვრის იმ მონაკვეთზე, სადაც ინციდენტი მოხდა, კონტროლი გაძლიერდა. ჩვენმა უწყებამ იქ ვერავის მიაგნო. აზერბაიჯანული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაცია გაურკვეველი ჯურის კონტრაბანდისტების მიერ საქართველოს საზღვრის გადმოლახვის შესახებ სიმართლეს რომ შეეფერებოდეს, დამნაშავეების კვალი უკვე აღმოჩენილი იქნებოდა. თავად აზერბაიჯანელებმა არ იციან და ვერც აკონკრეტებენ, ვინ იყვნენ საზღვარზე მომხდარი შეტაკების მონაწილეები. საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა საზღვრის უკანონოდ გადმომლახველთა აღმოსაჩენად ყველანაირი ღონისძიება გაატარა. იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეთა ჯგუფი გადმოვიდოდა საქართველოს მხარეს, მათი კვალის აღმოჩენა იოლი იქნებოდა, რადგან საზღვრის იმ მონაკვეთზე თოვლის საფარის სამაღლე 10-15სმ-ია და თოვლზე მათი კვალი დარჩებოდა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა შალვა ლონდარიძემ.

# ბრიტანეთში კიდევ 6 ტერორისტი დააკავეს

ბრიტანელმა სამართალდამცველებმა კიდევ 6 ტერორისტი დააპატიმრეს. ბრიტანეთის პოლიციის პრესცენტრის ინფორმაციით, მომწამვლელი ნივთიერება "რიცინის" წარმოების საქმეზე დაპატიმრებულია 5 მამაკაცი და ერთი ქალი. შეგახსენებთ, რომ ხსენებულ საქმეზე გუშინწინ, დილით, ბრიტანეთის პოლიციამ დააკავა 4 ტერორისტი, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან პანკისის ხეობაში არსებულ ბაზებში "რიცინის" დამზადების ტექნოლოგიის შესწავლაში.

ამ დროისთვის ბრიტანეთის პოლიცია ტერორიზმში ბრალდებულთა დაკითხვას აწარმოებს. სკოტლენდ იარდი დაკავებულთა ვინაობას, ჯერჯერობით, საიდუმლოდ ინახავს. დაპატიმრების მორიგი ოპერაცია მოხდა უკვე დაკავებული ტერორისტების ჩვენებების საფუძველზე. გავრცელებული ინფორმაციით, ბრიტანეთის პოლიცია გამოთქვამს ეჭვს, რომ ტერორისტთა 6-კაციანი ჯგუფი (წინა დაკავებულთა მსგავსად) წვრთნას გადიოდა პანკისის ხეობაში არსებულ სამხედრო ბაზებში.

# ქართველ ძებნილებს რუსეთი ექსტრადიციისთვის ამზადებს

რუსეთის ფედერაციის ბრიანსკის ოლქში ძებნის სამმართველოსა და დსთ-ს ქვეყნებში საქართველოს შს სამინისტროს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლებმა დააკავეს ლანჩხუთის შს განყოფილების მიერ ნარკომანიისათვის ძებნილი, 1970 წელს დაბადებული ლაშა ჭყონია.

ასევე დადგინდა, რომ ქართველი სამართალდამცველების მიერ ქურდობისთვის ძებნილი, 1982 წელს დაბადებული გიორგი დოხმანაძე ამჟამად სასჯელს მახაჩკალის შრომა-გასწორების კოლონიაში იხდის.

კანონდამცველები ამზადებენ მასალებს ლაშა ჭყონიასა და გიორგი დოხმანაძის საქართველოში ექსტრადიციისთვის.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი.** "ძველი, ჟანგიანი თოფი", რომლიდან გასროლითაც პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ახალი წლის დადგომას აღნიშნავს, რეგისტრირებული არ არის.

შს სამინისტროს განცხადებით, მათი უწყება, კანონის თანახმად, ხრახნიან და გლუვ- ლულიანი ტიპის სისტემის იარაღებს არეგისტრირებს. ამასთან, პრეზიდენტს იარაღის ტარება და, შესაბამისად, რეგისტრაცია არ სჭირდება, რადგან იარაღის ტარების უფლება მას მინიჭებული აქვს კანონით. ტრადიციულ ბრიფინგზე ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ძველით ახალ წელს, როგორც ყველა ქართველი, ისიც ტრადიციულად შეხვდება: "აქვს ერთი ძველი, ჟანგიანი თოფი და, ალბათ, მას გაისვრის". **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლის მთავარი სამმართველო ახალ ინფორმაციას არ ფლობს ზაფხულში გატაცებული ვიცე-პოლკოვნიკის, ზურაბ დურგლიშვილის, საქმესთან დაკავშირებით. სამმართველოს უფროსის მოადგილის პაატა ბედიანაშვილის განცხადებით, დურგლიშვილის საქმესთან დაკავშირებით ძიება მიმდინარეობს, არსებობს ვერსიებიც, თუმცა სად იმყოფება იგი, უცნობია. მისივე ინფორმაციით, დურგლიშვილის გათავისუფლებით დაინტერესებულია ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი. როგორც ცნობილია, კოკოითი დურგლიშვილის თანაკურსელი იყო. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შარშან სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში სასჯელის მოსახდელად 21 მსჯავრდებული გადმოიყვანეს. იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების სამმართველოს უფროსის გელა ბადრიაშვილის ინფორმაციით, მსჯავრდებულთაგან 16 გადმოყვანილია რუსეთის ფედერაციიდან, ოთხი - უკრაინიდან, ერთი - უნგრეთიდან. სამმართველოს შარშან წარმოებაში მიღებული ჰქონდა 195 საქმე, მათგან 52 დაასრულა, 21 მსჯავრდებული საქართველოში დააბრუნა, ხოლო 31 პატიმრის გადაცემაზე სასჯელის აღმასრულებელმა ქვეყნებმა უარი თქვეს. უარის მიზეზად დასახელდა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. სამმართველო ამჟამად 120 მსჯავრდებულის გადმოყვანაზე მუშაობს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის საქმეზე თავის გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლო 29 იანვარს გამოაქვეყნებს. სასამართლოში სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ შეიტანეს ადამიანის უფლებათა დამცველებმა. სადავო ნორმებს შორის არის პირის დაკავების, დაპატიმრების, პატიმრობის და გამოძიების ვადის, დამცველის უფლებების განმსაზღვრელი ნორმები. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯერჯერობით, გალის რაიონის პროკურორს ესეი კაკალიას არ მიუღია შესაბამისი დოკუმენტაცია ზუგდიდელების: ბესიკ ბუკიას, მურთაზ მესხიას, შალვა შერვაშიძის და გალელი - რამინ ჩაკაბერიას მიერ „საზღვრის უკანონო" გადაკვეთის შესახებ. ამ დოკუმენტაციის მიღებისა და გაცნობის შემდეგ ერთ კვირაში უნდა დაინიშნოს სასამართლო პროცესი. არძინბას ხელისუფლების კანონმდებლობით, მათ ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** „არ მესმის, რა საზღვარზეა საუბარი, თუ გაერო და რუსეთი აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას," - განაცხადა ავთანდილ იოსელიანმა, რომელიც მიიჩნევს, რომ მშვიდობისმყოფელებმა და გაერო-ს წარმომადგენლებმა უფრო მკაცრად უნდა მოითხოვონ დატყვევებულ ქართველთა გათავისუფლება. „ვცდილობ თავად დავუკავშირდე აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ძალოვანი და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს და გავარკვიო, რა საზღვარზეა საუბარი, მაგრამ ეს ჯერ ვერ მოვახერხე," - განაცხადა დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გაზმომარაგების სისტემაში მომხდარი აფეთქების შედეგად დაზარალებული მიქაბერიძეების ოჯახი ს/ს „თბილგაზის" წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს, რათა ხანძრისგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მიღებას მიაღწიოს. ხანძარი გასულ კვირას მას შემდეგ მოხდა, რაც გაზის გაჟონვის შემდეგ ოჯახის წევრეებმა საავარიო სამსახური გამოიძახეს. გაზის ძლიერი სუნის მიუხედავად, სამსახურის წარმომადგენლებმა ასანთი აანთეს, რასაც ძლიერი აფეთქება და ხანძარი მოჰყვა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა სომალელ მეკობრეთა მიერ გატაცებული ქართველი მეზღვაურების გათავისუფლების საქმეში დახმარება სთხოვა და წერილი გაუგზავნა ევროსაბჭოში ადამიანის უფლებათა კომისარს ალვარო ხილ რობლესს. ომბუდსმენის მოადგილის თემურ ლომსაძის თქმით, ომბუდსმენმა დახმარებისთვის ასევე მიმართა ამერიკის ელჩს საქართველოში რიჩარდ მაილსს, ევროკავშირს და ევროკომისიის პრეზიდენტს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ქუთაისი.** შსს-მ წყალტუბოს პოლიციას გასულ წელს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გაწეული მუშაობა დაუფასა და საახალწლოდ ხუთი ახალი ავტომანქანა აჩუქა.

მიღწეული წარმატებებისთვის შსს-მ წყალტუბოელ კოლეგებს სამი "ვილისის", ერთი "გაზელის" ტიპის ავტომანქანები და ერთი მიკროავტობუსი გადასცა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ზაზა ძნელაძე ქუთაისის ვიცე-მერს დავით სანიკიძეს კრიმინალური სამყაროს მფარველობაში ამხელს და მისი მოქმედებისთვის სამართლებრივი შეფასების მიცემას მოითხოვს.

ძნელაძის მონაცემებით, ქუთაისში მოქმედი რესტორნის, "ტირიფების" მეპატრონემ დავით სანიკიძემ საახალწლო ღამეს რესტორანში "კანონიერი ქურდების" მიერ საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა ცემის შემდეგ თანამშრომლები დაიბარა და კატეგორიულად აუკრძალა მომხდარის შესახებ პოლიციისთვის ჩვენების მიცემა.

"ამგვარი საქციელი განსაკუთრებით აღმაშფოთებელია იმის გათვალისწინებით, რომ სანიკიძე, როგორც ვიცე-მერი, ქუთაისში მართლწესრიგისა და სამრთალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საკითხებს კურირებს," - განაცხადა სამხარეო პოლიციის უფროსმა პრესკონფერენციაზე. **ინტერ-პრესი.**

# ერაყის გარშემო უკვე დენთის სუნი დგას

*ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით, ერაყში სამხედრო ობიექტების დეტალურ შემოწმებას, შესაძლებელია, ერთი წელი მაინც დასჭირდეს. მისი თქმით, ამ თვალსაზრისს, უკვე დიდი ხანია, თავად სააგენტოს ხელმძღვანელი მოჰამედ ალ ბარადეი და სამხედრო ინსპექტორთა მისიის ხელმძღვანელი ჰანს ბლიქსიც იზიარებენ. მიუხედავად ამისა, ერაყში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიამ თავისი მოხსენება უშიშროების საბჭოს ორ კვირაში უნდა წარუდგინოს. შეერთებული შტატების ხელისუფლება კი ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობაში სრულიად დარწმუნებულია. ამერიკისა და ბრიტანეთის სამხედრო დაჯგუფებების რაოდენობა ერაყის გარშემო თანდათანობით იზრდება. მოკავშირეები სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობისათვის ემზადებიან. სამომარ მზადყოფნას ერაყის ხელისუფლებაც გამოთქვამს.*

ლევან ღირსიაშვილი

ერაყის ვიცე-პრემიერმა ტარიკ აზიზმა "ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი თანამდებობიდან არ გადადგება და ბოლომდე აპირებს ბრძოლას. მისი თქმით, ერაყისათვის ჰუსეინის გადადგომა უფრო სახიფათოა, ვიდრე შეერთებულ შტატებთან და მის მოკავშირეებთან ომი. ვიცე-პრემიერმა ასევე მკვეთრად გააკრიტიკა ერაყის მთავარი მოწინააღმდეგე – შეერთებული შტატები და განაცხადა, რომ ვაშინგტონი ყოველთვის ეხმარებოდა სამხედრო, დიქტატორულ და ფაშისტურ რეჟიმებს და რომ ამერიკელების მიერ დემოკრატიის მხარდაჭერა მტკნარი სიცრუეა. ტარიკ აზიზმა ასევე უარყო ხმები ერაყში ქუვეითელი სამხედრო ტყვეების არსებობის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ, აზიზის გარდა, ერაყის ხელისუფლების მთელი სპექტრი რეგიონში ამერიკელი და ბრიტანელი სამხედროების კონცენტრაციასთან დაკავშირებით უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამს. თუმცა, ერაყელები იხტიბარს არ იტეხენ და საომარ მზადყოფნას გამოხატავენ. ამის თაობაზე ინფორმაციას სააგენტო "ასოშიეიტედ პრესი" ავრცელებს.

**"ერაყელები უკვე მიეჩვივნენ მუდმივ მუქარას და ჯარების რაოდენობის ზრდას, ჩვენი სმენა უკვე შეეგუა რაკეტების აფეთქებებისა და სროლის ხმას,"** - აცხადებს თაერ ელ შამარი, ცნობილი ერაყელი სასულიერო მოძღვარი. **"ამერიკელების მიერ იარაღის ჟღარუნი ბავშვსაც კი ვერ შეაშინებს,"** - დასძენს იგი.

ჯერჯერობით, გასაოცარ სიმშვიდეს ინარჩუნებს თავად სადამ ჰუსეინი. ყოველ შემთხვევაში, მთავრობის კაბინეტის ბოლო სხდომა სამხედრო საფრთხეს კი არა, ერაყის საშინაო პრობლემებს მიეძღვნა. კერძოდ, ერაყის მთავრობის სხდომის დღის წესრიგში ერთ-ერთ მთავარ საკითხად გარე მოვაჭრეების პრობლემა იდგა. ერაყელმა მინისტრებმა გარე მოვაჭრეებს ქუჩაში დგომისა და საქმიანობის გაგრძელების ნება დართეს.

ერაყის ვიცე-პრეზიდენტმა იასირ რამადანმა ნაციონალური ტელევიზიით გამოსვლისას რიხით განაცხადა, რომ აშშ-ს მუქარა ერაყელ ხალხს ვერ შეაშინებს. **"ის, რასაც ამერიკის გაბოროტებული ადმინისტრაცია აკეთებს, არ არის ომი ორ სახელმწიფოს შორის, ეს გახლავთ სასტიკი აგრესია და მუქარა მთლიანად ერაყის სუვერენიტეტის წინააღმდეგ,"** - განაცხადა რამადანმა.

შეერთებული შტატების ადმინისტრაცია კი არც ერაყის ხელისუფლების რიხიან განცხადებებს უგდებს ყურს და არც გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიის დასკვნას ელოდება. ვაშინგტონი და ლონდონი სპარსეთის ყურის რეგიონში სამხედრო ძალთა კონცენტრაციას ყოველდღიურად ზრდიან.

რამდენიმე დღის წინ აშშ-ს თავდაცვის მდივანმა დონალდ რამსფელდმა საჯაროდ განაცხადა, რომ ახლო მომავალში ვაშინგტონი რეგიონში კიდევ 62 ათას ჯარისკაცს გადაისვრის.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში ამერიკისა და ბრიტანეთის სამხედრო დანაყოფების ზრდასთან დაკავშირებით უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავენ ახლო აღმოსავლეთის რიგი სახელმწიფოები.

**"ღმერთმა არ ქნას, ომი დაიწყოს, ეს იქნება უდიდესი პრობლემა. ერაყელი ხალხისა და მთელი რეგიონის ტრაგედიის მასშტაბების წინასწარმეტყველებას ვერავინ შეძლებს,"** - განაცხადა იორდანიის მეფე აბდულა მეორემ.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აბდულა გულმა ახლო აღმოსავლეთის ლიდერებს კონფლიქტის აღსაკვეთად გაერთიანებისკენ მოუწოდა. **"სხვაგვარად მთელ ახლო აღმოსავლეთსა და არაბულ სამყაროს დიდი მსხვერპლის გაღება მოუწევს,"** - განაცხადა თურქეთის მთავრობის ხელმძღვანელმა. თურქეთის სახელმწიფო მინისტრი თუზმანი კი გუშინ პრეზიდენტ ჰუსეინს შეხვდა. თურქული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, შეხვედრამ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ომის მოახლოებასთან დაკავშირებით თავის შეშფოთებას ვერ მალავს ვერც ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი. მისი განცხადებით, ამ ომს **"უსაშინლესი შედეგები ექნება."** მუბარაქმა ომის თავიდან ასაცილებლად სადამ ჰუსეინს გაერო-ს ინსპექტორებთან მჭიდრო თანამშრომლობისკენ მოუწოდა, რათა საკუთარ ხალხს მოახლოებული ტრაგედია ააცილოს.

ამდენად, სპარსეთის ყურის რეგიონში უკვე დენთის სუნი იგრძნობა. ერაყის საზღვრებს, ჯერჯერობით, მხოლოდ აშშ-სა და ბრიტანეთის არმიები უახლოვდებიან. ვაშინგტონის დანარჩენი მოკავშირეები კი გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ელოდებიან. არსებული ვითარების გათვალისწინებით, ერაყზე სამხედრო შეტევა, როგორც ჩანს, გარდაუვალია.




# პაპი გმობს რუსეთიდან კათოლიკეთა გაძევებას

ორშაბათს რომის პაპმა იოანე პავლე II-მ რუსეთის ხელისუფლებას კათოლიკე ეპისკოპოსებისა და მღვდლების გაძევების შეწყვეტა მოსთხოვა.

ვატიკანში, დიპლომატებთან საუბრისას მან განაცხადა, რომ უაღრესად შეშფოთებულია რუსეთის ფედერაციაში კათოლიკური თემების მდგომარეობით, რომლებიც, უკვე რამდენიმე თვეა, მოწყვეტილნი არიან თავიანთ პასტორებს.

ერთ ეპისკოპოსსა და რამდენიმე მღვდელს რუსეთმა არ მისცა თავიანთ მრევლთან დაბრუნების საშუალება და საზღვარგარეთ ყოფნისას, პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა.

„წმინდა ტახტი ხელისუფლებისაგან მოითხოვს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, რაც ბოლოს მოუღებს ახლანდელ კრიზისს," – განაცხადა პაპმა.

რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ უარყო ეს ბრალდებები და განაცხადა, რომ პაპმა რამდენიმე დამოუკიდებელი ინციდენტი დაუკავშირა ერთმანეთს.

ორ ეკლესიას შორის განხეთქილება მას შემდეგ გამწვავდა, რაც ვატიკანმა რუსეთში თავისი პოზიციების გამაგრება დაიწყო და იქ სრულუფლებიანი დიოცეზები შექმნა.

ვატიკანი ცდილობს, რამდენიმე კაცისათვის ვიზაზე უარის თქმა რუსეთში კათოლიკეების ტოტალურ დევნად წარმოაჩინოს, მაშინ როდესაც ვიზის გაცემა-არგაცემა ყველა სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, – განაცხადა ალექსეი მეორის წარმომადგენელმა ვსევოლოდ ჩაპლინმა.

ჩაპლინმა „ინტერფაქსს" ასევე განუცხადა, რომ გაოცებული იყო იმ ფაქტით, როცა პოლონური წარმოშობის პაპმა, კათოლიკეების დევნაზე საუბრისას, სწორედ რუსეთი გამოყო, მაშინ როდესაც ნამდვილი დევნის ფაქტებს ბევრ ქვეყანაში აქვს ადგილი.

გასულ აპრილს პოლონური წარმოშობის ეპისკოპოსს - იერჟი მაზურს, რომელიც აღმოსავლეთ ციმბირში მოღვაწეობს, რუსეთის ვიზის მიცემაზე უარი უთხრეს.

ამას რამდენიმე მღვდლის გაძევებაც მოჰყვა.

რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას სურს, წინ აღუდგეს ქვეყანაში კათოლიკური ეკლესიის გაძლიერებას. ვატიკანი გმობს სასულიერო პირთა გაძევებას, როგორც კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას.

გავლენიანი მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობა ამბობს, რომ კათოლიკეები მათი მრევლის გადაბირებას ეწევიან.

ჩაპლინმა განაცხადა, რომ ვატიკანის ინიციატივა, რუსეთში ფართო კათოლიკური მისიის დაწყების თაობაზე, ჩაიშალა. მან ბრალი დასდო რომს, რომ იგი მძიმე ეკონომიკურ ვითარებას „ადამიანთა სულების ყიდვისათვის" იყენებს.

ეკლესიის მეთაურმა გასულ კვირას განაცხადა, რომ ურთიერთობების გაუმჯობესება მთლიანად ვატიკანზე იყო დამოკიდებული.

„უკეთესი ურთიერთობების პერსპექტივა მთლიანად ვატიკანის ნებაზეა დამოკიდებული," – განუცხადა ალექსეი მეორემ „კომერსანტის" კორესპონდენტს.

ვატიკანი აცხადებს, რომ რუსეთში 1,3 მილიონი მორწმუნე კათოლიკეა, თუმცა, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, მათი რაოდენობა გაცილებით მცირეა.

**„როიტერი"**

# ვაშინგტონი ფხენიანის დაშოშმინებას ცდილობს

რევაზ ბახტაძე

*ბირთვული კრიზისის მოსაგვარებლად თეთრი სახლი მზად არის, ფხენიანის მოთხოვნები დააკმაყოფილოს*

13 იანვარს შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ მზად არის, ჩრდილოეთ კორეას ნავთობის მიწოდება აღუდგინოს, თუ ეს უკანასკნელი ბირთვული პროგრამების განხორციელებას შეწყვეტს.

"მას შემდეგ, რაც ბირთვულ პრობლემას მოვაგვარებთ, შეერთებული შტატებისათვის იმის შესაძლებლობა გაჩნდება, კერძო ინვესტორებთან და სხვა სახელმწიფოებთან ერთად, ჩრდილოეთ კორეას ენერგეტიკის სფეროში დახმარება აღმოუჩინოს", - განაცხადა სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ჯეიმს კელიმ სამხრეთ კორეის მთავრობის წევრებთან შეხვედრის შემდეგ. კელი სამხრეთ კორეის ახალ პრეზიდენტს რო მუ ჰიუნსაც შეხვდა.

თავად ჩრდილოეთ კორეის პრეზიდენტის კიმ ჩენ ირის თქმით, დაძაბულობის განსამუხტავად აშშ-ჩრდილოეთ კორეის მოლაპარაკებები აუცილებელია.

ეს კელის პირველი ვიზიტი იყო გასული წლის ოქტომბრის შემდეგ, როდესაც იგი ფხენიანს ეწვია და განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული პროგრამების არსებობა აღიარა. ამჟამად კელის მისიას სამხრეთ კორეაში არსებული ანტიამერიკული განწყობილება და მასობრივი გამოსვლებიც ართულებს.

მართალია, კელის განცხადება საკმაოდ ბუნდოვანია და გარკვეულ პირობებს მაინც შეიცავს, მაგრამ ცხადია, რომ ბუშის ადმინისტრაცია ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად მზად არის, უარი თქვას ადრე გაკეთებულ განცხადებაზე, რომ არაფერს დაუთმობს ფხენიანს და "ბირთვულ შანტაჟს" არ დაჰყვება.

ანალიტიკოსების თქმით, ბუშის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს, რომ ერაყის ომის წინ ბირთვული კრიზისი თავიდან აიცილოს, შესაბამისად, თეთრი სახლი უფრო დამყოლი გახდა. ვაშინგტონი აგრეთვე ანგარიშს უწევს ჩრდილოეთ კორეის მეზობლების – რუსეთის, ჩინეთის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის აზრს, რომლებიც საკითხის დიპლომატიური გზით მოგვარების მომხრენი არიან.

ამერიკელი დიპლომატის განცხადებამდე ჩრდილოეთ კორეელმა გენერალმა პან კუან-პოკმა განაცხადა, რომ "(ჩრდილოეთ კორეის) არმია მზად არის თავისი ლიდერის დასაცავად. ჯარისკაცები ცოცხალი ნაღმების როლის შესრულებაზე უკან არ დაიხევენ. არ არსებობს დედამიწაზე ადგილი, სადაც მათი "თავდასხმების არიდება იქნება შესაძლებელი".

ჯეიმს კელის დიპლომატიური ვიზიტი გადამდგარი ამერიკელი დიპლომატის ბილ რიჩარდსონის მოწოდებას მოჰყვა, რომელსაც ჩრდილოკორეელ მაღალჩინოსნებთან მოლაპარაკებები ჰქონდა. მისი თქმით, ამერიკის ხელისუფლებამ ფხენიანთან დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მოლაპარაკება.

რიჩარდსონმა ჩრდილოეთ კორეასთან სამდღიანი კონსულტაციები შაბათს დაასრულა და განაცხადა, რომ, რეალურად, ფხენიანი მტრული განცხადებებით ცდილობს მოლაპარაკებების სურვილის შენიღბვას.

მისი აზრით, ფხენიანსა და ვაშინგტონს შორის თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმებაა აუცილებელი.

ჯეიმს კელის ვიზიტის პარალელურად, ვენაში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ განაცხადა, რომ შემდეგ კვირას ჩრდილოეთ კორეის შესახებ საგანგებო სხდომას არ მოიწვევს. სწორედ ამ სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო, გადაეცემოდა ფხენიანის საქმე უშიშროების საბჭოს, თუ არა.

"დიპლომატიას შანსი მიეცა", - აღნიშნა საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენელმა მელისა ფლემინგმა სხდომის გადადების მიზეზებზე საუბრისას. რუსეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სავსებით ეთანხმება წარმოდგენილ სამშვიდობო გეგმას, რომელიც თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმებასა და ნავთობის მიწოდების აღდგენას გულისხმობს. არ არის გამორიცხული, რომ მოსკოვმა თავისი წარმომადგენლები გააგზავნოს ფხენიანში მოლაპარაკებების გასამართავად.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტის წარმომადგენელმა საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია კელისა და როს შეხვედრის თაობაზე. მისი თქმით, პრეზიდენტმა ამერიკელ ემისარს სამხრეთ კორეის შეშფოთება გაუზიარა ვაშინგტონის მიერ ფხენიანისათვის შესაძლო სანქციების დაწესების თაობაზე. პრეზიდენტის წარმომადგენელმა ჯეიმს კელის სიტყვები გაიმეორა, რომ ამერიკა არც ეკონომიკური სანქციების დაწესებას და არც თავდასხმას არ გეგმავს.

ამერიკელი და ორივე კორეული სახელმწიფოს წარმომადგენელთა განცხადებები ცხადყოფს, რომ ნახევრაკუნძულზე დაძაბულობა უახლოეს მომავალში განიმუხტება. ერაყში მოსალოდნელი ომის ფონზე კიმ ჩენ ირის სტრატეგიამ აშკარად გაამართლა: ჩრდილოეთ კორეის მოთხოვნების მაქსიმუმი დაკმაყოფილდება. თუმცა, ეს მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში.


REUTERS

*ამერიკელი დიპლომატი კომპრომისისათვის მზად არის.*

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# მეშინია, ერთ მშვენიერ დღეს ხალხმა არ თქვას, შიმშილით ვკვდებით, რა დროს თეატრიაო...

*...და რადგანაც, ქართველები, ზოგი ნებითა და ზოგიც უნებლიეთ, ცხოვრების ავანსცენაზე მძვინვარე აბსურდის თეატრის მონაწილენი გავხდით და უთეატროდ ცხოვრება ვერ წარმოგვიდგენია, სულ მალე თბილისში გაიხსნება კიდევ ერთი თეატრი - თეატრალური სარდაფი-2. ეს მოხდება საბიუჯეტო (უფრო ზუსტად, უბიუჯეტო) კრიზისის ჟამს, როცა მაყურებლები ფულს აბანდებენ პურში და არა სანახაობაში.*
*დღეს თბილისში თვრამეტი თეატრი არსებობს, მაგრამ, რეალურად, ოთხი-ხუთია დატვირთული. ლევან წულაძეს (ჭოლას), თეატრალური სარდაფის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და რეჟისორს, ამ ოთხივე თუ ხუთივე თეატრში უმუშავია. მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე იცოდა, რაც სურდა, მაინც ჯერ სამსახიობო ფაკულტეტზე ჩააბარა. დღეს ის ორი თეატრის რეჟისორია და მსახიობების სურვილს რეპეტიციებზე იკმაყოფილებს.*
**- ჩვენს პროფესიულ დღეს მივულოცავ ყველა კოლეგას, ვინც ამ ფრონტზე იბრძვის. ვუსურვებ, არ დაეკარგოთ სიმხნევე და რწმენა იმისა, რომ თეატრი საჭიროა ხალხისთვის. მაგრამ, მაინც მეშინია, ერთ მშვენიერ დღეს ქართველმა ხალხმა არ თქვას - თქვენ სულელები ხომ არ ხართ, შიმშილით ვკვდებით, რა დროს თეატრიაო... მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, რომ ეს არ მოხდება. ჩვენი თეატრი ამით სულდგმულობს...**
*დღევანდელი ჩვენი "პერსონა" ირწმუნება, რომ "სარდაფში" ინტრიგებით მოპოვებულ ბრწყინვალებას არ დამალვია. მან, უბრალოდ, საკუთარი ადგილი მოიპოვა ცის ქვეშ და ახლა ამავე ცის ქვეშ თეატრის განსაკუთრებული ადგილის მოპოვებას ცდილობს...*
*ახალ "სარდაფში" მეტი მაყურებელი დაეტევა და მსახიობებიც გაცილებით მეტი შესაძლებლობების მქონე სცენაზე ითამაშებენ...*

მაია ქალაბანიძე

**- ძველით ახალი წელი მოგილოცოთ თუ ქართული თეატრის დღე?**
- ორივეს ვიღებ.
**- საყოველთაო უფინანსობის ხანაში როგორ უნდა იცხოვროს თეატრმა?**
- მომჭირნედ. ჩვენ რომ რალაცას ვახერხებთ, ეს არ ნიშნავს, რომ ბედნიერად ვცხოვრობთ.
**- მაგრამ, თქვენ მაგალითი ხართ...**
- სამწუხაროდ, ზოგჯერ ცუდი მაგალითი ვართ, რადგან ჩვენს არსებობას ხშირად იმისთვის იყენებენ, რომ თეატრებს არ მისცენ ფული შემდეგი მოტივით - აი, თეატრალური სარდაფი ხომ ცხოვრობს უფულოდ... ეს არ არის სწორი. თეატრს, ასეც და ისეც, დაფინანსება სჭირდება. ჩვენ ბევრი ადამიანი გვეხმარება და, არ შემიძლია, არ ვთქვა, რომ, მათ შორის მერიაც არის. თანაც, ღირსეულად, საკუთარი სურვილით დაგვეხმარა, ისე რომ, ჩვენ არ გვიმათხოვრია. თუმცა, მარტო შენობა არაფერს ნიშნავს. პრინციპში, ასე თუ ისე, თეატრს ვარჩენთ, მაგრამ სადადგმო ფული მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია.
**- რა იდგმება სარდაფში - მხოლოდ ის, რასაც ბაზარი მოითხოვს? თქვენ ხომ მთლიანად მაყურებლის რაოდენობაზე ხართ დამოკიდებული? ამის გამო ბევრ კომპრომისზე გიწევთ წასვლა?**
- გააჩნია. რა თქმა უნდა, არის კომერციული სპექტაკლები, მაგრამ არც ესენია მხოლოდ კომერციული. პიესას მაინც არ ვირჩევთ ხაზგასმულად მხოლოდ მაყურებლისთვის. დღეს თანამედროვე ქართულმა თეატრმა არ შეიძლება ისაუბროს მხოლოდ ისე, როგორც წარსულში რუსული თეატრი საუბრობდა...
**- სისტემას გულისხმობთ?**
- არა. რუსულ თეატრში დღესაც არის ტენდენცია, თითქოს, მაყურებელი არაფერ შუაშია, მთავარია სიმართლე და შემოქმედებითი პროცესი. დღეს თეატრმა ბრძოლით უნდა მოიპოვოს თავისი ადგილი თანამედროვე სამყაროში. ამიტომ ის ვალდებულია, ყოველთვის ჰქონდეს მნიშვნელოვანი სათქმელი.
**- როგორ უნდა აჯობოს თეატრმა კინოსა და ტელევიზიას - ბრძოლა გამოუცხადოს?**
- მხედველობაში არ მაქვს ბრძოლა სხვა ჟანრებთან. ვგულისხმობ ბრძოლას მთლიანად ქვეყანაში გამეფებულ უკულტურობასთან. თეატრი საჭირო უნდა იყოს ხალხისთვის. არ შეიძლება, დღეს ხელოვანმა მხოლოდ თავის ინტერესებსა და მიზნებზე იფიქროს. ის ვალდებულია, რაღაც უამბოს მაყურებელს.



ლევან წულაძე

**- ბანალურად რომ ვთქვათ, თეატრში სიმართლის ასახვის პროცენტი გაიზარდა?**
- ბანალური გაგებით, ზედმეტადაც გაიზარდა, მაგრამ არაბანალურად - არ გაზრდილა.
**- ამით ხომ არ დაკარგულა თეატრის არსი?**
- თეატრის არსი ყოველთვის სიმართლე იყო. თეატრი არასდროს ყოფილა მკვდარი ორგანიზმი. განსაკუთრებით, თუ მის არქიტიპს ვიგულისხმებთ. ის ყოველთვის ხალხისთვის და მაყურებლისთვის იყო. რომელიღაც პერიოდში თეატრი ხაზგასმულად მგრძნობიარე იყო, რომელიღაც პერიოდში - ხაზგასმულად ბალაგანური. ყველა შემთხვევაში თეატრი უნდა აღელვებდეს მაყურებელს. ზოგი ჟანრი მაყურებელს იმიტომ აღელვებს, რომ გასართობია, ზოგიც იმიტომ, რომ ჭკუის სასწავლებელია და ა.შ. ჩემთვის მოლიერი თეატრის ისტორიაში ერთ-ერთი საინტერესო ადამიანია. მან შეძლო ირონიული სიბრძნის ფორმის მოფიქრება. მართალი რომ გითხრათ, სატირა, ამასთან შედარებით, უფრო ბრტყელია. მოლიერი აუცილებლად ეყრდნობოდა კონკრეტულ ფაქტს. ის რეალისტი იყო და ძალზე ჩვეულებრივ, ცხოვრებისეულ ამბებს წერდა. ამას ირონიული სვლებითა და სიბრძნით აკეთებდა. მიმაჩნია, რომ მის "მიზანთროპში" არანაკლები სიბრძნეა, ვიდრე შექსპირის "ჰამლეტში".
**- მსახიობებს, თეატრიდან გასულებსაც კი, გაჰყვებათ ხოლმე თამაშის ჩვევა. ისინი ყველგან და ყოველთვის თამაშობენ. რა მიჰყვება რეჟისორს?**
- ვფიქრობ, რომ ეს მსახიობების ბედნიერებაა. ბედნიერია ის მსახიობი, ვინც ამას ახერხებს. მსახიობების უმეტესობა ცხოვრებაში ძალზე უინტერესოა. უფერული ხდებიან, რადგან თეატრისგან იღლებიან. რეჟისორს კი გაცილებით მეტი მიჰყვება. მსახიობი თამაშობს, განიცდის, მერე თეატრიდან გასულიც განაგრძობს ამ თამაშს და მას ნაკლები პასუხისმგებლობა აქვს. რეჟისორი თეატრში ბერდება, მსახიობი კი იზრდება ახალი ემოციით.
**- თქვენ სამსახიობო ფაკულტეტიდან (სადაც არცთუ ცუდი კარიერა გელოდათ) გადახვედით სარეჟისოროზე...**
- თავიდანვე რეჟისორობას ვაპირებდი და სამსახიობოზე განზრახ ჩავაბარე. ამის შესახებ ჩემი ჯგუფის ხელმძღვანელმა გიზო ჟორდანიამაც იცოდა და ირონიულად უყურებდა ჩემს ამ განზრახვას. მიუხედავად ამისა, პირველი ორი კურსის განმავლობაში მისგან განსაკუთრებულ ყურადღებას ვგრძნობდი. მინდა, ამისთვის დიდი მადლობა ვუთხრა დღეს. ბევრი მებრძოდა, არ გადახვიდე, რა სისულელეს აკეთებ და ა.შ. მახსოვს ბატონი გიზოს საუბარიც. მანქანაში ჩამსვა და მითხრა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ შეუცვლელი არავინაა, რომ სისულელეს აკეთებ, მაგრამ მაინც წადიო...
**- რატომ გადახვედით სარეჟისოროზე, დიქტატორობა გინდოდათ?**
- რეჟისორი ნამდვილად უნდა იყოს დიქტატორი, მაგრამ ეს ნებაყოფლობითი დიქტატურაა. თუ რეჟისორი ყვირის, ეს არ ნიშნავს, რომ ის კარგია. თუ რეჟისორი ხმაურობს, მსახიობები მას უნდა ენდობოდნენ და იცოდნენ, ის იმიტომ ხმაურობს, რომ ნერვიულობს და არა იმიტომ, რომ მათი დამცირება და თავისი ძალაუფლების ჩვენება უნდა. მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც რეპეტიციებზე ყვირილი დავიწყე, რადგან, უფრო მეტად, ჩემს ყოფილ სტუდენტებთან მაქვს ურთიერთობა და თავს ამის უფლებას ვაძლევ.
**- თქვენი აზრით, ვინ დაგვრჩა დღეს? სამწუხაროდ, ბუმბერაზი არტისტები აღარ ჩანან. რა გველის 10-15 წლის მერე?**
- მაშინ არტისტებს ბუმბერაზობაში თეატრის ჰეგემონია ეხმარებოდა. თუნდაც, პოპულარობისა და ხალხის მხრიდან მსახიობების გაღმერთების თვალსაზრისით. კინო, რა თქმა უნდა, ეცილებოდა თეატრს, მაგრამ ერთად ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ. დღეს შემოიჭრა ახალი მეტოქეობა, რომელიც, მნიშვნელობით, კინოსაც კი ექიშპება - ესტრადა, რომელიც ჯერ სათანადო დონეზე არ არის, მაგრამ მაინც მომძლავრებულია და კერპებიც არსებობენ. ბევრი ამას იმსახურებს, ბევრიც - არა. ასევე იყვნენ ის "ბუმბერაზი" მსახიობებიც - ზოგი იმსახურებდა ამას, ზოგი - არა.
**- დღეს ვის აქვს ამგვარი მონაცემები?**
- შეიძლება არ იდგმება დიდი მასშტაბის სპექტაკლები, მაგრამ "ბუმბერაზობის" მონაცემები ბევრს აქვს... იქნებ ცოტა არათავმდაბლურია, მაგრამ, იმედი მაქვს, სარდაფში მოღვაწეობა რაღაც უფრო დიდში გადაიზრდება.
**- მაგრამ, მსახიობს, ნიჭიერების გარდა, ინტელექტი და შინაგანი კულტურაც სჭირდება...**
- სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში, ინტელექტისა და კულტურის ცნებები ადგილშეცვლილია. მათი დონეც ძალზე დაბალი გახლავთ. ნახევრად განათლებული ადამიანი დღეს საოცარ მწიგნობრად შეიძლება ჩაითვალოს. ეს თანამედროვეობის ყველაზე დიდი სნეულებაა მთელ სამყაროში. საბჭოთა პერიოდგამოვლილ თაობას მაინც აქვს განათლების რაღაც საფუძველი - თუნდ არასწორი, თუნდ ხარვეზიანი, მაგრამ მაინც სისტემური განათლება... ეს ნელ-ნელა ქრება...
**- თქვენ სტუდენტებთან გაქვთ ურთიერთობა და, ალბათ, ამიტომ ამბობთ...**
- ეს ყველაზე საშინელი პრობლემაა და დიდი პანიკის საფუძველს იძლევა. ვერ ვიტყვი, ვინ მეტია - განათლებული თუ უწიგნური. ცუდია ის, რომ გაუნათლებლობა სირცხვილი აღარ არის. უწიგნურებიცა და წიგნიერებიც ყოველთვის იყვნენ, მაგრამ, დღეს, ზოგჯერ, განათლება დასაცინი ხდება - აი, ეს დამოკიდებულებაა უბედურება. უწიგნურს მიაჩნია, რომ ის უფრო ბედნიერია, ვიდრე განათლებული ადამიანი. შეიძლება ეს მართალიც არის, თუმცა, ასე არ მგონია.
**- პატარა სცენაზე, ჩემი აზრით, უფრო ჩანს ნიჭი და უნიჭობა, სუსტი წერტილები...**
- ვერ ვიტყვი, რომ აქ რაიმე უფრო ჩანს და იქ - არა. უბრალოდ, სხვადასხვა ხერხებია. შეიძლება, კამერულ სცენაზე არაჩვეულებრივი მსახიობი დიდ სცენაზე არ გამოჩნდეს და ა.შ. დიდ სცენას თავისი ეპიკურობა, მასშტაბი, მონაცემები, ხმა, შინაგანი ძალა და ენერგია სჭირდება...
**- როდის იბადება ახალი თეატრი? თქვენ შეგეძლოთ, ძველ, აკადემიურ თეატრებში გემუშავათ?..**
- ყველა რეჟისორის ოცნება მაინც საკუთარი სივრცეა. როცა ჩვენ ამ ნაბიჯს ვდგამდით, ყველას უკვირდა. დიდ სცენაზეც გვქონდა კარგი შესაძლებლობები... მაინც ვამჯობინეთ, საკუთარი გზით გვევლო. რეჟისორი, თავისი ფუნქციით, ორგანიზატორი, შემკრებია... დიდ თეატრში ამას ვერ გააკეთებ - მაშინ ინტრიგანი უნდა იყო.
**- ხომ არ არის სარდაფი ჩაკეტილი, ვიწრო სივრცე, რომელიც მაინც სათავსია და არა ბრწყინვალე სასტუმრო ოთახი? აქ თქვენ ცნობილ თეატრალურ ინტრიგებს ხომ არ დაემალეთ?**
- ამგვარი ინტრიგებისგან, პრინციპში, თავისუფლები ვართ. რა თქმა უნდა, აქაც არსებობს ინტრიგები როლებს, მსახიობებს შორის, მაგრამ ეს ბუნებრივიცაა და შესანიშნავიც. როცა ინტრიგა ერთადერთი გზა ხდება გამარჯვებისკენ - ეს არის საშინელება. ინტრიგა, უბრალოდ, ინტერესეთა შეხლა-შემოხლა, ნერვიულობაა და მეტი არაფერი. ეს ჩვეულებრივი ამბავია.
ქართული თეატრის (და არა მხოლოდ ქართულის) ისტორია, სამწუხაროდ, ერთმანეთის გვამებზე სიარულის ისტორიაა. ჩვენ ვცდილობთ, სანამ დიდი თეატრი გავხდებით, დასაწყისში მაინც ვიყოთ თავისუფლები...
**- დღეს თეატრის დღეა. მოდით, განვაზოგადოთ - რა აკლია ქართულ თეატრს და რა აქვს ჭარბად?**
- აკლია ფული და ყურადღება. თუმცა, ამ ბოლო დროს მაინც გამოჩნდნენ ადამიანები, ვინც ქართულ თეატრებს ეხმარებიან და ეს ძალიან კარგია. მთავარია შემოქმედების დაფინანსება.
ქართული თეატრში ჭარბადაა ნიჭიერება. დღეს ძალზე ბევრი ნიჭიერი მსახიობია და ყველას შეუძლია საოცარი რაღაცის გაკეთება.
**- კარგ რეჟისორებზე არ საუბრობთ...**
- რეჟისორებთან, მე თუ მკითხავთ, პრობლემაა. ეს პროფესია სულ უფრო ნაკლებ ხალხს იზიდავს და, არა მგონია, რომ ეს სირთულის ბრალია. რაც უფრო რთულია პროფესია, უფრო მიმზიდველია. ჩემთვის რთული იყო ფილოსოფიის ფაკულტეტი. სარეჟისორო ფაკულტეტიც რთულად წარმომედგინა და ამიტომაც, თავიდან, სამსახიობოზე ჩავაბარე.
**- როგორ უვლით ცუდად ამბიციურ მსახიობებს?**
- მათთან, უბრალოდ, არ ვმუშაობ. მირჩევნია, ნაკლებად განთქმული იყოს, მაგრამ უყვარდეს თავისი საქმე. ადამიანთან, რომელსაც თეატრი არ უყვარს, ურთიერთობა მიჭირს. მსახიობს, რომელიც საკუთარ თავზეა შეყვარებული, თეატრი ნაკლებად უყვარს.
**- ახლა მოსკოვში მიუზიკლის ბუმია და, როგორც ჩვეულებრივ ხდება, აქაც მალე გადმოინაცვლებს... რას დააპირებთ?**
- მიუზიკლი ის სფეროა, რომელიც ძალიან მიყვარს. მას არავითარი კავშირი არა აქვს მიუზიკჰოლთან, ან მუსიკალურ კომედიასთან. ეს არის ძალზე სერიოზული, ავი, ბოროტი გამომსახველობითი ჟანრი. მუსიკისა და თეატრის შერწყმა, სანახაობის თვალსაზრისით, იდეალური ფორმაა... დიდი ხანია, მიუზიკლის დადგმაზე ვოცნებობ. ჯერჯერობით, საქართველოში არ არსებობს სივრცე, რომელშიც ეს შესაფერის დონეზე განხორციელდება... შეიძლება ეს იყოს რუსთაველის თეატრი, ან ფილარმონია, სადაც, როგორც ვიცი, შესანიშნავი აპარატურა შეიძინეს.
**- ამისთვის მომზადებული შემოქმედებითი დასები თუ არსებობენ?**
- მთავარი პრობლემა სწორედ ეგ არის. ნელ-ნელა უნდა აღიზარდოს მსახიობის ის ტიპი, რომელსაც ერთ დონეზე შეუძლია მოძრაობაც, ვოკალიცა და დრამატურგიაც, ანუ გარდასახვა...
**- თუ არ ვცდები, ერთხელ საახალწლო სპექტაკლი დადგით რუსთაველის თეატრში. მას შემდეგ მსგავსი რამ აღარ გიცდიათ. რატომ?**
- ბედნიერება მქონდა, ოთარ ეგაძესა და რობერტ სტურუასთან ერთად მემუშავა დიკენსის "საშობაო სიზმარზე". სამწუხაროდ, ეს სპექტაკლი რეპერტუარიდან მოხსნეს.
**- მიზეზი, ალბათ, იცით...**
- დიახ, ვიცი.
**- ჩათვალეთ, რომ გაქვთ კარგი შეკვეთა, დადგათ სპექტაკლი პირობითი სათაურით "საქართველო დღეს"... რა ჟანრის სპექტაკლი იქნებოდა? ვის დააკავებდით მასში და რა როლს მიანიჭებდით?**
- ეს იქნებოდა აბსურდი სათაურით "ალისა საოცრებათა ქვეყანაში". ალისას როლი ექნებოდა ხალხს, რომელიც გაოგნებული უსმენს და უყურებს იმ სისულელეებს, რომლებსაც კანცელარია და მთავრობისა თუ არასამთავრობო ჩინოსნები გვთავაზობენ. დედოფალი, რომელიც, ძირითადად, ბრძანებებს იძლევა თავის მოკვეთის შესახებ, პრეზიდენტი იქნებოდა. თეთრხელთათმნიანი კურდღლის როლს ჯორბენაძეს მივანიჭებდი... სხვათა შორის, ეს არ არის ცუდი როლები, ეს მთავარი როლებია... შალტაი-ბალტაი მთლიანად მოქალაქეთა კავშირი იქნებოდა. საკრებულოს მივანიჭებდი მეორე დედოფლის როლს, რომელიც პირველს ეჩხუბება. დადგმა იქნებოდა შუბებითა და ბრძოლებით... მოკლედ, იქ ძალზე ბევრი პერსონაჟია და ყველასთვის გამოიძებნება როლი. სერიოზულად რომ ვიფიქრო, სერიოზული პიესა გამოვა...
**- თუ გადავხედავთ წარსულში განხორციელებულ სპექტაკლებსა და როლებს, დრამატურგიული ლოგიკით, როგორ გაგრძელდება ჩვენი თამაში ამ ახალ წელს?**
- პიესაში სამი ნაწილია - ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, განვითარება, კულმინაცია და ფინალი. ვფიქრობ, ჯერ კვანძი არ შეკრულა, მაგრამ ექსპოზიცია გაწელილია. სხვათა შორის, ლოპე დე ვეგა ამბობდა: ნუ იჩქარებთ ექსოპოზიციაში... სჯობს, პირველი აქტი მთლიანად იყოს ექსპოზიცია და ყველაფერი კარგად გაირკვეს, შემდეგ კი უცებ განვითარდეს მოვლენებიო... თუ ლოპე დე ვეგას დავუჯერებთ, მალე მოგველის კვანძის შეკვრა და განვითარება. ფინალი კი აუცილებლად კეთილი იქნება, რადგან ქართველი ხალხი ყველანაირად ვალდებულია და იქნება კიდეც ბედნიერი...






14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

# "ორ სკამს დავდგამ და ისე ვითამაშებ..."

თამარ სუხიშვილი

მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში თეატრის დღეს 27 მარტს ზეიმობენ, ჩვენ, ჩვენის მხრივ, თეატრის საერთაშორისო დღესთან ერთად, ქართული თეატრის დღესაც აღვნიშნავთ. ისე, რატომღაც არა, თუკი შეიძლება გვქონდეს ორი ახალი წელი, ორი შობა, ორი გიორგობა, არც ორი თეატრის დღე გვაწყენდა. ხუმრობა იქით იყოს და ქართული თეატრის დღის გამორჩევას ჩვენი ქვეყნისთვის მართლაც რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან თეატრის სცენა ათეული წლების განმავლობაში "მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა" ლამის ერთადერთი ადგილი იყო, საიდანაც ქართული სიტყვა ითქმოდა...

1850 წელს პროფესიული ქართული თეატრის აღორძინება დიდ ეროვნულ-საზოგადოებრივ მოვლენად იქცა. პირველი ქართული თეატრის მთავარმართებლის ხელდასხმით არ შექმნილა, როგორც ამას შავრაზმელი კატკოვი გვარწმუნებდა; მაშინდელ საზოგადო მოღვაწეთა მტკიცებით, მთავარმართებლის დამსახურება არაფერი ყოფილა: "რასაკვირველია, თვით ქართველების მეცადინეობით მოხდა ეს სასიამოვნო ამბავი და არა გარეშე შემწეობითა: ჩვენმა თეატრმა თავისით ჩაიდგა სული, გარედამ შემწეობა არავისგან ჰქონია. ჩვენ მარტო იმისი მადლობელნი ვიყავით და ვართ, რომ დამშლელი არ გამოგვიჩნდა," – წერდა ილია ჭავჭავაძე.

აქ შეიძლება მხოლოდ ამოკრეფით გავიხსენოთ, თუ რა გზა განვლო ქართულმა თეატრმა, რომლის შორეული ფესვები ჩვენთვის ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შუა ხანის თრიალეთის ვერცხლის თასის მისტერიებით ცოცხლდება. ერთი რამ კი ცხადია, ქართული თეატრის ცხოვრება დალხინებული არასოდეს ყოფილა, ქართველ მსახიობს მუდმივად უწევდა ბრძოლა – პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. მაგრამ მოდით, ფაქტებს გადავხედოთ:

1795 წლის 11 სექტემბერს თბილისის მცხოვრებლებმა შეიარაღებული რაზმი შექმნეს და სათავეში თბილისის თეატრის "მსახიობთა უფროსი" მაჩაბელა ჩაუყენეს. მაჩაბელა დაირაზე სალხინო ჰანგის - "შადიანის" დაკვრით გაუძღვა ლაშქარს ბრძოლის ველზე და დაიღუპა. მასთან ერთად დაიღუპა მთელი დასიც...

1882 წლის 20 იანვარს დავით ერისთავის "სამშობლოს" დადგმამ "ეროვნული მანიფესტაციის ხასიათი მიიღო..." ხალხმა ქართული დროშა გამოფინა, მაყურებელმა "სამშობლოს" "გადმომკეთებელი ავტორი" თეატრიდან "დიდის ყოფით" სახლამდე მიაცილა. თეატრის გადამეტებული სიყვარული კატკოვის დამპყრებმა ქართველებს არ აპატიეს. ქართული თეატრი და მთელი ქართველი ხალხი გაამასხარავეს კიდეც: "სამშობლოს" წარმოდგენაზე დიდი ხარჯი მოუგიდათ ქართველებსო, და ქართული დროშები რომ გადაფრენიან ცირკს მიჰყიდეს, კარგს იზამენო..."

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართულმა თეატრმა მარტოოდენ პოლიტიკური ტრიბუნის, მედროშის ფუნქცია იტვირთა. უბრალოდ, თეატრი ქართველი ხალხისთვის ერის მეობის მხსნელად იქცა. "ამჟამად ჩვენი ეროვნული ცხოვრების ყველა კერა გაუქმებულია და შემკვრელი ცენტრად დარჩენილა ერთადერთი ეროვნული თეატრიო," – წერდა იაკობ გოგებაშვილი. რა თქმა უნდა, ეს თეატრის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციების მიჩქმალვას არ ნიშნავდა. თეატრი, პირველ ყოვლისა, ადამიანის შემოქმედებითი ძიების ასპარეზი იყო. ქართველი მაყურებლისთვის თეატრი ყველაფერს ნიშნავდა: ხელოვნებასთან ზიარებას, ყოველდღიურ ცხოვრებას, კარგ ქართულს, ახალი ცხოვრების დაწყების იმედს... ისევ იაკობ გოგებაშვილის წერილს მივუბრუნდებით: "კვირაში ერთს საღამოს გავატარებთ მართლა მშვენიერ ხელოვნების ტაძარში, ვისიამოვნებთ ტკბილის ქართულის ენით, რომელიც გაძევებულია ყოველ გვარის დაწესებულებიდგან, დავსტკბებით ჩვენთა მსახიობთა ნიჭიერ თამაშით, ვნახავთ ერთმანეთს, მოვილაპარაკებთ დღიურს ვარმებზედ, გავაცოცხლებთ ერთმანეთს და ცოტათი მაინც განახლებულნი დავბრუნდებით შინა..."

ამიტომაც იყო, რომ ქართველები გამორჩეულად ელოლიავებოდნენ თავიანთ თეატრს. "ქართველებს როცა წარმოდგენები აქვთო, თეატრი კარგად განათებული და გამთბარიაო, და როცა რუსები არდგენენ, მაშინ-კი არაო. ქართულ თეატრში ხალხი ბევრი დაიარებაო, რუსულში კი – არაო" – ჩიოდნენ ქართული კულტურის მოწინააღმდეგენი...

ასე დაიწყო და გრძელდებოდა პროფესიონალური ქართული თეატრის ისტორია ანშლაგებით, წარმატებებით, ზოგჯერ ჩავარდნებითაც და უამრავი პრობლემით, იმ პრობლემებით, რომლებიც დღეს ქართული თეატრისთვის ისევე აქტუალურია, როგორც დიდი ხნის წინათ. "ქართული თეატრის გაჭირვება" ქართული ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების მუდმივი თემა იყო. პრობლემები კი მაშინაც და დღესაც ერთია: შენობა ინგრევა ან შენობის ქირას ვერ იხდიან და დასი თავშესაფრის გარეშე რჩება, მსახიობები მშიერ-მწყურვალნი არიან, თეატრში ჯანმრთელნი მიდიან, იქ კი ქარი ისე უქიქინებს, ავადმყოფნი


სცენა სპექტაკლიდან "ეზოში ავი ძაღლია"


სცენა სპექტაკლიდან "რიჩარდ III"

ბრუნდებიან შინ, არც კოსტუმებია, არც დეკორაციები...

მსახიობები სეზონის განმავლობაში კიდევ როგორღაც ახერხებდნენ ადამიანურ ცხოვრებას, დანარჩენ 7-8 თვეს როგორ ძლებდნენ კი – ალაჰმა უწყისო, - იგონებს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი გიორგი ლასხიშვილი და იქვე დასძენს: ამ ხალხს მხოლოდ სცენისადმი უზომო სიყვარული იჭერდა, ეს რომ არ ყოფილიყო, ყველა აქეთ-იქით დაიფანტებოდაო. თუმცა, იმასაც ამბობს, რომ ნახევრად მშიერი არტისტები, ბუნებრივია, მთელი თავისი ძალით ვერ ემსახურებოდნენ ხელოვნებას, ხეირიანად ვერც როლებს სწავლობდნენ და სცენაზე გამუდმებით უშვებდნენ შეცდომებს. მაგალითად, ერთ-ერთ თვალსაჩინო მსახიობს პათეტიკურ მონოლოგში უთქვამს: "თვალმოდრეკილი და მუხლცრემლიანი გევედრებიო..."

მარადიულად გაჭირვებულ არტისტებს სცენა მაინც არ მიუტოვებიათ და, რაც მთავარია, არც იუმორის გრძნობა დაუკარგავთ და არც ქართულ პრესასთან გაუწყვეტიათ კავშირი. აი, ამის მაგალითიც:

**ღია წერილი ჩემი პალტოს წამღებს**

**ამხანაგო! შენ რომ იცოდე ამ წუთში რა სულიერ ტრაღედიას განვიცდი, მერწმუნე, თუმცა ჩემი ამხანაგები მეუბნებიან, - შენი პალტოს წამღები უგულო ადამიანი ყოფილაო, - მაგრამ მე მაინც მჯერა – შეგებრალებოდი. აბა წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა! სუსხიანი შემოდგომა, წინ ზამთარი, ასეთი სიძვირე, ჭლექით ავადმყოფი, ზიხარ და თვალცრემლიანი სწერ შენი პალტოს ნეკროლოგს! მერე რომელს? მეორეს!! წელს მაისშიაც სწორედ ქართულ კლუბში, იმავე ადგილას ამაცალეს პირველი პალტო. მართალი გითხრა, გულში კიდეც დაგიმადლე იმის წაღება, რადგან ძველი იყო და რომ არ წაგეღო, ახალს არ ვიყიდდი. მაგრამ მეორეს წაღება კი ძალიან მეწყინა! აბა წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა! ქართველ მსახიობს ამ სიძვირეში განა შეუძლია პალტოს ყიდვა?! უნდა საბანში გავეხვიო და ვიჯდე სახლში; და თუ სახლში დავჯექ და არ ვიმუშავე უნდა სიმშილით მოვკვდე. შენ მეტყვი – გადაახდევინეო? მერე ვის უნდა გადავახდევინო? მე და შენისთანა პროლეტარებს, კლუბის კაპელდინერებს! არა, მე დარწმუნებული ვარ შენ ამას არ იკადრებ! შენ კიდევ შეგიძლიან იშოვნო! მე გატყობ, შოვნის უნარი გაქვს, მე კი – ამ უნარს მოკლებული ვარ. თქვე დალოცვილებო, რაღა ჩემს პალტოებს ეცემით ხოლმე? მე ამას კი არ გისაყვედურებთ! ალბათ შეცდომით ჩაიდინე ეგა. პალტოს მარცხენა ჯიბეში პიესა "ჰენშელის" როლია; ჰოდა, როცა იმ როლს დაინახავ, მიხვდები, რომ პალტო ქართველი მსახიობისაა და დარწმუნებული ვარ, შენს შეცდომას გაასწორებ, - მოიტან!**

**შედეგისა ნუ გეფიქრება. გაძლევ პატიოსან სიტყვას და ეს საიდუმლო სამარეში თან ჩამყვება.**

**ვემყარები შენს სინდისს და იმედს არ ვკარგავ.**

**ვალერიან შალიკაშვილი**

**"სახალხო საქმე", 1917, 96, 7 ნოემბერი**

პრობლემები იყო მე-19 საუკუნეში, იყო მე-20 საუკუნეში და, ამ პრობლემების მიუხედავად, ქართულ სცენაზე მოდიოდა დიდი მსახიობების მთელი პლეადა. ქართული თეატრის სცენაზე მუდმივად კაშკაშებდნენ ნამდვილი ვარსკვლავები: ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძისა... მერე აკაკი ხორავა, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, სერგო ზაქარიაძე,ეროსი მანჯგალაძე... ქართველი მაყურებლის გონებაში ჩაიბეჭდა დაუვიწყარი როლები: ხორავას ოტელო, უშანგი ჩხეიძის ჰამლეტი, ვერიკო ანჯაფარიძის ივდითი, ეროსი მანჯგალაძის გვადი, სესილია თაყაიშვილის ბებია და ბევრი, ბევრი სხვა...

დღესასწაული გრძელდებოდა და გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ 1937 წელს გააქრეს მგზნებარე სანდრო ახმეტელი, მიუხედავად იმისა, რომ სულ ათეული წელია, რაც სოხუმიდან გამოდევნეს ქართული დასი, მიუხედავად იმისა, რომ...

ქართულ თეატრს დღესაც უჭირს. ქართველი მსახიობები დღესაც იბრძვიან. არაფერი შეცვლილა. და მაინც რა მოხდა ღირსშესანიშნავი თეატრის ცხოვრებაში გასულ – 2002 წელს? შეიქმნა ახალი თეატრი – ახალი სარდაფი, დაიწყო რუსთაველის თეატრის სარემონტო სამუშაოები, დაიდგა რამდენიმე ახალი სპექტაკლი, მათ შორის "გოდოს მოლოდინში", გაიმართა საუკუნის სპექტაკლის - "კავკასიური ცარცის წრის" მე-600 წარმოდგენა რამაზ ჩხიკვაძის შეუდარებელი აზდაკით, ჩატარდა თეატრალური ფესტივალი, გამოიკვეთა ახალი სახელები... მიმდინარე წელს კიდევ არაერთხელ დაისვა შეკითხვა - ველური საბაზრო ეკონომიკის პირობებში როგორ უნდა გადაირჩინოს თავი თეატრმა?... ამ შეკითხვაზე ცნობილმა რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ ასე გვიპასუხა: "ჩვენი გადამრჩენი არავინ არ არის, ჩვენ თვითონ უნდა გადავირჩინოთ ჩვენი თავი, თავდაუზოგავი შრომით. მერე ალბათ უკეთესობაც იქნება, თუ არ იქნება და ორ სკამს დავდგამ და ისე ვითამაშებ..."

დღესასწაული, რომელსაც ქართული თეატრი ჰქვია, კვლავაც გრძელდება.

# შექსპირის „ქარიშხლის" ვირტუალური სცენოგრაფია

თეონა ჯაფარიძე

წარმოიდგინეთ ჩაბნელებული თბილისი (თუმცა, ამის წარმოდგენას დიდი ფანტაზია არ სჭირდება) და "პენტიუმ-2"-თან მოკალათებული ახალგაზრდა სცენოგრაფი. სახლი, სადაც ამჯერად ვირტუალური დეკორაციები და კოსტიუმები შეიქმნა, თავის დროზე, ალბათ, ოცხელის, გამრეკელის, გუდიაშვილის თეატრალურ ესკიზებს მასპინძლობდა. მანანა გუნია დიდი თეატრალის – ვალერიან გუნიას შვილთაშვილია. უილიამ შექსპირის "ქარიშხალის" დეკორაციებისა და კოსტიუმების მის მიერ შექმნილმა კომპიუტერულმა ვერსიამ ამ ცოტა ხნის წინათ ფლორენციის საერთაშორისო კონკურსზე მულტიმედიის ნომინაციაში გრან-პრი ანუ "ოქროს ფლორინი" მოიპოვა. პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის დაჯილდოების ცერემონიალი ფლორენციის კომუნის შენობაში, პალაცო ვეკიოში გაიმართა. ფლორენციაში ხომ, თითქმის, ყველა შენობა სამუზეუმოა. ცერემონიალს მიქელანჯელოს დარბაზი დაუთმეს. ევრო-პარლამენტის, ფლორენციის კომუნის, იტალიის კულტურის სამინისტროსა და ფლორენცია-ევროპის კულტურის ცენტრის – "მარიო კონტის" ინიციატივით ეს კონკურსი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. იგი სახვითი ხელოვნების ყველა დარგს მოიცავს და საერთაშორისოა.

საქართველოს კულტურის სამინისტროდან იტალიის საელჩოს კონკურსზე წარდგენილმა მხატვარმა სტაჟირება ფლორენციის სამხატვრო აკადემიაში გაიარა. სტაჟირების პერიოდში მანანა გუნიამ აკადემიის კონკურსშიც გაიმარჯვა და სწორედ მისი სცენოგრაფიით დაიდგა ფლორენციის კონსერვატორიაში ქერუბინის "ორფეოსი"


"ქარიშხალი"


არიელი

დამწყები ქართველი სცენოგრაფებისათვის კოლეგის ეს გამარჯვება,ალბათ, დიდი სტიმული იქნება. თეატრალური ინსტიტუტის სცენოგრაფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი ხომ საინტერესო, მაგრამ განუხორციელებელი იდეებით უასპარეზოდ დარჩა (შეგახსენებთ: სცენოგრაფიის ფაკულტეტი თეატრალურ ინსტიტუტში 1991 წელს გაიხსნა). თეატრი ფუფუნებაა. იმისათვის, რომ ფურცელზე მოხაზული გააცოცხლო, დიდი თანხებია საჭირო. ახლა ბევრი სცენოგრაფი მიმართავს სამგანზომილებიან სივრცეს, ვირტუალურ სამყაროს, კომპიუტერს, რათა საკუთარ ესკიზებს ხორცი შეასხას. ეს კი ერთდროულად პროგრესიცაა, ახალი ესთეტიკაც და, თანაც - გამოსავლის პოვნა.

კალენდარი

## 14 იანვარი

რეჟისორი, სცენარისტი, ნიჭიერი კინემატოგრაფი და დამოუკიდებელი კინოს ერთ-ერთი მეხოტბე, ამერიკელი რეჟისორი სტივენ სოდერბერგი 1963 წლის 14 იანვარს ატლანტაში (ჯორჯიის შტატი) დაიბადა. გაიზარდა ლუიზიანას შტატში, ბატონ-რუჟში, სადაც მამა უნივერსიტეტის დეკანი იყო. სკოლის დამთავრებამდე სტივენი მულტიპლიკატორის კურსებზე ჩაეწერა. მაშინ მომავალი რეჟისორი მოკლემეტრაჟიან ფილმებს ქმნიდა. ჰოლივუდი მას რატომღაც არ მოეწონა და ბატონ-რუჟში დაბრუნდა. მშობლიურ ქალაქში სოდერბერგმა სატელევიზიო რეკლამებისა და მუსიკალური ვიდეოკლიპების სტუდიაში დაიწყო მუშაობა. მისი ნამუშევარი, რომელიც ჯგუფ Yes-ის კონცერტზე იყო გადაღებული, "გრემის" ნომინაციაზეც წარადგინეს, ავტორს კი ცერემონიის ჯილდო, "გრამოფონი" ხვდა წილად. თუმცა, სოდერბერგის წარმატებული კარიერა აქ დროებით შეწყდა. მომავალ წარმატებებში რეჟისორს ხელი ძლიერი სასმელებისადმი მიდრეკილებამ შეუშალა. გარკვეული ხნის შემდეგ სრულიად გამოჯანმრთელებული და ჯანსაღი სოდერბერგი უბრუნდება სერიოზულ მუშაობას და იღებს მოკლემეტრაჟიან ფილმ-გამოკვლევას სექსუალურ ურთიერთბებზე.

იგივე თემას ავითარებს პირველ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმში "სექსი, ტყუილი და ვიდეო" (1989 წ.); აქ რეჟისორი ეხება თანამედროვე მორალსა და სექსუალურ ურთიერთობებს. ნამუშევარს დიდი წარმატება ხვდა წილად: კანში "ოქროს პალმის რტო" არგუნეს, ხოლო დებიუტანტ რეჟისორს მაშინვე მოეფერა კრიტიკა. ამის შემდეგ სოდერბერგს თითქმის აღარ შეუსვენია. სადებიუტო ფილმს შემდეგი სურათები მოყვა: "კაფკა" (1991 წ. მთავარ როლში ჯერემი აირონსი) და "მთათა მეუფე".

90-იანი წლების განმავლობაში სტივენ სოდერბერგს ამერიკული "დამოუკიდებელი" კინოს ერთ-ერთ აღიარებულ ლიდერად მიიჩნევდნენ. ამ მხრივ, რეჟისორის კარიერის პიკად მის ფანტასმაგორიულ "შიზოპოლისს" მიიჩნევენ. თუმცა, როგორც პროდიუსერმა და რეჟისორმა, მაინც გადაიღო მსხვილბიუჯეტიანი ფილმები, სადაც სახელოვანი ჰოლივუდელი მსახიობები დაასაქმა. მათ შორის პირველი იყო კრიმინალური დრამა "თვალსაწიერს მიღმა", ჯორჯ კლუნისა და ჯენიფერ ლოპესის მონაწილეობით; შემდეგი კი - ფანტასტიკური "პლეზენტვილი". 1999 წელს ეკრანებზე გამოვიდა მცირებიუჯეტიანი "ინგლისელი", მთავარ როლში ტერენს სტემპით, რომელიც შეიძლებოდა სოდერბერგის დამოუკიდებველ კინოში დაბრუნებად მიგვეჩნია, რომ არა 2000 წელს გადაღებული ორი ჰოლივუდური ბლოკბასტერი, რომლებშიც მთავარ როლებს ჰოლივუდის სუპერვარსკვლავები ასრულებენ. ეს ფილმებია: "ერინ ბროკოვიჩი: ლამაზი და გადამწყვეტი" და "ტრეფიკი". ფილმები საკმაოდ შემოსავლიანი იყო და "ოსკარის" სხვადასხვა ნომინაციებზეც წარადგინეს. თავად რეჟისორი 2001 წელს ორჯერ იყო ნომინირებული "ოსკარზე", როგორც საუკეთესო რეჟისორი და მიიღო კიდეც ეს ტიტული ფილმისთვის "ტრეფიკი".

დღეს 2001 წლის საუკეთესო რეჟისორი **სტივენ სოდერბერგი** 40 წლის გახდა.

კითხვარი

# 49 სახელმწიფო თეატრი

დათო საყვარელიძე

რეჟისორი

**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის კულტურისთვის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**

**1.** კულტურის აქტივობა შეიძლება გამოიწვიონ პიროვნებებმა, უფრო ზუსტად კი - ხელოვანმა ადამიანებმა. ჩემი აზრით, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს არაფერში; ხელოვნება, თეატრები, ფილმები, უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო მარწუხებისგან, განსაკუთრებით - ეკონომიკურად. ეს იმიტომ, რომ ყველა სფერომ თავისთვის მოძებნოს განვითარების საშუალებები. თქვენ ვერ დამისახელებთ ვერცერთ ქვეყანას, ინგლისის ჩათვლით, რომელსაც 49 სახელმწიფო თეატრი ჰქონდეს. 49 სახელმწიფო თეატრი რომ გაქვს, იმას ნიშნავს, რომ არცერთი არ გივარგა. საზღვარგარეთის ქვეყნებში ბიუჯეტიდან არც ერთი თეატრი არ ფინანსდება, ყველას სხვადასხვა ფონდი აქვს, ეს სულ სხვა სტრუქტურაა. ჩვენს შემთხვევაში, არსებული სტრუქტურა სახელმწიფოსგან ძირეულ ცვლილებას მოითხოვს. სახელმწიფომ ეს ორგანიზაციები უნდა გაათავისუფლოს და არ უნდა აკონტროლოს. ამდენად, კულტურის აქტივობა დამოკიდებულია საზოგადოებაზე, კერძოდ, ხელოვანებზე. თუკი ხელოვანი პოტენციურად არსებობს, ხელოვნებას ვერ შეაჩერებ. მე განსხვავებული დამოკიდებულება მაქვს ამ ყველაფრის მიმართ, თუმცა დღეს საზოგადოების მხრიდან სრულიად საპირისპირო მოთხოვნებია. რატომ უნდა გადავიხადო ბეგარის სახით ვილაცის ნახატში ფული? ეს მოსახლეობას არანაირად არ უნდა აწვებოდეს. თუკი რეჟისორი კარგ სპექტაკლს დადგამს, მის სპექტაკლზე მაყურებელი ბილეთს იყიდის და მივა. სახელმწიფო საზოგადოებაზე ზემოქმედებას ახდენს იმ გზით, რომ იგი ხელოვნების ამა თუ იმ სფეროში თავისი შეხედულებისა და სურვილის მიხედვით ნიშნავს ხელმძღვანელობას. ამიტომ ყოველთვის იქმნება კონფლიქტი, საზოგადოება კი სხვას მოითხოვს. ეს კომუნისტური რეჟიმის მენტალიტეტის გადმონაშთია. სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს, მაგალითად, თეატრის საქმეში. ვთქვათ, სახელმწიფომ თეატრს მისცა ფული, თეატრის დირექტორი იმას კი არ ფიქრობს, როგორმე კარგი სპექტაკლი დადგას და ამ გზით თავისი შემოსავალი როგორმე გააუმჯობესოს, არამედ ფიქრობს, როგორ გაეხვეს კორუფციაში და როგორ ჩაიდოს ჯიბეში სახელმწიფო ფული. ამიტომაც ითხოვენ გამუდმებით, სახელმწიფომ მოგვცეს ფულიო, რომ შემდეგ ჯიბეში ჩაიდონ. სახელმწიფომ არ უნდა მისცეს ეს ფული და თუ თეატრი დაიხურება, ე.ი. ხელმძღვანელობის ბრალია. არსებობს მთელი რიგი საშუალებები, რომ თეატრალური და საოპერო ხელოვნება მომგებიანად აქციონ. ესაა მთავარი. ქვეყნის პირველი პირი ნიშნავს სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებს, რის შემდეგაც ეს შემოქმედი ხალხი უკვე პოლიტიკურად კონტროლირებადი ხდება. ჩემთვის ეს არის ყველაზე დიდი საშინელება.

**2.** 1972 წლის შემდეგ ამ სტრუქტურაში ერთხელ შეიცვალა კანონი, ისიც - უვიცების მიერ და, ამდენად, არავითარი ძირეული ცვლილებები არ მომხდარა. თუმცა, შიგადაშიგ რაღაც გამონათებები შეინიშნება. ძირეულ ცვლილებად ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენ მოვწყდით ერთ დამოუკიდებელ ქვეყანას და გავერთიანდით უკვე რამოდენიმე ქვეყნის ველში. ჩვენზე ისე სტერეოტიპულად აღარ საუბრობენ, როგორც - ადრე, როდესაც რუსეთის ნაწილად აღგვიქვამდნენ. ახალი თაობა წამოვიდა და ძალიან კარგი ტენდენციები შეინიშნება მხატვრულ ლიტერატურაში და სხვადასხვა მიმდინარეობაში. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ინფორმაციულ ვაკუუმში ვართ. ახალგაზრდებს არ აქვთ საშუალება გაეცნონ იმ მოვლენებს, რაც საზღვარგარეთ ხდება. ჩვენ, ფაქტობრივად, ჩამორჩენილები ვართ - უინფორმაციო კუნძულზე. ადრე თუ 15 რესპუბლიკის მიხედვით ვმსჯელობდით და ვაკონტროლებდით დიდ სივრცეში მომხდარ ცვლილებებს, ახლა საქართველოს ტერიტორიაზე რაც ხდება, იმას ვაკვირდებით და მსოფლიოში მიმდინარე საინტერესო მოვლენებს ვეღარ ვაფიქსირებთ. მნიშვნელოვან მოვლენას რაც შეეხება, ეს, ალბათ, იყო ვატო კახიძის ფესტივალი. ლადო ათანელის "მაკბეტს" სერიოზულ გამარჯვებად მივიჩნევ, დანარჩენი ძალიან პროვინციული და მდარე ხარისხის პროდუქცია შეიქმნა.

**3.** ახლახან დიდ თეატრში ვნახე პრემიერა - იტალიელების მიერ დადგმული "პრინცესა ტურანდოტი"; ვკითხულობ ედუარდ ლიმონოვის ბოლო წიგნს, თვალყურს ვადევნებ მის ამჟამინდელ ცხოვრებას - დაჭერილია და პროცესი მიმდინარეობს. კიდევ სხვა რაღაცეებსაც ვკითხულობ; მოვუსმინე ალფრედ კრაუსის "რიგოლეტოს"- ძველი შესრულებით. ოპერაში "ნაბუქოს" დადგმას ვამზადებ. ფილმი, თითქმის, ყველა ვნახე, მაგრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება არც ერთს არ მოუხდენია.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

### კალენდარი

## 14 იანვარი



მერილინ მონრო და ჯო დი მაჯიო

1916 - დაიბადა ლეონიდ მეშკოვი. 1930-1950 წლებში საბჭოთა კავშირის საუკეთესო მოცურავე. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი. მსოფლიოს რეკორდსმენი.

1925 - დაიბადა ერნსტ სტოიასპალი. ავსტრიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. ავსტრიისა და საფრანგეთის ჩემპიონატების 306 მატჩში გაიტანა 378 გოლი.

1929 – დაიბადა ვლადიმირ კონდრაშინი. საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 1972 წლის ოლიმპიადაზე გაიმარჯვა.

1948 - დაიბადა გამოჩენილი საბჭოთა ჰოკეისტი ვლადიმირ ხარლამოვი

1954 - ბეისბოლის ლეგენდამ ჯო დი მაჯიომ მერილინ მონროზე იქორწინა (ფოტო).

1955 - დაიბადა დომინიკ როშტო. ფრანგი ფეხბურთელი. 1984 წლის ევროპის ჩემპიონი.

1971 - დაიბადა ლასე კიუსი. ნორვეგიელი სამთომოთხილამურე. ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული აქვს 10 მედალი. მსოფლიოსნ 1999 წლის ჩემპიონატზე მოიპოვა ერთბაშად 5 მედალი - 2 ოქრო, 3 ვერცხლი.

### ისტორიული ფოტო

## ეს იყო 29 წლის წინათ...



1974 წლის 18 ივნისი, ფრანკფურტი (გერმანია). ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები რობერტო რიველინო და ნელინიო

# კახა კალაძე: „მილანი„ სამივე ტურნირის მოგებას გეგმავს„

მიხეილ აბაიშვილი

*გუშინ იტალიის სერია A-ში საშობაო არდადეგები დასრულდა და გუნდებმა მე-16 ტურის მატჩები ჩაატარეს. კახი კალაძის "მილანი" ბოლონიას ესტუმრა. "როსონიერიმ" 2:0 გაიმარჯვა. პირველი გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში ანდრეი შევჩენკომ გაიტანა, ხოლო ანგარიშს სოლიდური სახე მისცა ბრაზილიელმა სერჟინიომ. ამ გამარჯვებით "მილანმა" 36 ქულა დააგროვა და სატურნირო ცხრილს კვლავაც სათავეში უდგას, თუმცა, ქულათა იგივე რაოდენობით, მეორე ადგილზე თანაქალაქელი "ინტერია". გუშინ ტელეფონით ვესაუბრეთ "მილანის" ქართველ ლეგიონერს და ბოლონიაში ჩატარებულ მატჩზე კომენტარი ვთხოვეთ.*

- ძალიან რთული და მნიშვნელოვანი შეხვედრა მოვიგეთ. "ბოლონია" საკუთარ მოედანზე ბრწყინვალედ თამაშობს. ამ გუნდმა ბოლონიაში სერია A-ს ზედიზედ შვიდ მატჩში გაიმარჯვა. თუმცა, საშობაო არდადეგებზე ჩვენ უქმად არ ვყოფილვართ - ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრება გავიარეთ, რაც გუშინდელ თამაშში გუნდის ფიზიკურ მომზადებასა და, შესაბამისად, შედეგზეც აისახა. გარდა იმისა, რომ მასპინძლებს ორი გოლი გავუტანეთ, მთელი მატჩის განმავლობაში საგრძნობ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ვფლობდით, რაზეც სტატისტიკაც მეტყველებს: სათამაშო დროის 65 პროცენტი ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით.

**- როგორ შეაფასა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თქვენი თამაში?**

- მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული მეტოქე მის მოედანზე დავამარცხეთ, მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ჩვენ ბოლონიიდან სამი ქულის წამოღებას ვგეგმავდით და ეს შევძელით. ამის გამო რაიმე განსაკუთრებული ანჩელოტის ჩვენთვის არ უთქვამს. გასახდელში შემოვიდა, გამარჯვება მოგვილოცა და მომავალ მატჩებზე ჩამოაგდო სიტყვა. მხოლოდ ერთდღიანი შესვენება გვიწევს, ხვალ კი, იტალიის თასის გათამაშებაში, ვერონის "კიევოს" ვმასპინძლობთ.

**- ცოტა მოულოდნელი იყო, რომ რივალდომ უკან დახეული ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა. როგორც წესი, ამ პოზიციაზე პირლო თამაშობს ხოლმე. რაიმე ახალ ტაქტიკურ სქემას ხომ არ ამუშავებს ანჩელოტი?**

- რივალდო უნივერსალია და რომელ პოზიციაზეც მიუთითებენ, იქ შეუძლია თამაში, თანაც, უმაღლეს დონეზე. იმაში, რომ მან ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა, ახალი და მოულოდნელი არაფერია. რაც შეეხება პირლოს, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ანჩელოტიმ ასე გადაწყვიტა და მის ნაცვლად გუშინ ამბროზინიმ ითამაშა.

**- "მილანი" სერია A-ს ლიდერია. გუნდი ასპარეზობს იტალიის თასზეც და ჩემპიონთა ლიგაშიც ერთ-ერთი ფავორიტია. თქვენთვის რომელი ტურნირის მოგებაა პრიორიტეტული?**

- სამ ფრონტზე ბრძოლა მართლა ძალიან ძნელია. თუმცა, გუნდის ხელმძღვანელობა სამივე ტურნირში გამარჯვებას გვისახავს მიზნად. "მილანი" სუპერგუნდია, რომელშიც უმაღლესი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ. გუნდს გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და თითოეულ სათამაშო პოზიციაზე, ძირითად შემადგენლობაში ყოფნაზე, ერთბაშად 3-4 ფეხბურთელი აცხადებს პრეტენზიას. ასე რომ, გუნდი სამ ფრონტზე საბრძოლველ ძალებს ფლობს. სხვა საქმეა, თუ გულშემატკივრებს თავიანთი პრიორიტეტები აქვთ. იტალიელი ტიფოზები, პირველ რიგში, "სკუდეტოს" მოგებას ითხოვენ, თუმცა, არც სხვა ტურნირებს მიიჩნევენ მაინცდამაინც მეორეხარისხოვნად.

**- იტალიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ვინ მიგაჩნიათ "მილანის" მთავარ კონკურენტებად?**

- ჯერ ჩემპიონობაზე საუბარი ნაადრევია. იტალიაში "სკუდეტოს" მფლობელის ვინაობა, როგორც წესი, ბოლო ტურში ირკვევა. ამდენად, ჩემპიონატში გამარჯვებაზე დღეს გუნდების დიდი ჯგუფი აცხადებს პრეტენზიას. ჩემი აზრით, "მილანთან" ერთად, ყველაზე მეტი შანსი მაინც "ინტერს", "ლაციოს" და "იუვენტუსს" აქვს.



*კახა კალაძე*

# 40 წლის „El Abuelo„ კვლავ საუკეთესოა

აკა ტონია

"როდესაც "ბაბუას" მიწოდებდნენ, ძალიან ვბრაზდებოდი, მაგრამ ახლა უკვე შევეგუე ამ მეტსახელს და მსიამოვნებს კიდეც, როცა ასე მომმართავენ. შეუძლიათ, ასე გააგრძელონ", - ამბობს "დეპორტივოს" ბრაზილიელი მცველი დონატო.

"El Abuelo" ესპანურ ენაზე "ბაბუას" ნიშნავს. ამჟამად დონატო 40 წლისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ესპანეთის ჩემპიონატის ყველაზე მხცოვანი მოთამაშეა. ასაკის მიუხედავად, დონატოზე ვერ იტყვით, რომ ის დაბერდა - ბრაზილიელი დღემდე "დეპორტივოს" შეუცვლელი მცველია.

ესპანური პასპორტის მქონე ბრაზილიელი არასოდეს გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისწრაფით. მისი მთავარი კოზირები შესანიშნავი თვალი, განუმეორებელი პოზიციური თამაში და ორივე ფეხით თანაბრად ძლიერად თამაშის უნარია. ის მორცხვი, ჩუმი ლიდერია. როდესაც დონატო "კარგ გუნებაზეა", გალიციელთა კარს არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ესპანეთში, სადაც მცველები გულშემატკივართა ყურადღებით ნაკლებად არიან განებივრებულნი, დაცვითი ამპლუის ფეხბურთელს დიდი ძალისხმევა სჭირდება, რათა თაყვანისმცემელთა დაფასება მოიპოვოს. დონატომ ეს შეძლო - დღესაც, სისწრაფის დეფიციტის მიუხედავად, როდესაც დონატო ორთაბრძოლას მოიგებს და გრძელი, ზუსტი პასით "დეპორტივოს" მორიგ შეტევას წამოიწყებს, "რიაზორის" სტადიონზე გამაყრუებელი ოვაცია ისმის.

ჯერ კიდევ 10 წლის წინათ, მადრიდის "ატლეტკომ", დონატოს პირველმა ესპანურმა კლუბმა, ბრაზილიელი "ჩამოწერა". და იცით, რატომ? ხანდაზმულობის გამო! ლა კორუნიაში კი, როდესაც "დეპორტივომ", დონატოს სახით, თავისი ახალი შენაძენი წარმოადგინა, ჟურნალისტები იცინოდნენ. ამ ტრანსფერს ყველა სკეპტიკურად უყურებდა. კლუბის პრეზიდენტი აუგუსტო ლენდოირო კი დარწმუნებული იყო, რომ სწორი არჩევანი გააკეთა: "დაიცადეთ და ნახავთ, თუ ვინ არის დონატო!", - პასუხობდა ის კრიტიკოსებს.

ის, რომ დონატო დღემდე ჩინებულ სპორტულ ფორმაშია, აღარავის უკვირს, თუ არ ჩავთვლით "დეპორტივოს" ამჟამინდელ მწვრთნელს, ხავიერ ირურეტას, რომელიც ვერ მალავს თავის აღტაცებას, როდესაც "ბაბუას" ვარჯიშს ადევნებს თვალს. "ფეხბურთელის კარიერა 33 წლისამ დავასრულე. დონატო კი 40 წლის ასაკშიც საუკეთესოა!", - ამბობს მწვრთნელი.

ბრაზილიელი, რომელმაც ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში 12 მატჩი ჩაატარა, სამაგალითო პროფესიონალია. ნეგატიური ცნობები მის შესახებ არასოდეს გავრცელებულა. დონატო ძალიან მშვიდი, უკონფლიქტო ადამიანია. ყველაფერ ამას თავად ფეხბურთელი იმით ხსნის, რომ ღრმად მორწმუნეა. ის და მისი უახლოესი მეგობარი, ბრაზილიელი მაურო სილვა, დიდ დროს ატარებენ ეკლესიაში.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს შეძლებს დონატო უმაღლეს დონეზე ფეხბურთის თამაშს, მაგრამ მიმდინარე სეზონის ბოლოს მისი კარიერაც დასრულდება. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელს ჯერ კიდევ შესწევს დიდი ფეხბურთის თამაშის უნარი, მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ მომავალ ზაფხულში ბუცები საბოლოოდ გაიხადოს. ალბათ, სწორი გადაწყვეტილებაა. ბევრ სახელოვან ფეხბურთელს უთქვამს: ფეხბურთიდან მანამდე უნდა წახვიდე, სანამ სხვები მიგითითებენ ამაზე.



*დონატო*



ჩოგბურთი

# ავსტრალიური კარნავალი დაიწყო

**მელბურნი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი - "დიდი სლემის" ტურნირი". საპრიზო ფონდი 12 004 900 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟებში - ტომას იუჰანსონი (შვედეთი). ქალებში - ჯენიფერ კაპრიატი (აშშ). პირველი წრე.**


ჯენიფერ კაპრიატი

**ვაჟები:**

კრისტოფ როხუსი (ბელგია) - ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:2, 6:3, 6:4

პარადორნ შრიჩაფხანი (ტაილანდი, 11) - იურგენ მელცერი (ავსტრალია) 7:5, 6:4, 1:6, 6:0

სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) - ალექს კიმი (აშშ) 7:5, 6:3, 3:6, 6:3

კარლოს მოია (ესპანეთი, 5) - დიკ ნორმანი (ბელგია) 7:5, 6:3, 6:4

სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 12) - ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:4, 6:2, 6:3

ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 8) - დავიდ პრინოშილი (გერმანია) 6:4, 6:1, 3:6, 7:6 (7:5)

სარქის სარქსიანი (სომხეთი) - აგუსტინ კალიერი (არგენტინა) 6:4, 3:6, 7:6 (7:4), 6:0

დავიდ სანჩესი (ესპანეთი) - კრისტიან პლესი (დანია) 5:7, 6:3, 1:6, 6:4, 10:8

სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 16) - ჯეკ ბრასინგტონი (აშშ) 6:4, 6:2, 7:6 (7:5)

ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი, 29) - გუიში მოტომურა (იაპონია) 6:1, 2:6, 6:3, 6:2

უეინ ფერეირა (სარ) - ტომი რობრედო (ესპანეთი, 26) 5:7, 6:0, 6:3, 6:4

მიშელ კრატოშვილი (შვეიცარია) - დავიდ სანგინეტი (იტალია) 6:3, 6:0, 6:3

მარიო ანჩიჩი (ხორვატია) - ალექსანდრ ვასკე (გერმანია) 6:3, 6:4, 7:6 (7:4)

ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი, 24) - ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:0, 6:4, 6:0

რენცო ფურლანი (იტალია) - ანდრეი პაველი (რუმინეთი, 21) 4:1, პაველმა თამაში შეწყვიტა.

გასტონ გაუდიო (არგენტინა, 17) - ტომას ენკვისტი (შვედეთი) 7:5, 7:5, 6:2

პეტერ ლუჩაკი (ავსტრალია) - ატილა სავოლტი (უნგრეთი) 7:5, 6:2, 6:4

კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) - იან ვაცეკი (ჩეხეთი) 6:2, 6:1, 6:4

ფაბრის სანტორო (საფრანგეთი, 28) - ბიორნ ფაუ (გერმანია) 6:4, 6:3, 6:4

ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) - ჯეფ მორისონი (აშშ) 7:6 (7:5), 6:3, 4:6, 6:3

**ქალები:**

ვინუს უილიამსი (აშშ, 2) - სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 6:4, 6:2ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 5) - მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) 6:3, 6:4

დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 7) - ფაბიოლა ზულუაგა (კოლუმბია) 7:5, 6:7 (3:7), 6:4

ანა კურნიკოვა (რუსეთი) - ჰენრიეტა ნადიოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:2

აი სუგიამა (იაპონია, 21) - ანჟელიკ ვიჯაია (ინდონეზია) 6:3, 4:6, 6:2

ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) - ბარბარა რიტნერი (გერმანია) 7:5, 4:6, 6:4

ვირჟინია პაცანო (საფრანგეთი) - ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:6 (9:7), 4:6, 6:1

ვანესა უები (კანადა) - მარია სანჩეს ლორენცო (ესპანეთი) 2:6, 7:5, 6:3

აკიკო მორიგამი (იაპონია) - სტანისლავა გროზენსკა (სლოვაკეთი) 6:2, 6:1

ადრიანა სიერა-ძანეტი (იტალია) - ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:6 (7:6), 6:4

კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია, 32) - დინარა საფინა (რუსეთი) 3:6, 6:3, 6:3

ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) - გრეტა არნი (გერმანია) 6:2, 6:1

დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) - კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:3, 6:0

ტატიანა პანოვა (რუსეთი, 24) - ანჟელიკა რეში (გერმანია) 7:6 (7:2), 3:6, 6:2

ალექსანდრა სტივენსონი (აშშ, 15) - ელენა ბალტაჩა (დიდი ბრიტანეთი) 6:1, 6:4

ტატიანა გარბინი (იტალია) - რეიჩელ მაკვილანი (ავსტრალია) 6:4, 7:6 (7:3)

ჟანეტ გუსაროვა (სლოვაკეთი, 30) - მარია ემილია სალერნი (არგენტინა) 6:3, 6:0

პაოლა სუარესი (არგენტინა, 23) - დალი რანდრიანტეფი (მად) 6:4, 6:3

მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) - ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 2:6, 7:6, 6:4

სტეფანი ფორეტცი (საფრანგეთი) - ევგენია კულიკოვსკაია (რუსეთი) 4:6, 6:1, 6:0

იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) - ალისია მოლიკი (ავსტრალია) 3:6, 6:4 მოლიკმა თამაში შეწყვიტა.

პეტი შნაიდერი (შვეიცარია) - ვინი პრაკუსია (ინდონეზია) 6:3, 6:1

ან კრემერი (ლუქსემბურგი) - ლიბუშა პრუშოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:2

მარტა მარერო (ესპანეთი) - ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 7:6, 6:1

სილვია ფარინა (იტალია) - ფლავია პენეტა (იტალია) 6:4, 6:2

ლიზა რეიმონდი (აშშ) - ლინდსეი ლი უოტერსი (აშშ) 7:6, 6:3

მწვანე კონტინენტზე დაიწყო სეზონის უმთავრესი ტურნირი ჩოგბურთში. ავსტრალიის ღია ჩემპიონატს ყოველთვის ახასიათებდა სენსაციები და არც წლევანდელი გათამაშება გახდა გამონაკლისი. ჩოგბურთის გულშემატკივარს ტურნირის დებიუტშივე სიურპრიზი შესთავაზა გერმანელმა მარლენ ვაინგარტნერმა, რომელმაც სენსაციურად, სამ სეტში დაამარცხა ავსტრალიის ღია ჩემპიონატის შარშანდელი ტრიუმფატორი, ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი.

ტრადიციის თანახმად, მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებს ძალიან აინტერესებდათ, თუ რას გრძნობდა მარლენი გამარჯვების ტკბილ წუთებში. "მე ჩემს გამარჯვებას სავსებით დამსახურებულს ვუწოდებ. სწორედ ამისთვის ვვარჯიშობდი მრავალი თვის განმავლობაში", - განაცხადა ვაინგარტნერმა. გერმანელმა ისიც აღიარა, რომ მისთვის განსაკუთრებით საამაყოა გამარჯვება ცენტრალურ კორტზე, რომელზეც ჩოგბურთელს აქამდე არასოდეს უთამაშია. "თუ შევძლებ, ისევე ვითამაშო, როგორც დღეს, ვფიქრობ, მაღალი კლასის ბევრ ჩოგბურთელს დავამარცხებ. ვგრძნობ, რომ უზარმაზარი პოტენციალი მაქვს", - აღიარა გერმანელმა.

რაც შეეხება ვაჟთა ტურნირს, აქ ასეთი სენსაცია არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით 21-ე ნომრის, რუმინელი ანდრეი პაველის მარცხს. უფრო სწორად, რუმინელმა მეორე სეტში თამაში აღარ გააგრძელა. სამწუხაროდ, გათამაშებას გამოეთიშა ჩვენი თანამემამულე ირაკლი ლაბაძე, რომელმაც ბელგიელ კრისტოფ როხუსს დაუთმო გამარჯვება - 6:2, 6:3, 6:4.

რალი

# „დაკარი-2003„-მა შესვენებამდე დაიქუხა

*"ტელეფონიკა დაკარი-2003"-ის მონაწილე ეკიპაჟთა რაოდენობა ათი ეტაპის განმავლობაში საკმაოდ შეთხელდა. ლიბიაში, სარირში სტარტზე გასული 110 მოტოციკლის, 75 ავტომობილისა და 27 სატვირთო მანქანისგან შემდგარ ქარავანს მეთერთმეტე ეტაპი ეგვიპტეში, სივაში უნდა დაესრულებინა. სარირიდან სივამდე გაშლილი 438-კილომეტრიანი საგანგებო მონაკვეთი დაძაბული და სანახაობრივი პაექრობების წინაპირობა გახლდათ.*


შტეფან პეტერშანსელის "მიცუბიში"

ბიბა ბურასაშვილი

თეორიულად ყველა ეკიპაჟს შესწავლილი ჰქონდა საასპარეზო მარშრუტი, რომელიც 100 მეტრამდე სიმაღლის ვარდნილობებით, დიუნებისა და უამრავი ქვიშის ხაფანგებისგან შედგებოდა. ეკიპაჟებისთვის ყველაზე დიდი პრობლემა იყო უორიენტირო დიუნებში გზის გაკვლევა. ასე რომ, თუ მეათე ეტაპზე შეჯიბრების მონაწილეებს GPS-ის თანამგზავრული სანავიგაციო სისტემების გამოყენება ეკრძალებოდათ, ამჯერად ეს უკანასკნელი მათთვის უმთავრესი ხელსაწყო იყო. ესეც რომ არა, წინა დღის ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ, როდესაც Toyota-ს ფრანგი შტურმანი, ბრუნო კაუვი, ავარიის შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა, ეკიპაჟები გაორმაგებული სიფრთხილით გავიდნენ სტარტზე.

საერთო ჩათვლაში მოტოციკლისტთა დავაში წინა დღით, ძრავის სიმუხთლის გამო, მთელი 41 წუთით ჩამოქვეითებულმა დაკარის ორგზის ტრიუმფატორმა, KTM-ის იტალიელმა მესაჭემ ფაბრიციო მეონიმ 21-ემ აიღო სტარტი. იძულებითი შეფერხების მიუხედავად, მეონიმ შესანიშნავად იასპარეზა, რაც შედეგზეც აისახა. ვერც ფრანგმა კირილ დესპრესმა და მისმა თანამემამულემ რიშარდ საინტმა და, ვერც მეათე ეტაპის გამარჯვებულმა, შვედმა პერგუნარ ლუნდმარკმა (სამივე KTM-ი) იტალიელს ვერაფერი დაუპირისპირეს. ფინიშზე საინტი მეონის ცხრანახევარი წუთით ჩამორჩა, ხოლო დესპრესი და ლუნდმარკი, შესაბამისად, 11 და 13 წუთით და 46 წამით. თუ მომდევნო ეტაპებიც ასე გაგრძელდა, მაშინ სამი-ოთხი დღე საკმარისია იმისთვის, რომ მეონი ისევ აბსოლუტური ჩათვლის სათავეში მოექცეს. ამჟამად იგი იმავე ჩათვლის ლიდერთან, რიშარდ საინტთან, დაახლოებით, ნახევარ საათს აგებს, დესპრესთან კი - 12 წუთსა და 47 წამს.

ინციდენტების მხრივ არც მეთერთმეტე ეტაპი გახლდათ გამონაკლისი. 37 წლის ბრიტანელი ქალი, Honda-ს მოტოციკლისტი პეტსი ქუიკი, 42-ე კილომეტრზე ამოტრიალების გამო, სასწრაფოდ საოპერაციო შეიქნა. ორგანიზატორთა განცხადებით, მოტოციკლისტს, რომელიც სივაში ვერტმფრენით გადააფრინეს, ნაღვლის ბუშტი ჰქონდა გამსკდარი. ხიფათს გადაურჩნენ ლიბიისა და ეგვიპტის საზღვარზეც, თანაც, ფინიშის ხაზთან ახლოს, თუმცა, ამაზე მოგვიანებით.

ავტომობილების კლასში ამჯერად ერთმანეთში პირველობისთვის ბრძოლა გააჩაღეს Mitsubishi-ის, Nissan-ისა და BMW-ს ეკიპაჟებმა.

Mitsubishi-ის ფრანგი პილოტი სტეფან პეტერჰანსელი, რომელიც აქამდე მოდუნების უფლებას აძლევდა თავს, მას შემდეგ, რაც რამდენიმე ეტაპი მეორე-მესამე ადგილებზე დაასრულა, ისევ ოსტატურად დაატრიალა საჭე და ფინიშის ხაზზეც პირველი მიიჭრა. ასე რომ, აბსოლუტური ჩათვლის ლიდერმა მდგომარეობა უფრო განიმტკიცა. ერთადერთი, ვისაც მისი ჩამოქვეითება შეუძლია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, შარშანდელი გამარჯვებული, ასევე Mitsubishi-ის იაპონელი პილოტი ჰიროშო მასუოკა გახლავთ. სტარტიდან ასპარეზობის შუაწელამდე, იაპონელს მყარად ეკავა მეორე ადგილი, მაგრამ 438-კილომეტრიანი მონაკვეთის ნახევარი მანძილის გავლის შემდეგ მისი Mitsubishi-ი შეავიწროვა BMW-ს ფრანგმა მესაჭემ ლუკ ალფანდმა, რომელიც თანდათან უფრო უმატებდა ტემპს. ბოლოს იმდენი მოახერხა, რომ მასუოკა მესამე მივიდა ფინიშის ხაზთან.

ამავე კლასში ასპარეზობის მთავარი მოვლენა იყო გერმანელი ქალის იუტა კლაინშმიდტის ექსპერიმენტული VW-ი Baggy-ის ტექნიკური გაუმართაობა. პირველი საკონტროლო ნიშნულის შემდეგ იუტა პეტერჰანსელთან არცთუ საგანგაშო სხვაობით - 3 წუთითა და 52 წამით აგებდა, მაგრამ 286-ე კილომეტრზე, ანუ მეორე საკონტროლო პუნქტის სიახლოვეს, მისი მანქანა დამუნჯდა. კლაინშმიდტი იძულებული გახდა, დამხმარე ტექნიკურ პერსონალს დალოდებოდა. მანქანა მწყობრში მოიყვანეს, მაგრამ გერმანელმა მეორე ნიშნული 3 საათზე მეტი დაგვიანებით, ფინიშის ხაზი კი 64-ემ გადაკვეთა. გამარჯვებულთან 4 საათის, 13 წუთისა და 59 წამით ჩამორჩენამ, იგი საერთო ჩათვლაში მეოთხედან მე-11 ადგილზე გადაისროლა.

ახლა, რაც შეეხება ლიბია-ეგვიპტის საზღვარს. როგორც "დაკარის" საშეჯიბრებო დირექტორის ჰუბერტ აურიოლისა და სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელის კრისტიან ნოელის ერთობლივ პრესკონფერენციაზე ითქვა, ლიბიისა და ეგვიპტის საზღვარზე, კერძოდ, ეგვიპტის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მიმავალ MAN-ის ფირმის სატვირთო მანქანას, ნომრით 416, აფეთქების შედეგად, უკანა საბურავი გაუსკდა. ეგვიპტის ხელისუფალნი, ჯერჯერობით, აფეთქების მიზეზს ვერ ასახელებენ. თუმცა, წინასწარი ვარაუდით, მიზეზი ის უნდა იყოს, რომ მანქანამ ნაღმზე გადაიარა. ეკიპაჟის სამივე წევრი ჯანმრთელი და უვნებელია.

რაც შეეხება სატვირთო მანქანების კლასში დაწინაურებულ სამეულს, პირველობა ისევ დაიბრუნა DAF-ის ჰოლანდიურმა ეკიპაჟმა. დე როოების ოჯახის უმცროსმა წარმომადგენელმა, ჟერარდუსმა, მეტოქეებს არც ერთი კილომეტრი არ დაუთმო და ეტაპი 4 საათში, 17 წუთსა და 46 წამში მოიგო. შვილს არც მამა ჩამორჩა. იოჰანეს დე როომ, რომელიც ასევე DAF-ს მართავს, ფინიშის ხაზი მესამემ გადაკვეთა. მათ შორის ადგილი კი რუსულმა Камаз-მა დაიკავა.

მეთორმეტე ეტაპამდე "ტელეფონიკა დაკარი-2003"-ის ორგანიზატორებმა ერთდღიანი შესვენება გამოაცხადეს.

კალათბურთი

# "ლეიკერსის" აღზევება

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| *ტორონტო - მინესოტა* | *105:91* |
| *კლიპერსი - დალასი* | *90:96* |
| *სან-ანტონიო - სელტიკსი* | *81:80* |
| *ფინიქსი - იუტა* | *107:99* |
| *ფილადელფია - ორლანდო* | *105:107* |
| *საკრამენტო - მემფისი* | *106:98* |
| *სიეტლი - კლივლენდი* | *79:87* |
| *ლეიკერსი - მაიამი ჰიტი* | *106:81* |
| *ნიუ-იორკ ნიქსი - ვაშინგტონი* | *84:89* |
| *ჰიუსტონი - დენვერი* | *87:85* |


სტეფანიას ამჯერად ძალა არ ეყო

გასულ უქმეებზე ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ბევრი საყურადღებო მოვლენა მოხდა. თავის წაუგებელ სერიას აგრძელებს შეუდარებლად მოასპარეზე, შაკილ ო`ნილის "ლეიკერსი", რომელმაც საკუთარ კედლებში დაამარცხა ვლადიმერ სტეფანიას "მაიამი ჰიტი". მასპინძელთა უპირატესობა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ვერც სტეფანიასა და ვერც მისი თანაგუნდელების მცდელობამ მაიამელებს ოდნავი შვებაც ვერ მოჰგვარა.

"ლეიკერსის" მსგავსად, შესანიშნავ ფორმაშია რეგულარული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი "დალას მავერიქსი". დირკ ნოვიცკი "კლიპერსთან" მატჩშიც საუკეთესო იყო. მან გუნდს 23 ქულა შესძინა. ამათგან 10 - უკანასკნელ 7 წუთში და თავის გუნდს გადამწყვეტი უპირატესობა მოუპოვა. გაზაფხული მოვიდა "ტორონტო რეპტორზის" ქუჩაზეც. როგორც იქნა, კანადელებმა შეწყვიტეს 12-მატჩიანი წარუმატებელი სერია და "მინესოტა" დაამარცხეს.

კვირას ფინიქსელ "მზეებსაც" ერგო თავისი ლუკმა. მათ საკუთარ მოედანზე იუტელი "ჯაზმენები" დაამარცხეს და ამ მოგებით საშინაო გამარჯვებათა სერია 10-მდე გაზარდეს. მთავარი კი მაინც "სან-ანტონიო სპერსისა" და "ბოსტონ სელტიკსის" დაპირისპირება იყო.

ერთ დროს ლეგენდარულ "სელტიკსს", როგორც ჩანს, "სან-ანტონიოს" ფსიქოლოგიური შიში დასჩემდა. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი 16 მატჩიდან "სელტიკსმა" მხოლოდ ერთი მოიგო. შეიძლება სწორედ ამ ფაქტმა შეასრულა გადამწყვეტი როლი, როცა სტუმრებმა აგრესიულ მასპინძლებს საშუალება მისცეს, ზედიზედ 8 უპასუხო ქულა მიეთვალათ და საბოლოოდ ერთი ქულის სხვაობით გაემარჯვათ კიდეც. მატჩის დამთავრებამდე 10 წამით ადრე გადამწყვეტი სამქულიანი ტყორცნა სტივენ ჯექსონმა განახორციელა.

რაც შეეხება ნიკა ცქიტიშვილის "დენვერს", გუნდმა მორიგი მარცხი იწვნია, ამჯერად ჰიუსტონში, "რაკეტებისგან". ქართველმა ლეგიონერმა 24 წუთი გაატარა მოედანზე. მისი მონაგარი კი 6 ქულა, 6 მოხსნა, 4 გადაცემა და 2 დაფარებაა. კიდევ ერთი საყურადღებო მოვლენა მაიკლ ჯორდანის "ვაშინგტონ უიზარდსს" ეხება. "ნიქსთან" მატჩში, უკანასკნელი ხუთი წუთის განმავლობაში, მაიკლ ჯორდანს არც ერთი ქულა არ აუღია, მაგრამ ვაშინგტონელებმა ნიუ-იორკიდან 2 ქულა მაინც წაიღეს. გადამწყვეტ მომენტებში ლიდერის ფუნქციები იტვირთეს ჯერი სტეკჰაუზმა და ჩარლზ ოუკლიმ. ამ უკანასკნელმა, მატჩის დამთავრებამდე 4 წამით ადრე, საკუთარ ფარქვეშ მოხსნა ბურთი და შემდეგ ზუსტი საჯარიმო ტყორცნები განახორციელა, რითიც მასპინძლებს მოუსპო შანსი, თამაში ოვერ-ტაიმში გადაეყვანათ.

ჭადრაკი

# ვეიკ-ან-ზეეს პირველი სენსაცია

*ჰოლანდიაში, სადაც თითქმის მთელი მსოფლიოს საჭადრაკო ელიტამ მოიყარა თავი, შაბათს პირველი ტურის მატჩები გაიმართა. FIDE-ს ვერსიით მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი, უკრაინელი რუსლან პონომარიოვი თეთრი ფიგურებით დამარცხდა რუს ევგენი ბარეევთან. შავებით გაიმარჯვა მე-12 მსოფლიო ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა. მან თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა პოლონელი მიხაილ კრასენკოვი. დანარჩენი ხუთი პარტია ყაიმით დასრულდა.*

ასეთი რანგის ტურნირებში, როგორც წესი, დასაწყისში უამრავი ყაიმი აღინიშნება. წაგება ხომ არასასურველია. პირველივე ტურში მოგებაც ყოველთვის არ გამოდის. ყაიმი კი არაფერს აფუჭებს და მოჭადრაკეს თავისუფლად შეუძლია, საბოლოო წარმატებისთვის იბრძოლოს. ასე რომ, ფრე პირველი ტურის ლამის სიმბოლოა.

წლევანდელი ვეიკ-ან-ზეეც, მკვიდრი ტრადიციის შესაბამისად, ხუთი ყაიმით დაიწყო. პირველად გამოცდილი ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი და ინტელექტუალ მამაკაცთა კამპანიის ერთადერთი ქალბატონი იუდით პოლგარი დაზავდნენ. მათ მაგალითს მიბაძა ისტორიული ვერსიით მსოფლიოს ახლანდელმა ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა, რომელმაც ვერ დაძლია მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის, ვასილი ივანჩუკის წინააღმდეგობა. დანარჩენი სამი ფრე აღინიშნა ესპანელი ალექსეი შიროვისა და ჰოლანდიელი ვეტერანის იან ტიმანის, კიდევ ერთი მასპინძლის, ტიმანის თანამემამულის ლუკ ვან ველისა და რუსი ალექსანდრ გრიშჩუკის, ინდოელი ვიშვანათან ანანდისა და აზერბაიჯანული ჭადრაკის იმედის რაჯაბოვის პარტიებში.


ევგენი ბარეევი

ტურის მთავარი სენსაცია იყო FIDE-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის, რუსლან პონომარიოვის წაგება. ჩემპიონი დამარცხდა ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულთან, რუს ევგენი ბარეევთან, რომელიც, როგორც ჩანს, წლეულსაც სერიოზულად აპირებს ვეიკ-ან-ზეეს საჭადრაკო სუპერტურნირის მოგებას. პონომარიოვი დამარცხდა თეთრი ფიგურებით, რაც მის კარიერაში ძალიან იშვიათად ხდება. რა დაემართა პონომარიოვს შაბათ დღეს, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონმა ინიციატივა დაკარგა, ბარეევის შეტევებსაც როგორღაც უნიათოდ, ჩემპიონისთვის შეუფერებლად იგერიებდა და სრულიად კანონზომიერად დამარცხდა.

ერთი წლის წინათ, FIDE-ს მსოფლიო პირველობის მოსკოვური ფინალის დროს, პონომარიოვი, თეთრი ფიგურებით, საკუთარ თავს ასეთი თამაშის უფლებას არ აძლევდა. პირველივე პარტიის წაგებამ, შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონი საერთოდ ამოაგდოს კალაპოტიდან, ხოლო კიდევ ერთი მარცხი პონომარიოვს საერთოდ ამოაგდებს ტურნირის ფავორიტთა სიიდან - ასე ფიქრობენ სპეციალისტები.

მსოფლიო ჩემპიონმა კი სხვაგვარად განსაჯა. უფრო სწორად, მან ითამაშა ისე, როგორც სჩვევია და მეორე ტურში ევგენი ბარეევის ჯავრი მეორე რუსზე, ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონზე (ოღონდ - ისტორიული ვერსიით) ვლადიმირ კრამნიკზე იყარა. ნემცოვიჩის დაცვაში თეთრებმა არასასიამოვნო მარყუჟებში მოაქციეს შავი ფიგურები და არავის ეგონა, რომ უკრაინელი ამ ბასტიონებს გაარღვევდა, მაგრამ პონომარიოვმა ყველაფერი ზუსტად გათვალა. ცაიტნოტში კრამნიკმა დაცვაში ვერ ივარგა და მეტოქის არც ისე რთული, მაგრამ ლამაზი დარტყმა გაეპარა.

სენსაციის ავტორმა, ევგენი ბარეევმა, მეორე ტურში კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია. ამჯერად მან რაჯაბოვი გაანადგურა. აშკარაა, რომ ბარეევი კარგ სპორტულ ფორმაშია.

ანატოლი კარპოვმა სცადა, ლიდერს არ ჩამორჩენოდა, მაგრამ ალექსეი შიროვის დაცვა შეუვალი აღმოჩნდა. კარპოვს დაეწია ინდოელი ვიშვანათან ანანდი, რომელმაც ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს სძლია. აგრესიულმა ბულგარელმა ინიციატივას ხარისხი შესწირა, მაგრამ აქედან რეალური სარგებელი ვერ მიიღო. ანანდი თავს ზუსტად იცავდა. ენდშპილში კი კარგად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა.

გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადებების ქვითარი
ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვასტავლი, მომსახურება, სამუშაო, გაცნობა
14.01.03 N-12

## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება 1-ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას IV კვ. 21-ე კორპ. ფასი 6000 $. 30 83 45

იყიდება 2-ოთახიანი, გადაკეთებული სამად. ვაჟა-ფშაველას VII კვარტალი. 30 83 45

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის 118-ში, 38-30-62, 899 55-04-48.

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## სწავლება

**შეგასწავლით!**
კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.
ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

ახალი და ძველი ავეჯის რესტავრაცია. 98 50 54 ზურა

იყიდება ნოუთბუქი (ლეპტოპი) IBM Thinkpad. ფასი 600 $. 60 88 43, 8(77) 74 30 13

კომპანიას ესაჭიროება ბოსტნეული კულტურების მცოდნე აგრონომი, ახალგაზრდა მამაკაცი. 70 02 37

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

ვარ 24 წლის. პროფესიით ჟურნალისტი. ვფლობ კომპიუტერის საოფისე პროგრამებს. გთხოვთ გამომეხმაუროთ. 76 26 43, 8(99) 15 69 02 ნანა

საშუამავლო ფირმა „კახი-98“ გთავაზობთ ბინების ყიდვა-გაყიდვა-დაგირავება-გაქირავებას. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

საშუამავლო ფირმა „კახი-98“ ისესხებს და გაასესხებს თანხებს ბინების მყარი გარანტიით. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

**იყიდება** დოგის, აღმოსავლეთ ევროპული და გერმანული ნაგაზის ლეკვები აცრით და საბუთებით.
- ვწვრთნი ძაღლებს (სტაჟიანი კინოლოგი) და დავიტოვებ ძაღლებს შენახვით.
897 575116 ხვიჩა.

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

- შეგაწუხათ მარტოობამ, სევდამ, სტრესმა ზამთრის ღამეებში? გინდა იპოვო გამოსავალი
**დაგვირეკეთ ტ: 822-009-555**
24-საათიანი სატელეფონო ფსიქოლოგიური კონსულტაციები.
1 წთ - 50 თეთრი
ანონიმურობა დაცულია

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

# აფიშა

## თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**თეატრალური სარდაფი**
"ეტ-ცეტერა", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**ძველი გალერეა**
"დაჭექი", ლია შველიძის გამოფენა-აქცია

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
საშობაო გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
ნანა გიორგაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**
თინა კობიაშვილის სახელოსნოს და მისი ნამუშევრების გამოფენა

## კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ჰარი პოტერი", რეჟ. კრის კოლუმბი
დას: 11:00; 14:00; 17:00 სთ; ფასი 5-8 ლარი
"გაფარჩაკებულები", რეჟ. გევინ ბრაზერი
დას: 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი„**
ანიმაციური ფილმი "კარლსონი, რომელიც სახურავზე ცხოვრობს"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
ანიმაციური ფილმი "ლილო და სტიჩი"
დას: 18:00 სთ; ფასი 5 ლარი
"გზაჯვარედინი", მთავარ როლში კევინ კოსტნერი
19:30 სთ; ფასი 5 ლარი
"ლამარკას უკანასკნელი საქმე", მთავარ როლში რობერტ დე ნირო
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**„ელისო„**
ანიმაციური ფილმი "კარლსონი, რომელიც სახურავზე ცხოვრობს"
დას: 13:00; 18:00 სთ; ფასი 5 ლარი
ანიმაციური ფილმი "ლილო და სტიჩი"
დას: 15:00; 17:30 სთ; ფასი 5 ლარი
"ლამარკას უკანასკნელი საქმე"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"გზაჯვარედინი", მთავარ როლში კევინ კოსტნერი
21:00 სთ; ფასი 5 ლარი

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

# TV პროგრამა 14 იანვარი

## რუსთავი - 2

07.00 კლასიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
10.30 სერიალი „ალფი“
11.00 მულტფილმი „ატლანტიდა დაკარგული იმპერია“ 1-ლი ნაწილი
12.00, 15.00 კურიერი
12.20 მულტფილმი „ატლანტიდა დაკარგული იმპერია“ მე-2 ნაწილი
13.20 მხ. ფილმი „მეოჯახე“
15.20 მხ. ფილმი „ევოლუცია“
17.10 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
18.00, 21.00 კურიერი
18.20 მხ. ფილმი „ვირთხების რბოლა“
20.10 ოთარ რამიშვილის კონცერტი
20.30 „კვნ“ 1-ლი ნაწილი
22.00 „კვნ“ მე-2 ნაწილი
22.50 ღამის კურიერი
23.50 მხ. ფილმი „გრაფი მონტე კრისტო“ მთ. როლებში ჯეიმს კევიზელი, გაი პირსი

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი“
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 „მრავალჟამიერ“
12.45 „ბასტი-ბუბუს კონცერტი“
14.05 სატ. კინოდარბაზი „პიანისტი“
15.15 მხ. ფილმი „ცხოველური ბუნება“
16.50 მულტფილმი „თოვლის პაპა“
17.15 „ტელევიზიის ოქროს ფონდიდან“ (თენგიზ ჩანტლაძე)
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ყველანი ორბიტაზე“
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „და არს მუსიკა“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.00 ბენი ჰილი
21.20 „ჩვენი ფეხბურთი“
22.00 გვილოცავენ პოლიტიკოსები
22.45 „მრავალსახეობა“
23.35 მხ. ფილმი „ბრიყვები“

## პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „სამი მუშკეტერი“
18.00 მუსიკა
19.00 ინფორმატორი
19.30 ქართული მუსიკა
20.00 ვიდეორადიო
22.00 ინფორმატორი
22.30 მოკლე სეანსი
23.00 სველი ხაზი
00.00 ფილმი ბრავო „მოუსვენარი მოწმე“
01.45 ფილმი ღამურა „ვამპირების ღამე“
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 „ძველი ვოდევილები“
21.30 ასპარეზი
22.10 მხ. ფილმი „პრაქტიკანტი ქალი“

## იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.30 მხ. ფილმი „ვასაბი“
10.25 დოკ. სერიალი
17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
10.50 მხ.ფ. „მოგზაურობა ქვეყნის დასალიერზე“
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. „გაყინულები“
22.30 ძველი კინო - მხ. ფილმი „თეთრი ღამეები“
00.50 ღამის ფილმი

## კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ფლაგერი“ 13.00 მხ. ფილმი „პაროლი ხმალთევზა“
15.00 მხ. ფილმი „წამომწყები“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მულტფილმი „პიტერ პენი“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი“

## მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
10.45, 11.50, 12.30, 14.35, 16.15, 17.30, 19.50, 20.30, 21.45, 23.45, 01.50 მუსიკა
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“
12.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი“
12.50 მხ. ფილმი „ბრძოლის ველი დედამიწა“
14.45 მხ. ფილმი „ვალერი ჩკალოვი“
16.30 დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 77-ე სერია
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ 48-ე სერია
18.35 მულტფილმი „მეფის ასული შაჰრაზადი“ 48-ე სერია
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“ 92-ე სერია
20.00 ფრანგი მხატვრები - კლოდ ჟელე ლორენი
21.00 რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“ მე-12 სერია
21.30 „მსოფლიო კულტურის საგანძური“. „ფონტენი, ასკეტური ორდენის მონასტერი“.
22.10 მხ. ფილმი „წნეხის ქვეშ“
00.00 მხ. ფილმი „ციებ-ცხელება“

## VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა“
09.50 „ბედნიერი ერი“
09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 მელოდია
10.50 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“
11.25 მობილურები
12.05 „ბიორითმი“ -ალა პუგაჩოვა
12.25 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.15 დისნეი და მისი მეგობრები
13.35 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა“
19.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.05 სპორტი
20.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა
20.55 „ღამის კაპრიზი“ - თემა: მინდა დიდი ვიყო
21.55 მობილურები 22.35 „კინოკლუბი“ - „გენერალი“.
00.35 აუდიო-ვიდეო-ტელე
01.15 „ბიორითმი“ -ალა პუგაჩოვა

## ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.05 Тайны века. „Чужие“
11.50 Спасатели. Экстренный вызов
12.15 „Ералаш“
12.35 Дисней-клуб: „Переменка“
13.15 Детектив „Коломбо сеет панику“
14.55 Телеканал „Новый день“. Новогодняя „Формула власти“
15.30 Телеканал „Новый день“. „Гении и злодеи“. Ростислав Алексеев
16.15 Худ.фильм „Кевин с севера“
18.00 „Большая стирка“
19.30 „Кумиры“. Т.Доронина
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
21.00 „Кто хочет стать миллионером?“
22.00, 00.30 Время
22.40 „Азазель“. Бориса Акунина. Новая редакция, 1 с.
23.45 „Потерянные субмарины“
00.45 Телеканал „Новый день“. „Сканер“
01.15 Телеканал „Новый день“. „Египет. Непрожитые тысячелетия“
01.45 „Апология“
02.50 Боевик „Неудержимый: Направление на юг“

## РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал „Леди Бомж“
10.40 В поисках приключений
11.30 Экспертиза
11.40, 18.45, 20.45 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Приключения кухарки из Клэпхема“
13.10 Худ.фильм „Золотая мина“
14.30 Колоссальное хозяйство
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Комиссар Рекс“
17.15 Сериал „Простые истины“
17.45 Мультфильм „Как лиса волка судила“
18.20 Дорожный патруль
18.35 Экспертиза
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Трое против всех“
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Бомж“
22.50 Сериал „Дневник убийцы“
23.50 „Вести +“
00.25 Худ.фильм „Заложники“
02.05 Док.фильм „Свет звезды. Василий Лановой“
02.55 Дорожный патруль

## НТВ

07.00 Утро на НТВ
10.05 Сериал „Скорая помощь 6“
11.00 Сегодня утром
11.30 „Национальная безопасность. Полигон смерти“.
12.00, 13.00,15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Кулинарный поединок. Москва-Одесса“
13.05 Сериал „Досье детектива Дубровского“
15.05 Криминал
15.25 Детектив „Она написала убийство“
16.20 „Хочу прожить как можно дольше“. Ток-шоу „Принцип „Домино“
18.05 Сериал „Улицы разбитых фонарей“
19.20 Док. драма „Преступление и наказание“
20.40 Сериал „Право на защиту“
21.45 Сериал „Улицы разбитых фонарей. Куколка“
23.00 „Сегодня вечером“
23.35 Сериал „Гангстерские войны. ТТ для киллера“
00.35 Детектив „Право на защиту“
01.40 Гордон

**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**

**ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში**

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.
მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ $15^{00}$ საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.
განცხადებები მიიღება ყოველდღე $9^{30}$ -დან $15^{00}$ -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.













Image CENTRE
პროფესიული განვითარების სტუდია და მოდელების სააგენტო
"იმიჯ-ცენტრი"



# გოდომანია

*უკვე ორმოცდაათი წელი გავიდა, მაგრამ გოდო მაინც არ ჩანს... არც მარადიული სურათი იცვლება. ორი მაწანწალა - ვლადიმირი და ესტრაგონი მოტიტვლებულ, მრუმე სცენაზე გაფარჩხულ, მარტოსულ ხესთან დგანან და ელიან კაცს, რომელიც არასდროს მოდის... ამასობაში კი სემუელ ბეკეტის ნაწარმოები კვლავაც წარმატებით იპყრობს მსოფლიოს სცენებს და თეატრის ესთეტიკას სრულიად ახლებურად წარმოგვიდგენს...*



რეჟისორი პიტერ ჰოლი, მსახიობები: ბენ კინგსლი, დენის ქუილი, გრეგ ჰიქსი და ალან ჰოვარდი

მარტში მსოფლიო თეატრის დღე აღინიშნება. რომელიმე გამოჩენილი რეჟისორი ან სცენარისტი უკვე მუშაობს საერთაშორისო მესიჯის ტექსტზე, რომელიც შარშან ინდოელმა სცენარისტმა, გირიშ კარნადმა დაწერა, სულ პირველად კი, 1962 წელს – ჟან კოკტომ. თუმცა, მარტამდე თეატრალურ კალენდარზე არანაკლებ ღირშესანიშნავი თარიღია მონიშნული: დღეს, 14 იანვარს ქართული თეატრის დღე აღინიშნება, მთელი იანვრის თვე კი გოდოს "ოქროს იუბილედაა" გამოცხადებული: ბეკეტის სახელგანთქმული პიესა პარიზის სცენაზე პირველად ზუსტად 50 წლის წინ, 1953 წლის 5 იანვარს დაიდგა.

სწორედ ამ დღეს დაიწყო მარადიული ლოდინის ხანა, რომელიც ახლახან, "გოდოს" იუბილესთვის, ბეკეტის მშობლიურ ქალაქში გაგრძელდა: დუბლინის გეითის თეატრის სცენაზე "გოდოს მოლოდინის" საზეიმო ჩვენება გაიმართა. სპექტაკლის რეჟისორია უოლტერ ასმუსი, რომელმაც "გოდო" ნიუ იორკშიც დადგა. მაშინ, ფარდის დაშვების შემდეგ აღელვებული რეჟისორი აღნიშნავდა: "ვიგრძენი, თუ როგორ გამეფდა დარბაზში უეცარი სიჩუმე და გუმანით მივხვდი – ეს აღფრთოვანების სიჩუმე იყო".

ორმოცდაათი წლის წინ კი "გოდოს" პირველ პრემიერას პარიზის პატარა, 75- ადგილიან თეატრში ასეთი რეაქცია ნამდვილად არ მოჰყოლია. არც კრიტიკოსებმა დაიშურეს მწარე სიტყვები. თუმცა, გავიდა ხანი და ისინი აღფრთოვანებით წერდნენ, რომ "გოდომ" მეოცე საუკუნის თეატრზე უდიდესი გავლენა მოახდინა.

თუმცა, ვფიქრობთ, უფრო საინტერესო იქნება, გოდოს ფენომენზე იმ ადამიანის აზრი შევიტყოთ, რომელსაც ბეკეტის პიესის პირველი ინგლისურენოვანი სპექტაკლი ეკუთვნის. ეს გახლავთ სერ პიტერ ჰოლი – თეატრის, ოპერისა და კინოს ბრიტანელი რეჟისორი, შექსპირის სამეფო საზოგადოებისა და ლონდონის ნაციონალური თეატრის ყოფილი ხელმძღვანელი, შექსპირის პიესების ყველაზე ცნობილი დამდგმელი და, რაც მთავარია, "გოდოს მოლოდინის" პირველი მსოფლიო პრემიერის ავტორი. ჰოლის წერილი - "გოდომანია" გაზეთ "გარდიანში" 4 იანვარს გამოქვეყნდა. გთავაზობთ პუბლიკაციის შემოკლებულ ვარიანტს:

"ბოლო ერთი საათი ვიდექი საშხაპეში და ვფიქრობდი. ბოლოს დავასკვენი, რომ "გოდოს მოლოდინის" წარმატება ნიშნავს ჩვენთვის კარგად ნაცნობი თეატრის დასასრულს". რობერტ მორლიმ, ცნობილმა მსახიობმა ეს 1955 წელს იწინასწარმეტყველა. მისმა თაობამ (შუახნის ბრიტანელებმა) მორლის პესიმისტური აზრი გაიზიარა. ჩემი თაობა (ოცი წლის ახალგაზრდები) გახარებული დარჩა.

პროცესი 50 წლის წინ საფრანგეთში დაიწყო.

საფრანგეთი სწორედ რომ ზედგამოჭრილი ადგილი იყო ამგვარი სანახაობებისთვის. ეჟენ იონესკოს სიურეალისტური ხედვით, ჟან-ლუი ბაროსა და მადელინ რენოს კლასიკური ნააზრევით, თუ ჟან-პოლ სარტრის პოლიტიკური ფილოსოფიით – პარიზი ლონდონის დაჩრდილვას იოლად ახერხებდა.

მალე მოვიდა სემუელ ბეკეტიც, რომლის "გოდოს მოლოდინმაც" თეატრი თავის მეტაფორულ ფესვებს დაუბრუნა. მან განდევნა ნატურალიზმის საუკუნე, რომელშიც ოთახი ოთახად მხოლოდ მაშინ ითვლებოდა, თუ სცენაზე მისი მთელი დეტალები იყო წარმოდგენილი. გოდო გვთავაზობდა ცარიელ სცენას, ხეს და ორ ადამიანს, რომლებიც ელოდნენ და გადარჩნენ. ყველაფერი დანარჩენი თავად უნდა წარმოგედგინათ. ანუ, სცენა "გოდოში" ნიშნავდა თავად ცხოვრებას - იმედებს და გულის ტკენას, მეგობრობასა და მარტოობას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ, როცა კინოს ეკრანი სავსე იყო რეალური გამოსახულებებით, "გოდოს" წყალობით, სცენა ფანტაზიის სამფლობელოდ იქცა. ფილმი გახლდათ ცხოვრების მსგავსი. თეატრი კი – მეტაფორა თავად ცხოვრების შესახებ.

1955 წელს, პარიზული პრემიერიდან ორი წლის შემდეგ მე 24 წლის, ძალზე იღბლიანი ახალგაზრდა ვიყავი – უკვე ვდგამდი ახალ (დავიწყე "გაკვეთილით" და ეს ბრიტანეთში იონესკოს პირველი თეატრალური დადგმა გახლდათ) და კლასიკურ პიესებსაც.

შემდეგ მოვიდა გოდო. ადრეულ გაზაფხულზე, როდესაც იუჯინ ო`ნილის Mourning Becomes Electra-ზე ვმუშაობდი, დონალდ ელბერიმ, უესტ ენდის მთავარმა იმპრესარიომ შემომჩივლა, რომ "გოდოსთვის" ვერც მსახიობი ეპოვნა და ვერც რეჟისორი. ელბერს აინტერესებდა, ხომ არ დავთანხმდებოდი, სპექტაკლის ინგლისურენოვანი მსოფლიო პრემიერა გამეკეთებინა.

გონება დავძაბე, სათაური თითქოს რაღაცას მეუბნებოდა. ბუნდოვნად მახსოვდა რომანები და რაღაც კავშირი ჯეიმს ჯოისთანაც. შემდეგ ნაწარმოები წავიკითხე და მუშაობა დავიწყე.

არ მოვყვები იმის მტკიცებას, თითქოს პიესა მაშინვე მეოცე საუკუნის დრამისთვის გადამწყვეტ მოვლენად აღვიქვი. მხოლოდ ერთთვიანი ინტენსიური რეპეტიციების შემდეგ გავაცნობიერე, რომ ის ნამდვილი შედევრი გახლდათ.

თუმცა, ერთს კი თავიდანვე მივხვდი – "გოდო" მომაჯადოებლად ორიგინალური იყო. ის ხომ ყოვლად არადრამატულ მდგომარეობას (ისეთს, როგორიცაა ლოდინი, ეჭვი, მარადიული გაურკვევლობის შეგრძნება) მოულოდნელად გარდაქმნიდა მძაფრ, დაძაბულ მოქმედებად. მასში ფორმა და თემა, თითქოს, მელოდიურად ერწყმოდა ერთმანეთს. ის ძალიან სასაცილო იყო. ის იყენებდა ვოდევილის გადაძახილით საუბრის ტრადიციას და ამას პოეზიად აქცევდა...

ო`ნილის პიესა მშვიდობიანად დავდგი და დასასვენებლად ესპანეთში გავემგზავრე. თან პრუსტის 12 ტომი წავიღე. ლონდონიდან გამოგზავნილმა დეპეშამ მეცხრე ტომის კითხვისას მომისწრო: თურმე, იმ ცხელ ზაფხულს Mourning Becomes Electra, თითქმის, ჩავარდა. ის სასწრაფოდ უნდა შეეცვალა "გოდოს". სხვა რა უნდა მექნა – მაშინვე მივატოვე პრუსტიც, შვებულებაც და ესპანეთიდან პირდაპირ რეპეტიციაზე აღმოვჩნდი. იმ 12 ტომს კი ველარასდროს მივუბრუნდი.

...ვფიქრობ, რეპეტიციები მე უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებდა, ვიდრე მსახიობებს. ისინი დაბნეულები ჩანდნენ – ვინ იყვნენ ეს გმირები, საიდან მოდიოდნენ, საით მიისწრაფოდნენ - მასხარები იყვნენ, სიმბოლოები, თუ, უბრალოდ, მაწანწალები?

მე კი ბეკეტის რიტმებს მალევე გავუშინაურდი. ეს ნამდვილი დრამატული პოეზია იყო და მეც თანდათან სულ უფრო ნაკლებად მაინტერესებდა, მაინც რას ეხებოდა პიესა. მივხვდი, რომ ბეკეტი გულისხმობდა ზუსტად იმას, რასაც ამბობდა. ორი კაცი ელოდა გოდოს. გოდოს ვინაობა კი თავად მაყურებელს უნდა განესაზღვრა – ეს სწორედ რომ აუდიტორიის შემეცნებაზე, მის რწმენაზე (შეიძლება ურწმუნოებაზეც) იყო დამოკიდებული.



"გოდოს მოლოდინი"



ჟან მარტინი და როჟე ბლინი გოდოს მოლოდინში. პარიზი, 1953 წელი

პრემიერა აპლოდისმენტებით დამთავრდა. მაგრამ იყო უარყოფითი ემოციაც. უკმაყოფილო მაყურებელი ჩიოდა: "არაფერი ხდება, არავინ მოდის, არავინ მიდის. საშინელებაა!". მესმოდა სუფთა ინგლისური, ხმამაღალი გამოთქმაც: Hear! Hear! ("მართალია! მართალი!").

კრიტიკაც შერეული იყო, რის გამოც "გოდო", წესით, ერთ კვირაში უნდა მოეხსნათ სცენიდან. მე კი დიდხანს ვეხვეწებოდი თეატრის ხელმძღვანელს, დალოდებოდა საკვირაო რეცენზიებს. ვგრძნობდი, რომ ჩემი გოდო აუცილებლად უნდა მოსულიყო.

ასეც მოხდა. გოდო ჩემთვის ნამდვილად მოვიდა. ის "სანდი თაიმსის" კრიტიკოსი, ჰაროლდ ჰობსონი აღმოჩნდა. მისი რეცენზიის აღფრთოვანებულმა ტონმა "გოდო" სცენას შეუნარჩუნა. ჰობსონი სპექტაკლზე კიდევ შვიდ კვირას წერდა...

ასე მოედო გოდომანია ლონდონს. სპექტაკლს სიამოვნებითა და აღტკინებით განიხილავდნენ, აქებდნენ, აანალიზებდნენ, იწუნებდნენ, ხატავდნენ კარიკატურებს.

მოკლედ, მეტაფორამ კვლავაც დაიბრუნა გავლენა თეატრზე... და ახალი გზაც გაიკვალა - ჰაროლდ პინტერისთვის, ჯო ორტონისთვის, ედვარდ ბონდისა და მთელი მათი თაობისთვის...

ხშირად ამტკიცებენ, რომ 1956 წელი და ჯონ ოსბორნის Look Back in anger ბრიტანული თეატრის ხელახალი დაბადების სიმბოლოა. "გოდოს მოლოდინი" კი გაცილებით მეტია. ის პოეტური შედევრია, რომელიც სპობს ყველანაირ ბარიერს და, ზოგადად, ნაციონალურსაც. ის თანამედროვე დრამის დასაწყისია. მან თეატრს თავისი პოტენცია და პოეზია დაუბრუნა და აღარაფერია მასში ბუნდოვანი.

1997 წელს "გოდო" "ოლდვიკის" თეატრისთვის ხელახლა დავდგი. ჩემი 16 წლის ქალიშვილი ძალიან გაბრაზდა, როდესაც გაეცნო სპექტაკლის პროგრამაზე დართულ პიესის ისტორიას: "საერთოდ რა საჭიროა ეს დანართი, უამისოდაც ხომ ყველაფერი დღესავით ნათელია - უბრალოდ, სპექტაკლს უნდა უსმინო!"...

## – კალეიდოსკოპი –

**დღეს**
**სამშაბათს, 14 იანვარს**




1878 წელი: ალექსანდერ გრეჰემ ბელმა დედოფალ ვიქტორიას თავისი ახალი გამოგონება - ტელეფონი წარუდგინა.

1953 წელი: მარშალი ტიტო იუგოსლავიის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს.

1954 წელი: მერილინ მონრო ბეისბოლის ვარსკვლავს ჯო დაიამაჯიოს გაჰყვა ცოლად.

1990 წელი: "ფოქსის" არხზე პირველად გავიდა ეთერში ანიმაციური ფილმი "სიმპსონები".

2002 წელი: აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს კრენდელი სასულეში გადასცდა, ტახტიდან გადმოვარდა და ლოყა დაულურჯდა. ამ ინციდენტის შესახებ მან ჟურნალისტებს გულწრფელად უამბო.

© GRAPHIC NEWS

### ფრთხილად: არწივი!

46 წლის ამერიკელს, დევიდ ნორვუდს, დიდი უსიამოვნება შეემთხვა: მისი ფირმის მიერ მოჭრილ ხეზე თეთრთავიან არწივს ჰქონია ბინა დადებული – ბუდიდან ორი მართვე გადმოვარდა. ჩრდილოეთ კაროლინას შტატის სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფოს სიმბოლოს ბუდის დანგრევისთვის ნორვუდს 95 ათასი ამერიკული დოლარის გადახდა მოუწევს. ეს ფული გარემოს დაცვის ორგანიზაციას გადაეცემა.

"სამართლიანი გადაწყვეტილებაა," განაცხადა მსჯავრდებულმა, "მართლა დიდი სისულელე მომივიდა."

### მუხის დამცველები

კალიფორნიის შტატის სასამართლომ დადგენილება გამოიტანა, რომლის თანახმადაც "მწვანეთა" მოძრაობის აქტივისტმა, ჯონ კუიგლიმ, სასწრაფოდ უნდა დატოვოს 400 წლის მუხის ტოტები. უკვე 70 დღეა, რაც 42 წლის კუიგლი ქალაქ სანტა-კლარაში მუხაზე ცხოვრობს და ამგვარად ცდილობს მის გადარჩენას.

საქმე ის გახლავთ, რომ კამპანია, რომლის კუთვნილ მიწაზეც ეს ხე დგას, უზარმაზარი საცხოვრებელი კომპლექსის აშენებას გეგმავს და მუხა მშენებლობისათვის აუცილებელი გზის გაფართოებაში უშლის ხელს.

კუიგლის ხიდან ჩამოხსნის მცდელობა ადგილობრივ სამართალდამცველებს მარცხით დაუმთავრდათ: მისმა ადვოკატმა განაცხადა, თუ ჩემს კლიენტს ძალით ჩამოიყვანთ, მუხას მე მივეჯაჭვებიო. მას კუიგლის მომხრეებიც შეუერთდნენ. ხოლო როცა გაირკვა, რომ მედგარ "მწვანეს" მხოლოდ ერთი კვირის მარაგი აქვს დარჩენილი, სანტა-კლარას მოსახლეობამ ხელისუფალნი დაარწმუნა, არც კუიგლის შიმშილს დავუშვებთ და არც მუხის მოჭრასო.

### სიახლე ინტერნეტ-აუქციონზე

სამხრეთკალიფორნიელმა მწერალმა, სტივ იანგმა, გადაწყვიტა, რომ თავისი ოჯახი ინტერნეტის მეშვეობით აუქციონზე გაეტანა. ეს აზრი მაშინ მოუვიდა, როცა შეიტყო, რომ ამ გზით, სულ ცოტა ხნის წინათ, კალიფორნიაში პატარა ქალაქი იქნა გაყიდული – ჩვენმა მკითხველმა ეს ამბავი დეკემბერშივე შეიტყო.

მეუღლესთან და 8 და 9 წლის შვილებთან მოლაპარაკების შემდეგ, იანგმა განაცხადი გააკეთა, და რამდენიმე წუთში 10 ათასი პასუხი მიიღო – უჩვეულო შემოთავაზებას სწორედ ამდენი ადამიანი გამოეხმაურა.

აუქციონის ოპერატორები გვიან მოეგნენ გონს და მხოლოდ შემდეგ განაცხადეს, ცოცხალი არსებებით არ ვვაჭრობთო. ისიც გაირკვა, რომ ბიძაშვილების, ბიძების, დეიდების, ცოლების და თვით ადამიანთა სულების გამყიდვლები და მათი შეძენის მსურველები ადრეც გამოჩენილან.

იანგმა ახსნა, რომ მისი ოჯახის მყიდველი მთელი ცხოვრება მისი "პლატონური კომპანიონი" იქნება. მას ყოველთვის დაპატიჟებენ ოჯახურ თავყრილობებზე, სადილის მომზადებაშიც კი შეეძლება მონაწილეობის მიღება. როგორც კი მოისურვებს, ოჯახი ქვეყნის ნებისმიერ მხარეში ჩააკითხავს, უფროსი ვაჟი კი გვარის შეცვლაზეც თანახმაა. მთელი ეს სიამოვნება მყიდველს, სულ მცირე, 5 მილიონი დოლარი დაუჯდება. "რა მოხდა, ზოგი მეცენატი ხომ მუზეუმებს ინახავს, საქველმოქმედო აქციებს მართავს, გაჭირვებულებს ეხმარება. მეც ჩემი ოჯახისთვის ქველმოქმედს ვეძებ."

# სპილოების ფესტივალი



სპილოების შეჯიბრი

მოცეკვავე სპილოები, მხატვარი სპილოები, ფეხბურთელი სპილოები – რას არ გაიგებს კაცი... გუშინ ამ ყველაფრის ნახვა ინდოეთის შტატ ასამას კაზირანგის ნაციონალური პარკის სტუმრებმა შეძლეს - აქ პირველი სპილოების ფესტივალი გაიმართა.

ინდოეთში სპილოები დიდი პატივისცემით სარგებლობენ. ფესტივალში 275-მა სპილომ მიიღო მონაწილეობა. მრავალი მათგანი სხვა დროს "გამცილებლად მუშაობს" – 430 კვადრატული კილომეტრის ფართობზე გადაჭიმულ პარკში უცხოელ ტურისტებს დაატარებს და ექსტრემალური დასვენების მოყვარულებს უჩვეულო წყლის პროცედურებს სთავაზობს – სპილოსთან ერთად წყალსატევში ბანაობა დიდი სიამოვნება ყოფილა.

ფესტივალის გახსნაზე სპილოების საზეიმო მსვლელობას 15 ათასი მაყურებელი აღფრთოვანებული აპლოდისმენტებით შეხვდა. თავისი შთაბეჭდილებები ჟურნალისტებს ცნობილმა ბრიტანელმა მწერალმა და ზოოლოგმა, "სპილოების დედოფლის" ავტორმა, მარკ შენდმა გაუზიარა: "ამდენი სპილო ერთად განსაცვიფრებელი სანახაობაა."

ფესტივალის ძირითადი მიზანი იმის დემონსტრირება იყო, რომ პატივისცემით თუ მოეპყრობი, სპილოები კეთილი ცხოველები არიან. სამწუხაროდ, ადგილობრივები მათ დიდად სტუმართმოყვარედ არ ხვდებიან ხოლმე, და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ასეთი კონფლიქტების შედეგად 150 ადამიანი და 200 სპილო დაიღუპა. ასამაში სულ 5.500 სპილო ცხოვრობს, მათ შორის 2.500 მოშინაურებულია და ადამიანებს მშენებლობასა და ტყის გაწმენდაში ეხმარება.

ასამას გარემოსა და ტყეების დაცვის მინისტრის თქმით, თანხა, რომელიც ფესტივალის ჩატარების შემდეგ შემოვა, სპილოების პოპულაციასა და ტურიზმის შემდგომ განვითარებას მოხმარდება.

# დამალული უფლისწული

მისი ბიოგრაფია უცნობია, არადა ის ნამდვილად არსებობდა - დღევანდელი დედოფლის, ელისაბედ II-ის ბაბუის, გეორგ V-ის უმცროსი ვაჟი, პრინცი ჯონი.

იმის გამო, რომ ეპილეფსია ჰქონდა და შეტევები ხშირად ემართებოდა, პრინცი სანდრიგჰემიის სასახლეში იყო გადამალული და მთელი ცხოვრება ანუ 13 წელი, 1919 წლის 18 იანვრამდე, იქ გაატარა.

განმარტოებით მდგომი სასახლის მხოლოდ რამდენიმე სტუმარს თუ მოუკრავს თვალი საიდუმლოებით მოცული უფლისწული ფანჯრიდან როგორ იყურებოდა ან ტყეში როგორ თამაშობდა. იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად ცოტა ადამიანს შეხვედროდა, სტუმრიანობის ჟამს გლეხის სახლში გადაჰყავდათ ხოლმე. თავისი ასაკისთვის მეტისმეტად დიდი ტანისა იყო და ზურგსუკან "პატარა მონსტრს" ეძახდნენ.

არადა, ხუთ წლამდე ქერათმიანი, "ანგელოზივით ბიჭი" ოჯახის დიდი სიხარული იყო. უფროსი დაძმებისგან განსხვავებით, ხალისიანი და გულღია ბავშვი გახლდათ, მერე კი შეტევები დაეწყო.

მეფე გეორგ V-მ, რომელიც სწორედ იმხანად ავიდა ტახტზე, ვაჟიშვილის ავადმყოფობა ღვთის წყრომად ჩათვალა. მეფეს საზღვაო ფლოტი ყველაფერს ერჩივნა, იქ კი ბნედიანების მამებს უფლება არ ჰქონდათ, ემსახურათ. მეფემ, რომელმაც სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ მხოლოდ ერთი წიგნი წაიკითხა, მაგრამ, სამაგიეროდ, ნადირობისას მილიონამდე ფრინველი ჰყავდა დახოცილი, თავისი ვაჟი გალავნის უკან გადამალა - სამყაროს საერთოდ უნდა დაევიწყებინა უფლისწულის არსებობა.



სანდრინგჰემის სასახლე

მალე ჭორი გავრცელდა, პატარა ჯონი სულ გასულელდაო. არადა, მთლად ასეც არ იყო საქმე. მართალია, ჯონი გონებრივად ჩამორჩენილი იყო, მაგრამ გარშემომყოფებს ძალიან უყვარდათ და ამბობდნენ, სხვა ბავშვებზე შტერი ნამდვილად არ ყოფილაო. სხვა თუ არაფერი, თავის "გულითად" მამას და გულჩათხრობილ დედას - დედოფალ მერის, იმით მაინც სჯობდა, რომ გრძნობებს ავლენდა და სხვების ბედით ინტერესდებოდა. ვინიფრიდ თომასი, რომელიც მას ხშირად ეთამაშებოდა ხოლმე, იხსენებდა, რომ უფლისწულთან ერთად მრავალი არაჩვეულებრივი საათი გაუტარებია: "ერთად ვნახეთ პირველი ცეპელინები - ცაში ვერცხლის სიგარებივით ეკიდა." ხოლო როცა უფლისწული მორიგმა, განსაკუთრებით მძიმე შეტევამ იმსხვერპლა, თომასს მისი ხელი ეკავა. ჯონის უფროსმა ძმამ, ედუარდმა კი შვებით ამოისუნთქა: "დიდება ღმერთს, ცხოველი მოკვდა".

უფლისწული უჩუმრად დაკრძალეს და იგი, თითქოს, ყველამ დაივიწყა.

სწორედ ამ შეცდომის გამოსწორებას ცდილობს რეჟისორი სტივენ პოლიაკოვი: BBC უფლიწული ჯონის შესახებ მრავალსერიიანი ფილმის გადაღებას აპირებს. ამრიგად, ფარდა აეხდება ბრიტანეთის სამეფო კარის ერთ-ერთ უკანასკნელ საიდუმლოს – "გადამალულ უფლისწულს".

# ვინც თოვლზე ცუდი რამე სთქვას...



გამარჯვებული ქანდაკება

ზაზა ფარუაშვილი

მესამე წელია, რაც საქართველოში შემოქმედი ხალხი თოვლს მხოლოდ სასრიალოდ და საგუნდაოდ ვერ იმეტებს და მის წიაღში ახალ შესაძლებლობებს პოულობს. ავანგარდული მოდის ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მოქანდაკე დავით მაისურაძე გუდაურში ყინულის ფესტივალებსაც აწყობს. ეს არის ერთსაღამოიანი აქცია კონცერტით, პოდიუმით, დისკოთეკით, ფერადი განათებით, ფეიერვერკებით და, რაც მთავარია, ყინულის ქანდაკებებით. იდეაში ფესტივალს ყინულის მრავალი ნაკეთობა უნდა ამშვენებდეს. სწორედ ასეთი განწყობით ესტუმრნენ გუდაურს სამხატვრო აკადემიის მოქანდაკე სტუდენტები, მაგრამ წელს მხოლოდ ფესტივალის სპონსორებისა და საინფორმაციო მხარდამჭერების პატივისცემა მოხერხდა. 10 დღის მუშაობის შემდეგ 8 მოქანდაკემ 6 კონსტრუქცია ააგო. ესენია "ჯეოსელის", "აირზენას", "სამების", "მონკავშირის", "რუსთავი-2"-ის, "რადიო 106"-ის საფირმო ნიშნები. თავისუფალ თემებზე მუშაობა ვერ მოვასწარითო,- გული დაწყდათ სტუდენტებს.

დავით მაისურაძე: **"ყინულის პირველი ფესტივალი 2000 წელს ჩავატარეთ და სუხიას ხსოვნას მივუძღვენით. წელს მეოთხე ფესტივალს ვატარებთ. გვინდოდა, საერთაშორისო ყოფილიყო, უცხოელი მხატვრებიც მოგვეწვია და დიდი კონკურსიც მოგვეწყო, მაგრამ ამისთვის საკმარისი ფინანსები ვერ მოვიძიეთ. ავანგარდული მოდის ფესტივალი ამ ბოლო დროს ცოტა ჩაიძირა. ზაფხულში ქვის ფესტივალის ჩატარებას ვაპირებთ. იმედი მაქვს, სპონსორებიც გამოჩნდებიან და საზღვარგარეთელ სტუმრებსაც მოვიწვევთ."**

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს თინა კლდიაშვილის შემოქმედებითი სახელოსნოს მხატვარმოდელიორებმა, რომელთა პროდუქცია - თექის ზამთრის კოლექცია – თოვლის პოდიუმზე "ნატალის" მანეკენებმა წარადგინეს.

თინა კლდიაშვილი: **"აქ წარმოდგენილია 11 მხატვრის ძველ ტრადიციაზე აგებული და თანამედროვედ ფერადოვანი ნამუშევარი. თხის წელიწადია და გადავწყვიტეთ, სუფთა მატყლის პროდუქციით გაგველამაზებინა ფესტივალი."**

ფესტივალის საუკეთესო ქანდაკებად ჯეოსელის ფიგურა გამოცხადდა.

მერე იყო დისკოთეკა, აჩი ფურცელაძის ხმა და საახალწლო ბანკეტი.

## სკანდინავიური კროსვორდი



ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

Visage

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიის პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

საგაზეთო ქაღალდი
ფასდაკლებით

შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან

საშობაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი –580$-მდე

ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

[illegible]

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

[illegible]

